საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 ივლისი **სამშაბათი** 2011
№ 155 (13452) ფასი 80 თეთრი



# ახალ სიმაღლეზე

ინტერვიუ იგორ კოკოშკოვთან

EXCLUSIVE

ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავხლებით, მთავარია კარგად მომზადება, რათა ნაკრებმა ევროპას თავისი შესაძლებლობები უჩვენოს

მჯერა, მარკიზ ჰეინსი ევროპაში დროებითაა, ამერიკაში დაბრუნდება და NBA-ში ითამაშებს

ფსიქოლოგიაზე ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რაც ნაკლები იქნება ზეწოლა ბიჭებზე, მით უკეთესად ითამაშებენ

მეტოქეთა სიძლიერეზე ლაპარაკს, სჯობს საკუთარ თამაშზე მოვახდინოთ ფოკუსირება

რუსეთთან და სლოვენიასთან უპირატესობა ჩვენც გვაქვს: ისინი მოგებას გეგმავენ, ჩვენ უნდა ვითამაშოთ

12



## თუ პაპარაცი მოიგებს...

8



## რას ერჩოდნენ საბრალო ნეიმარს?

კოპას კალეიდოსკოპი



## კასილიასს კაპიტნობას ართმევენ

7

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ზესტაფონი

# პირველი გოლები გამარჯვება
## კარგი სალიგო განწყობაც

**ზესტაფონი-უნივერსიტატია 3:2**

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე – თ. ლონლაძე, გ. ონიანი (31. კობახიძე), ხიდეშელი (80. გაგოშიძე), ელიავა (88. სარდალიშვილი) – დაუშვილი (68. როსტომ გენაძე), ძარია (59. ბაბუნაშვილი), აფციაური (67. ჭანკოტაძე), გრიგალაშვილი (67. ბენაშვილი) – დვალი (67. ლომია), გელაშვილი (59. წინამძღვრიშვილი).

უნივერსიტატია: ბოსნეაგი, ბუსკა, შილაგი, შუშუი, ნიკოლა, ბაზი, ტობა, ვოიკანი, ე. კასტრო, მორარი, ნ. ტონი.

შეცვლაზე შევიდნენ: *მატაჩე, პოპა, შუკალა, გ. მენდი, ს. პელე, აბრუდანი, მენასელი, ნიკოლესკუ, პასურარი, მაჩადო.*

გოლები: 0:1 ნ. ტონი (8), 1:1 თ. ლონლაძე (14), 2:1 აფციაური (20), 3:1 გელაშვილი (34), 3:2 ნ. ტონი (71)

"ზესტაფონმა" ავსტრიულ შეკრებაზე ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა და როგორც იქნა, გოლებიც გაიტანა და გამარჯვებასაც მიაღწია. საქართველოს ჩემპიონებმა დაძაბულ ბრძოლაში რუმინეთის ჩემპიონატის მერვეადგილოსან კლუბის "უნივერსიტატიას" სძლიეს.

**გია გეგუჩაძემ** ავსტრიულ შეკრებაზე პირველად გაიყვანა ოპტიმალური შემადგენლობა და ფეროელთა პროგრესიც უპირველესად ამას უნდა მივაწეროთ. ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა **ნიკა გელაშვილი** და, საბედნიეროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის გამოჯანმრთელება "ზესტაფონს" წინა ხაზში არსებულ პრობლემებს მოუგვარებს. ერთადერთი, რაც გუშინდელ შეხვედრაში არ მოგვეწონა, მეკარისა და დაცვის არადამაჯერებელი თამაშია, მაგრამ "ზესტაფონის" ამ ორ რგოლს წინა სეზონში ყველაფერი რიგზე ჰქონდა და იმედია, ჩემპიონთა ლიგაზე უხეშ შეცდომებს აღარ დაუშვებენ.

გუშინ "ზესტაფონმა" გამარჯვებისკენ დიდი ნაბიჯი პირველივე ტაიმში გადადგა, როცა რუმინელთა სწრაფი გოლის შემდეგ ვითარება უმალ შეცვალა სათავისოდ და შესვენებაზე ორბურთიანი უპირატესობით გავიდა. მეორე ნახევარში "კლუჟი" უკეთ გამოიყურებოდა, თუმცა თამაშის გადარჩენა ველარ შეძლო და "ზესტაფონის" წევრები ევროსეზონს კარგი განწყობით შეხვდებიან.

გეგუჩაძის გუნდი საქართველოში დღეს დაბრუნდება და 13 ივლისის შეხვედრისთვის ზესტაფონში მოემზადება.

შეგახსენებთ, "ზესტაფონმა" ავსტრიის ალპებში ორი კვირა გაატარა და გუშინდლამდე სამი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა – რუმინულ "სტიაუასთან" 0:1 დამარცხდა, უკრაინულ "კარპატისთან" 0:0 ითამაშა, შვეიცარიულ "ბაზელთან" კი 0:4 განადგურდა. ახსნა ასეთი დიდი ანგარიშით მარცხსაც შეიძლება მოეძებნოს – ამ შეხვედრას "დაჩიას" მზვერავი ესწრებოდა და "ზესტაფონმა" არცთუ საუკეთესო შემადგენლობით ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# კონტრაქტი პირდაპირ ეთერში
## ჩემპიონატს საზოგადოებრივი გააშუქებს

გუშინ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გადაცემა "არენას" პირდაპირ ეთერში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** და მაუწყებლის გენერალურმა პროდიუსერმა **გიორგი გაჩეჩილაძემ** ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რითაც ჩვენი ჩემპიონატის მაყურებელმა დაისვენა - კონტრაქტი ეროვნული ჩემპიონატის მთელი სეზონის ჩვენებაზეა გათვლილი.

სიჭინავას თქმით, მატჩების რეპორტაჟები მხოლოდ კეთილმოწყობილი და განათების საერთაშორისო სტანდარტების მქონე სტადიონებიდან დაიგეგმება - ეროვნული სტადიონიდან, ქუთაისიდან, "მიხეილ მესხიდან", რუსთავიდან, ზესტაფონიდან. შესაძლოა, ქალაქების ჩამონათვალს ფოთიც შეემატოს, ვინაიდან სტადიონის რეკონსტრუქცია და განათების სისტემის გაძლიერება "ფაზისზეც" იგეგმება.

"საზოგადოებრივი მაუწყებელი" შეხვედრების გაშუქებას 11 კამერით აპირებს, რაც ქართულ სინამდვილეში დიდი ფუფუნებაა. ასე მატჩები მხოლოდ დასრულებული ჩემპიონატის ბოლო შვიდ ტურში გადაიცა, ახლა კი ეს სისტემატურად მოხდება.

*"გადაწყდა, რომ სატელევიზიო ეთერის ინტერესებიდან გამომდინარე, ტურის თამაშები კვირაობით 18 საათზე დაიწყება, ზამთარშიც და ზაფხულშიც და მაყურებელი რეპორტაჟს ერთ დროს და დღეს მიეჩვევა. ჩვენ მატჩის არჩევის ექსკლუზიური უფლება გვაქვს. დღე იმ გამონაკლის შემთხვევაში შეიცვლება, თუ ტური სხვა დღეს რელიგიური დღესასწაულის ან სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების გამო დაიგეგმება"* - გვითხრა "საზოგადოებრივის" სპორტულმა პროდიუსერმა **დავით მინაშვილმა.**

სიჭინავას თქმით, "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ეროვნული ჩემპიონატის კადრების ჩვენების ექსკლუზიური უფლება ექნება, სხვებს კი ეს მხოლოდ მას შემდეგ შეეძლებათ, როდესაც მატჩის კადრებს "საზოგადოებრივის" მაყურებელი იხილავს - ცხადია, შეზღუდვები საინფორმაციო გამოშვებებში გასაშვებ ხანმოკლე კადრებს არ შეეხება.

ცნობილი გახდა ისიც, რომ პირველი ლიგის მატჩების გაშუქებას ერთ-ერთი ინტერნეტტელევიზია აპირებს.

მინაშვილის თქმით, "საზოგადოებრივი" პირველი ლიგის გაშუქებასაც აპირებს: *"ეროვნული ჩემპიონატის დაწყების შემდეგ, 8 აგვისტოდან გადაცემა "არენა" ორ ნაწილად გაიყოფა, ხუთშაბათს სპორტულ თოქ-შოუში გაშუქდება ყველა სახეობა, ორშაბათს კი მხოლოდ საფეხბურთო მიმოხილვა იქნება ეთერში, ოღონდ უფრო ვრცლად - შევეცდებით, მაყურებელს უფრო ახლოს გავაცნოთ წამყვანი მოთამაშეები, გუნდები, ჩვენი საფეხბურთო ცხოვრება, ორივე გადაცემა კი 23 საათზე დაიწყება".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ლაშა ჯაკობიას პირველი დუბლი

გოლები, რომლებიც **ლაშა ჯაკობიამ** უჟგოროდის "ზაკარპატიეში" მოსამზადებელ ეტაპზე გაიტანა, მას ძალიან სჭირდებოდა. ორწლიანი პაუზის შემდეგ 31 წლის ქართველმა თავდამსხმელმა პირველად ითამაშა უკრაინულ კლუბში ლუცკის "ვოლინის" დუბლშემადგენლობასთან საკონტროლო შეხვედრაში (უჟგოროდელებმა 5:0 მოიგეს). ლაშა მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და დუბლი მიითვალა.

**მერაბ მამულაშვილი**

კოლხეთი

# უქმად აღარც კოლხეთია
## იმედი ჯერ არ მომკვდარა

"კოლხეთის" პრობლემები ჯერჯერობით კვლავაც მოუგვარებელია, მაგრამ გუნდმა ახალი სეზონისთვის მზადება მაინც დაიწყო. სხვა საქმეა, როგორი კონტინგენტით იასპარეზებენ ფოთელები მომავალ ეროვნულ ჩემპიონატში – გაუსტუმრებელი ხელფასების გამო გუნდი წამყვანი ფეხბურთელების დიდმა ნაწილმა დატოვა და თუ კლუბი ძველებურად ხელმოკლედ დარჩება, გამორიცხულია, ძლიერ შემადგენლობას მოუყაროს თავი.

ყველა უსიამოვნების მიუხედავად, "კოლხეთის" გამოცდილი მთავარი მწვრთნელი **სოსო ფილია** საქმეს ენერგიულად შეუდგა და ცდილობს, ფოთელ და ახლომახლო ქალაქებში მცხოვრებ ფეხბურთელებში უმაღლესი ლიგისთვის გამოსადეგი კადრები შეარჩიოს.

ფილიას ხელმძღვანელობით 35-მა ახალგაზრდამ ვარჯიში 1 ივლისს დაიწყო. მათი უმრავლესობა სინჯებზეა და ვარჯიშებისა და ორმხრივი თამაშების მერე გასასინჯთა ნაწილს "კოლხეთის" სამწვრთნელო შტაბი უკვე დაემშვიდობა.

ხვალ "კოლხეთი" ოზურგეთში ადგილობრივ "მერცხალს" ეთამაშება, 10 ივლისს ქუთაისის "ტორპედოს" უმასპინძლებს, 12 ივლისს ბათუმის "დინამოს" მიიღებს, 14-ში კი ლანჩხუთში "გურიას" ესტუმრება. დაგეგმილია შეკრება ურეკში, რომელიც, სავარაუდოდ, 15-დან 30 ივლისამდე გასტანს.

რაც შეეხება კლუბის დაფინანსების საკითხს, ამ მხრივ კონკრეტული სიახლეები არ ისმის, მაგრამ "კოლხეთის" წევრები სოლიდური სპონსორის გამოჩენის იმედს არ ჰკარგავენ. ამ სასიცოცხლო ამოცანის გადაჭრას კლუბის პრეზიდენტი **თენგიზ სარიშვილი** ცდილობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# კრივოი ამბავი:
## ხიზანიშვილი თურქეთშია, კრივბასში ხიზანეიშვილია

უკრაინის ვიშა ლიგის კრივოი როგის "კრივბასმა" სეზონისთვის მზადება ხუთი ქართველით დაიწყო. დნეპროპეტროვსკის "დნიპრომ" კრივოი როგში **ჯაბა კანკავას** შემდეგ **უჩა ლობჟანიძე** და **ლევან არველაძეც** გაუშვა. ეს უკანასკნელი და ჩვენთვის უცნობი ფეხბურთელი **ლანჩავა** დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობენ.

კლუბში ისინჯებიან საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი წევრი **გიორგი სალარიძე** (რომელიც მცირე ხნის წინ **ოთარ გაბელიამ** ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვია) და ჩერნოგოვის "დესნას" წევრი **ლევან გულორდავა.**

თუმცა ყველაზე საინტერესო ინფორმაცია "კრივბასის" ფანკლუბის ვებგვერდმა გაავრცელა, თითქოს **იური მაქსიმოვმა** გუნდში **ზურაბ ხიზანიშვილი** მიიწვია, რომელიც უკვე "კრივბასთან" ვარჯიშობსო.

ცხადია, ხიზანიშვილი, რომელმაც ახლახან კონტრაქტი შოთა არველაძის "კაისერთან" გააფორმა, არსად წასულა, თურქეთშია და უკრაინაში თამაშს არ აპირებს. კრივოი როგში კი საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი **ოთარ ხიზანეიშვილი** ვარჯიშობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ




# ცუდ უკრაინას კარგი საქართველო სჯობს
## ალადაშვილის იმედიანი დაბრუნება

**კახა ალადაშვილმა "ზესტაფონი" სეზონის დასრულებისთანავე დატოვა კარიერის უკრაინაში გაგრძელების იმედით, მაგრამ მიზეზთა გამო ოდესის "ჩერნომორეცში" არ გადასულა. ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მარჯვენა მცველი უკლუბოდ დიდხანს არ დარჩენილა – რუსთავის "მეტალურგში" გადასვლას კი უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ 27 წლის ალადაშვილი "ზესტაფონს" დაუბრუნდა, სადაც ჯერჯერობით დუბლშემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობს, ძირითად გუნდს კი, ალბათ, სულ მალე დაუბრუნდება. დანარჩენს თავად კახასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- რატომ გადაწყვიტე "ზესტაფონის" დატოვება?**

- კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელება მინდოდა, მაგრამ ავჩქარდი. უკრაინაში სულ ტყუილად ჩავედი, ოდესის "ჩერნომორეცის" ბაზაზე სულ ორი საათი გავატარე და უკან გამოვბრუნდი. მივხვდი, რომ ეს არ იყო სწორი ნაბიჯი და საქართველოში დავბრუნდი. გაურკვევლობაში მოხვედრას ძლიერ ქართულ კლუბში თამაში ბევრად სჯობს და ძალიან მოხარული ვიქნები, "ზესტაფონში" დარჩენის საშუალება თუ მომეცემა.

**- ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა?**

- სავარაუდოდ, დადებითად გადაწყდება. როგორც იცით, "ზესტაფონის" მთავარი გუნდი ავსტრიაშია და სამწვრთნელო შტაბი ჩემ შესახებ გადაწყვეტილებას ჩამოსვლისთანავე მიიღებს. ყველაფერი ჩემს ფორმაზე იქნება დამოკიდებული და დიდი იმედი მაქვს, "ზესტაფონისთვის" სასარგებლო ფეხბურთელად დავრჩები. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რადგან უკრაინიდან დაბრუნებისთანავე ერთი დღეც არ გამიცდენია, დუბლშემადგენლობასთან ერთად ინტენსიურად ვვარჯიშობ და ფორმას სულ მალე ავიდგენ.

**- "ზესტაფონთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებ თუ ხელშეკრულება ავტომატურად გახანგრძლივდება?**

- თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ავტომატურად გახანგრძლივდება, რადგან კლუბთან 1+1 სისტემის კონტრაქტი მაქვს გაფორმებული.

**- გავრცელდა ხმები, რომ შენით რუსთავის "მეტალურგი" იყო დაინტერესებული.**

- ინტერესი მართლაც იყო, მაგრამ არჩევანი "ზესტაფონის" სასარგებლოდ გავაკეთე.

**- იმედი გაქვს, რომ "ზესტაფონის" ძირითად შემადგენლობას მალე დაუბრუნდები?**

- საკუთარი თავის იმედი ყოველთვის მაქვს და იმის მიუხედავად, რომ გუნდში ყველა პოზიციაზე სერიოზული კონკურენციაა, თავს არ დავზოგავ იმისთვის, რომ "დაჩიასთან" პირველივე მატჩში სასტარტო შემადგენლობაში თამაში დავიმსახურო.

**- რისი მიღწევა შეუძლია "ზესტაფონს" ევროტურნირებზე?**

- ჩვენი მიზანი ჯგუფში მოხვედრაა – თუ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ გავედით, ევროპის ლიგის ჯგუფურში მაინც უნდა შევაღწიოთ. ეს ურთულესი ამოცანაა, მაგრამ ვფიქრობ, "ზესტაფონს" საამისო პოტენციალი გააჩნია. იოლი ბრძოლები არც "დაჩიასთან" გველის და ჯერ ეს ეტაპი უნდა გადავლახოთ. ევროტურნირების დაწყებას დიდი ენთუზიაზმით ველოდები. ახლა მთლიანად "ზესტაფონზე" ვარ კონცენტრირებული და გუნდის წარმატებებისთვის არაფერს დავიშურებ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ისევ ვოლგელებზე: მიდიან თუ არა კრასნოდარში?

გუშინ ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ფეხბურთელები მოსამზადებლად ავსტრიაში გაემგზავრნენ. რუსული მედიის მტკიცების მიუხედავად, თითქოს ნიჟნის ქართველები "კრასნოდარში" გადადიანო, გუნდში რჩებიან და შეკრებაზე მიდიან **გოგიტა გოგუა, გია გრიგალავა** და **გოჩა ხოჯავა**. ისინი თბილისიდან კვირას ერთად გაემგზავრნენ და გუნდს ავსტრიაში შეუერთდნენ.


პეტარ ელიჩი ვოლგას დაუბრუნდა

არადა, ეს დაუჯერებელი არ ჩანდა მას შემდეგ, როდესაც შევიტყვეთ, რომ "კრასნოდარში" იმუშავებდა მათი მენეჯერი და "ვოლგას" ყოფილი სპორტული დირექტორი **მამუკა ჯულელი**.

გუშინ ინფორმაციის გადამოწმების მეტი დრო და საშუალება გვქონდა და შევიტყვეთ, რომ გრიგალავა "კრასნოდარში" გადასვლას არ აპირებს მიუხედავად იმისა, რომ კრასნოდარელები ჯერ კიდევ ზამთარში იწვევდნენ და ბევრად უკეთეს პირობებსაც სთავაზობდნენ – მას რუსეთისა და ევროპის უფრო ძლიერი კლუბები იწვევენ.

ასევე ჯერ არ მტკიცდება გოგიტა გოგუასა და გოჩა ხოჯავას გადასვლა. ამბობენ, გოგუას "ვოლგაში" მიწვევაზე გუნდის მაშინდელი თავკაცი **ომარ თეთრაძე** არც ფიქრობდა, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის გადაყვანა კლუბის პრეზიდენტ **ალექსეი გოიხმანის** ინიციატივა იყო და თეთრაძემაც იდეა სიამოვნებით აიტაცა. ამიტომ, "ვოლგას" პრეზიდენტი პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველს იოლად ვერ შეელევაო, მაგრამ კონტრაქტიდან არავის ამოუღია პუნქტი, რომ ქართველებს ჯულელისა და თეთრაძის წასვლის შემთხვევაში ხელშეკრულების გაწყვეტა შეუძლიათ.

ნიჟნინოვგოროდულ კლუბში დაბრუნდა თავდამსხმელი **პეტარ ელიჩი**, რომელსაც თბილისის "დინამოში" ნახევარწლიანი იჯარა დაუმთავრდა. საინტერესოა, რომ გუნდის დუბლებიდან ძირითადში გადაიყვანეს ჩვენთვის საინტერესო გვარ-სახელის მოთამაშე – **შოთა ბიბილოვი**. მეც თქვენსავით გავიფიქრე, მაგრამ როგორ უნდა ამტკიცო?

"ვოლგა" ავსტრიაში სამ საკონტროლო შეხვედრას გამართავს - დანიურ "კოპენჰაგენთან" (7 ივლისს), ინგლისურ "შეფილდ უენსდეისთან" (12 ივლისს) და თელ ავივის "ჰაპოელთან" (14 ივლისს).

მეტოქე

# ბათიაშვილმა, ტრადიციულად აღარ დაგხვდებითო

"არმფუტბოლმა" რუსთავის "მეტალურგის" მეკარის, **ზურაბ ბათიაშვილის** კომენტარი გამოაქვეყნა, რომელმაც ერევანში "ბანანცთან" 1:0 მოგებულ მატჩში საიმედოდ ითამაშა.

ქართველთა მოგებას სომხებისთვის იმედი მაინც არ გადაუწურავს. მათ ქართულ-ბანანცური დაპირისპირებები გაიხსენეს – ერევნელებმა უეფას თასის გათამაშებაში ხომ თბილისში ჯერ "ლოკომოტივი" დაამარცხეს, შემდეგ კი "ამერი".

*"ერევანში ჩამოსული ჩვენი გულშემატკივრების თანადგომამ ფეხბურთელებზე ძალიან კარგად იმოქმედა. სხვათა შორის, მოგებაში თქვენი სტადიონის მშვენიერი მინდორიც დაგვეხმარა. სისულელე იქნება იმის უარყოფა, რომ ჩვენ შემდეგ წრეში გასვლის მშვენიერი შანსი და მეტი მოტივაციაც გვაქვს. კარგად გვესმის, რომ განმეორებითი მატჩი იოლი არ იქნება, მაგრამ მეეჭვება, ჩვენს გუნდთანაც მოახერხოთ იგივე, რაც ექვსი წლის წინ შეძელით "ლოკომოტივთან", როდესაც ერევანში მოგებული მატჩის შემდეგ თბილისში 2:0 გაიმარჯვეთ"* – თქვა ბათიაშვილმა.


ზურაბ ბათიაშვილი ბანანცის კარში გატანილი გოლით ხარობს

მეზობლები

# სომხები აღარ ჩამოდიან

სომხეთის უმაღლესი ლიგის კლუბი "განძასარი" 3 ივლისიდან საქართველოში მოსამზადებლად ჩამოსვლას აპირებდა. თუმცა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **აბრამ ხაშმანიანმა** "არმფუტბოლს" აცნობა, გეგმები შეგვეცვალა და ურეკის ნაცვლად სომხეთში, ანკავანში მოვემზადებითო.

ხაშმანიანის თქმით, მიზეზი სავიზო საკითხებთან დაკავშირებული პრობლემა გამხდარა, რამდენიმე ისეთი ლეგიონერი გვყავს (ორი კოტ დივუარელი და ბრაზილიელი), რომლთაც საქართველოში შესვლისას, შესაძლოა, სირთულეები შეექმნათო.

სომეხთა მწვრთნელის ნათქვამი უცნაურია: აქამდე სომხური და აზერბაიჯანული კლუბები ბევრჯერ ჩამოსულან და კიდევ ჩამოვლენ ჩვენთან, მაგრამ მათთვის სავიზო პრობლემა არავის შეუქმნია და რატომ იფიქრეს სომხებმა ასე, გაუგებარია.

მე-12 მოთამაშე

# რა არის ქართული ფეხბურთი?

## ჩვენ ლათინური ფეხბურთი გვეხერხება



### ვითომ პროფები

ფეხბურთის ზოგიერთი სპეციალისტი ამ სახეობის "პრივატიზაციას" ცდილობს. მათ ნერვებს ისიც კი უშლით, სხვა სფეროს წარმომადგენელი ფეხბურთზე მოსაზრებას რომ გამოთქვამს. არადა, ქართული ფეხბურთის სათავეებთან იდგნენ მაშინდელი ინტელექტუალები. მაგალითად, თბილისის "დინამოს" დაარსებაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკები, აგრეთვე პირველი პრეზიდენტის, **ნოე ჟორდანიას** ძმისშვილი **ანდრო ჟორდანია**.

ამ ხალხმა ქართული ფეხბურთისთვის იმდენი გააკეთა, რამდენიც არც ერთ „პროფის". საერთოდაც, ჩვენს ფეხბურთში "ფეოლებს" დიდი წვლილი მიუძღვით, ბევრმა „პროფესიონალმა" კი კორუფციის ჭაობში გადაჩეხა ჩვენი ფეხბურთი და ტრადიციული ქართული სტილი მათი ბნელი გონების გამოც ამოიძირკვა.

გაიხსენეთ თუნდაც "მრეტები", რომელიც მხატვარმა **ვაჟა ჩხაიძემ** ჩამოაყალიბა, საბჭოთა კავშირში პირველი პროფესიული კლუბი, რომელიც თავისი დროის ქართული "ბარსელონა" იყო და ჩვენს ფეხბურთს არაერთი ვარსკვლავი აჩუქა, რომელთაგან საუკეთესო გიორგი ქინქლაძე იყო. ისინი კი არ წვალობდნენ, ნამდვილ, ჩვენს და თქვენს საყვარელ ფეხბურთს თამაშობდნენ. მაგრამ რად გინდა, "მრეტები" ჩაძირეს, მოთამაშეთა უმრავლესობა კი "პროფების" ხელში დამუხრუჭდა და „გაჩერდა". არადა, მსგავსი სანახაობრივი ფეხბურთი საქართველოში გიორგი დევდარიანის "თბილისსა" და გია გეგუჩაძის "დინამოს" თუ უთამაშიათ.

### ოპერის მომღერლის სიყვარული

ქართული ფეხბურთის სატკივარზე საოპერო მომღერალი **თამაზ ლაფერაშვილი** ისე საინტერესოდ გვესაუბრა, ბევრი სპეციალისტი ვერ შეძლებდა – საქართველოს სახალხო არტისტი, ოპერის თეატრის დირექტორის ყოფილი მოადგილე. სხვათა შორის, მისი ვაჟი ლადო მიუნხენის "ბაიერნის" 17-წლამდელთა გუნდში, საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში, "ზესტაფონსა" და "ამერში" თამაშობდა, მაგრამ, ტრავმისა და ბევრ სხვა მიზეზთა გამო, 22 წლის ნიჭიერი თავდამსხმელი არსად თამაშობს.

**თამაზ ლაფერაშვილი:** ჩემი სამსახური საღამოს 4 საათიდან იწყებოდა, მეც სპექტაკლის დაწყებამდე "ავაზაზე" და სხვა საფეხბურთო სკოლებში დავდიოდი და ბავშვების თამაშს ვუყურებდი, ვმეგობრობდი ფეხბურთელებთან, მწვრთნელებთან.

ასე მგონია, რაც ადრე გვაწუხებდა, ახლაც იგივე პრობლემები მოგვეძალა. ვგულისხმობ ქართული ფეხბურთის სტილის წახდენას და ნიჭიერი ბავშვების დაკარგვას.

### რატომ იკარგებიან ტალანტები?

ცნობილი რუსი სპეციალისტის, **ვალერი ნეპომნიაშჩის** ინტერვიუ მახსენდება, რუსეთში მთელი ათი წელი, 1990 წლიდან ძლიერი თაობა არ გაიზარდა და მოთამაშეები სხვა რესპუბლიკებიდან დავიმატეთო. ხომ გახსოვთ, ეს რუსეთში პრობლემური დრო იყო, პერიფერიებში სილატაკე არავის უკვირდა. ნეპომნიაშჩის აზრით, რუსულმა ფეხბურთმა სწორედ ის ბავშვები დაკარგა, რომელთა ოჯახებსაც არ ულხინდათ და შვილებს ვერ ეხმარებოდნენ. ამის შემდეგ თაობათა შორის წყვეტა მოხდაო. ასევეა ახლა საქართველოში - ტრადიციულად, ფეხბურთს გაჭირვებული ოჯახის შვილები თამაშობენ


თამაზ ლაფერაშვილი ვაჟა დანელიას ფოტო

და ჩვენც ბოლო ათლწეულებია, ამ ბავშვებს ვკარგავთ.

მეეჭვება, ფეხბურთი ითამაშოს იმ ბავშვების უმრავლესობამ, რომელთა მშობლებიც 50 დოლარს იხდიან. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ფეხბურთი ღარიბების თამაშია, მათ კი საქართველოში გასაქანი არ აქვთ.

დანიაში ვიყავი, დავინტერესდი და მითხრეს, რომ საფეხბურთო სკოლებს მუნიციპალიტეტები აფინანსებენ. არსებობს ერთიანი სისტემა, რომლის წყალობითაც ბავშვები ფულს არ იხდიან, მწვრთნელებს, მათ შორის ფიზმომზადების მწვრთნელებსაც, ხელფასით სახელმწიფო უზრუნველყოფს. ჩემი შვილი გერმანიაში ვარჯიშობდა და როდესაც ბავშვი გუნდში აჰყავთ, მის ოჯახს ცენტის გადახდაც არ უწევს, ყველაფრით კლუბი ამარაგებს, ფორმებით, ეკიპირებით, ბურთებით, ბუცებით, აღარაფერს ვამბობ ტრანსპორტირების ხარჯებზე.

სწორედ ამიტომ გამიხარდა, როდესაც ჩვენში სკოლბურთის სისტემა ჩამოყალიბდა. გინდა, სიჭინავამ შეუწყოს ხელი, გინდა, სხვამ. მთავარია, ეს სისტემა ამოქმედდეს და ყველა დარწმუნდება, რამდენი ტალანტი გვყავს.

### ჩვენი ფერი ფეხბურთში

მთავარია, სკოლებს მოუმზადონ რაც შეიძლება მეტი "ც" კატეგორიის სპეციალისტი, რათა დასაწყისში მაინც ითამაშონ ბავშვებმა ყოველგვარი სქემებისა და ჩარჩოების გარეშე, ის, რაც იციან და სისხლში აქვთ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვები ნებაზე უნდა მიუშვან და ნიჭი წარმოაჩენინონ. ჩვენს ფეხბურთს სტილს ეს თუ შეუნარჩუნებს. თორემ მოდიან ბავშვები, რომლებსაც თავიდანვე უკრძალავენ ფინტსა და ბუნებრივი ნიჭის გამოვლენას, ამიტომაც ვიღებთ უფერულ თაობებს.

მახსოვს, "ავაზას" დანიაში გავყევი. ბავშვებს თავისუფლება მისცეს და ადგილობრივ გუნდს 7:1 მოუგეს. მერე იყო ფინალი, სადაც ჩვენები ჯერ ვერაფერს აკეთებდნენ, მერე კი ყველაფერი დაუგეგმავად მოხდა – ერთმა დაიწყო „მატაობა", მას სხვებიც აჰყვნენ და 3:0 გაიმარჯვეს, რადგან ის ფეხბურთი ითამაშეს, რაც სისხლში ჰქონდათ, სხვა სტილით ჩვენ ვერასოდეს ვერაფერს მივაღწევთ.

ჩვენი პრობლემა ყოველთვის იყო ქართველისთვის ბუნებრივი სათამაშო სტილის შერჩევა. ვიცნობდი გავრილ კაჩალინს, რომელსაც საინტერესო შეხედულებები ჰქონდა: ერთხელ მითხრა, ქართველმა უნდა „იმატაოს", მესხი ჰუსაინოვივით ვერასოდეს ითამაშებს დაცვაში, ასე ეფექტსა და სასარგებლო თვისებებს კარგავსო.

რა თქმა უნდა, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ფეხბურთიც შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა ქართველი კაცის ბუნება და ვფიქრობ, რასაც სხვა აკეთებს, ავტომატურად არ უნდა გადმოვიღოთ, თორემ ღამურასავით მოგვივა, საკუთარი რომ უარყო, სხვა კი ვერ გახდა.

ასეთი ტენდენცია უკვე თვალშისაცემია. თუმცა ვერ დავეთანხმები მათ, ვინც თემურ ქეცბაიას აკრიტიკებს. ამ კაცმა საქართველოს ნაკრებს მაქსიმუმი გამოსწურა. 1952 წელს ბორის არკადიევის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ოლიმპიადის ფინალში წააგო და ამის გამო იმ დროის უძლიერესი გუნდი მოსკოვის ცდკა დაშალეს.

მალე არკადიევი ბაქოში მიიწვიეს და ჰკითხეს, ცდკა-ში 5 თავდამსხმელით თამაშობდი, აქ მხოლოდ ერთი რატომ გყავსო? იმიტომ, რომ აქ ერთი მყავსო. მგონია, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო დააყენა ქეცბაიამ ხორვატიაში 8 მცველი და არა სამი თავდამსხმელი.

თორემ ჩვენ სხვა ფეხბურთი რომ გვიყვარს და შეგვიძლია, ეს საკამათოც არ არის. კაჩალინი ამტკიცებდა, რომ არსებობს სამი სტილის ფეხბურთი – ბრიტანული, შუაევროპული და ლათინური, ქართველები კი ლათინურს მიეკუთვნებით, თქვენ ევროპელებივით და ბრიტანელებივით მოედანზე ბევრი სირბილი არ შეგიძლიათ, სამაგიეროდ, კარგად გამოგდით მოკლე პასებით ბურთის გორება და სხვა სტილით არც უნდა ითამაშოთო.

მას შემდეგ დრო გავიდა, გამოჩნდნენ საკმაოდ ძლიერი აფრიკული და აზიური ნაკრებები, მაგრამ ჩვენ ბუნება შევიცვალეთ? ქართველი ხომ იგივე დარჩა, ასე რომ, ფეხბურთიც ჩვენი ხასიათისა და სისხლის შესაფერისად უნდა ვითამაშოთ, თორემ სხვა ფეხბურთი არც გამოგვივა და ვერც ავითვისებთ, საუკეთესო თვისებებს კი გავანიავებთ.

სხვათა შორის, სწორედ ამიტომ მომეწონა ალექს გარსიას "დინამო" – გუნდმა ჩვენთვის უფრო ბუნებრივი, ძვალსა და რბილში გამჯდარი ფეხბურთი აჩვენა - ცუდი, მაგრამ მაინც ფეხბურთი და ახალი "დინამოს" სახე გამოჩნდა. გულშემატკივრებს სწორედ ასეთი ფეხბურთი მოგვწონს, თორემ ახლანდელ ვითარებაში ჩემპიონთა ლიგის მოგებას არავის ითხოვს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი მწვრთნელები

# მეცამეტის წარმატებული დებიუტი


ალექსანდრ შტელინი

საქართველოს XXIII ჩემპიონატი სტარტს ერთ თვეში აიღებს, თუმცა რამდენიმე გუნდისათვის ახალი საფეხბურთო სეზონი უკვე დაიწყო: „დინამომ“ და „მეტალურგმა“ ევროტურნირების პირველი მატჩები წინა კვირაში ჩაატარეს, მომდევნო კვირაში კი ამათ გარდა უკვე „ზესტაფონსა“ და „გაგრასაც“ უნდა ვუქომაგოთ. ევროტურნირების კენჭისყრიდან მოყოლებული უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ამ საწყის ეტაპზე ქართულ გუნდებს მეტ-ნაკლებად სასურველი მეტოქეები შეხვდათ; ანუ, ნურავინ გამორიცხავს, რომ ოთხივე ქართულმა გუნდმა ევროტურნირების მომდევნო ეტაპზე გააღწიოს, — მით უმეტეს, რომ „დინამომ“ და „მეტალურგმა“ ამ მიზნის მისაღწევად სერიოზული განაცხადიც გააკეთეს. თანაც, „დინამომ“ მოლდოვურ „მილსამისთან“ საშინაო მატჩში გამარჯვებას ახალი მწვრთნელის, 41 წლის ესპანელი სპეციალისტის **ალექს გარსიას** ხელმძღვანელობით მიაღწია. გარსია მეცამეტე უცხოელი მწვრთნელია, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ჩვენთან ვისაც უმუშავია და არც ის არის დასამალი, რომ „დინამოს“ ქომაგები ამ ესპანელი სპეციალისტის მოღვაწეობას დიდი იმედით შესცქერიან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარსიამ თავის პირველ ოფიციალურ მატჩში გაიმარჯვა; საერთოდაც, ჩვენთან კი არა, ყველგან თითქმის ერთი და იგივე სურათია: ნებისმიერ ქვეყანაში ესა თუ ის მწვრთნელი სადებიუტო შეხვედრაში წარმატებას აღწევს. ახლა კი, მოდი, გავიხსენოთ საქართველოში სხვადასხვა დროს მომუშავე უცხოელ მწვრთნელთა სადებიუტო მატჩები; თუმცა, მანამდე აქ მოღვაწე ლეგიონერ მწვრთნელთა მონაგარიც ვახსენოთ. ტიტულების მხრივ „ერთპიროვნული ლიდერი“ **ივო შუშაკი** (ხორვატია) გახლავთ, ვისი ხელმძღვანელობითაც „დინამო“ საქართველოს ჩემპიონიც გახდა, თასიც მოიპოვა და მერე, დსთ-ს თასსაც დაეუფლა. საქართველოს ჩემპიონობა კიდევ ერთმა ლეგიონერმა მწვრთნელმა, ჩეხმა **დუშან უჰრინმაც** მოიპოვა და 2008 წლის ტრიუმფის მერე „დინამო“ კვლავაც ოქროს მედლების მოლოდინშია; შუშაკის გარდა საქართველოს თასი კიდევ ერთ ლეგიონერ მწვრთნელსაც აქვს მოგებული — წლეულს, „გაგრამ“ მართლაც სენსაცია მოახდინა და ამ ტიტულს დაეუფლა, რაშიც ფეხბურთელებთან ერთად უდიდესი წვლილი მიუძღოდა გუნდის უკრაინელ თავკაცს **ანატოლი პისკოვეცს**. შუშაკის, უჰრინისა და პისკოვეცის გარდა კიდევ ერთი ტიტულიანი უცხოელი მწვრთნელიც გვყავდა — 2008 წლის მიწურულს, „დინამომ“ სუპერთასი მოიგო და ამ წარმატებას გერმანელი სპეციალისტის, **რაინერ ცობელის** ხელმძღვანელობით მიაღწია.

## მრისხანე ჰოლანდიელი და სენიორ ჯანი

საქართველოში პირველი ლეგიონერი მწვრთნელი ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპი** გახლდათ, ვისი ხელმძღვანელობითაც „დინამომ“ 1998-99 წლების სეზონის ბოლო ხუთი ტური ჩაატარა და საქართველოს ჩემპიონიც გახდა (ზემოთ ტიტულიანი ლეგიონერი მწვრთნელები ვახსენეთ და ბოსკამპი იმის გამო არ დავასახელეთ, რომ სეზონი სრულად არ ჩაუტარებია). საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო მატჩი ბოსკამპმა მოიგო (თბილისის „ლოკომოტივთან“), თუმცა იმავე 1999 წლის ზაფხულში ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამო“ ორრაუნდიან პაექრობაში მოლდოვურ „ზიმბრუსთან“ დამარცხდა და ამის შემდეგ ჰოლანდიელმა


ჯანი კარნევალე

სპეციალისტმა მხოლოდ საქართველოს ნაკრებში გააგრძელა მუშაობა.

მომავალი, 1999-2000 წლების სეზონში კიდევ ერთი ლეგიონერი მწვრთნელი გამოჩნდა საქართველოს ჩემპიონატში — იტალიელი **ჯანი კარნევალეს** ხელმძღვანელობით ბათუმის „დინამომ“ მეოთხე ადგილი დაიკავა. სხვათა შორის კარნევალე ლეგიონერ მწვრთნელთა შორის ერთპიროვნული ლიდერია უცხოელ სპეციალისტთა შორის ყველაზე მეტჯერ მას უხელმძღვანელია ქართული გუნდებისათვის. სენიორ ჯანის მართლაც მშვენიერი დებიუტი ჰქონდა: სეზონის პირველსავე ტურში ბათუმელებმა თბილისის „დინამო“ დაამარცხეს.

სეზონის დასრულების შემდეგ კარნევალე სამშობლოში გაემგზავრა, მაგრამ უკვე მომდევნო ჩემპიონატში ისევ საქართველოში დაბრუნდა; ოღონდ, ამჯერად „ვიტ ჯორჯია“ ჩაიბარა და სეზონის ბოლომდე დარჩენილ ცხრა ტურში „ვეტერინარები“ მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ. რაც მთავარია, სადებიუტო შეხვედრაში კარნევალემ ახალ გუნდშიც წარმატებით დაიწყო მუშაობა: ქვეყნის მომავალ ჩემპიონს ქუთაისის „ტორპედოს“ **ლევან მელქაძის** ჰეთ-თრიქით 3:0 მოუგო! სხვათა შორის, იმ სეზონში „ვიტ ჯორჯია“ ერთადერთი გუნდი იყო, „ტორპედომ“ ვერც ერთი მატჩი რომ ვერ მოუგო: სამი შეხვედრა ფრედ დამთავრდა, ერთში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ვეტერინარებმა“ გაიმარჯვეს.

2001-2002 წლების სეზონიც კარნევალემ „ვიტ ჯორჯიაში“ დაიწყო, თუმცა მერე წამოსვლამ მოუწია; მაგრამ ისე მოხდა, რომ იმავე სეზონის მეორე ეტაპიდან კვლავაც „ვეტერინარებში“ დაბრუნებამ მოუწია, ოღონდ ამჯერად „ვიტ ჯორჯიას“ შედარებით მოკრძალებული მიზნები ჰქონდა და ჩემპიონატიც მეშვიდე ადგილზე დაამთავრა. არადა, სხვაგვარად რომ ყოფილიყო, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად ვნახავდით. უცხოელ მწვრთნელთა დაპირისპირებას — იმავე სეზონის მეორე ეტაპიდან თბილისის „დინამოში“ მთავარ მწვრთნელად ხორვატი სპეციალისტი ივო შუშაკი დაინიშნა.

## ჩვენი ივო

შუშაკმა „დინამო“ მართლაც რთულ პერიოდში ჩაიბარა; ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა პირველი ეტაპი VI ადგილზე დაამთავრა! ეგ კი არა, ლიდერ „ტორპედოს“ 16 ქულითაც ჩამორჩებოდა... შუშაკის ხელმძღვანელობით „დინამომ“ სადებიუტო მატჩიც („სამგურალთან“) მოიგო და საერთოდაც, გუნდს მართლაც ფანტასტიკური სერია ჰქონდა: 13 მატჩში 11 მოგება, 2 ფრე და არც ერთი წაგება! ამ 13 შეხვედრაში დინამოელებმა მეტოქეთა კარში 28 გოლი გაიტანეს და საკუთარში მხოლოდ ერთი გაუშვეს („ტორპედოს“ უკრაინელი ლეგიონერის, **ანდრეი პოროშინისგან**); ასეთმა შთამბეჭდავმა სერიამ კი ის „მოიტანა“, რომ სეზონის ბოლოს ჩემპიონატში სიტუაცია არნახულად დაიძაბა: უკანასკნელ ტურში ქუთაისის „ტორპედო“ თბილისის „დინამოს“ მასპინძლობდა და ამ მატჩში გამარჯვებული ოქროს მედლებს ეუფლებოდა; არანაკლებ უცნაური იყო ის ფაქტიც, რომ ამ შეხვედრის ფრედ დამთავრების შემთხვევაში საქართველოს ჩემპიონი... „ლოკომოტივი“ ხდებოდა, რომელსაც ბოლო ტურში უმოტივაციო ბათუმის „დინამოს“ ძლევა არ უნდა გასჭირვებოდა. ასეც მოხდა: **სერგო კოტრიკაძისა** და **გია ჯიშკარიანის** „ტანდემის“ ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ლოკომოტივმა“ მეტოქე დიდი ანგარიშით (5:1) დაამარცხა;


ივო შუშაკი

მაგრამ ქუთაისში დრამატულ და, რბილად რომ ვთქვათ, სკანდალურ „საჩემპიონო მატჩში“ მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს და ზედიზედ მესამედ დაეუფლნენ ოქროს მედლებს. აღსანიშნავია, რომ „ოქროს გოლი“ ქუთაისელთა ახალგაზრდა ნახევარმცველმა, 20 წლის **მალხაზ ასათიანმა** გაიტანა...

შუშაკის სადებიუტო სეზონი წარუმატებელი გამოდგა: „დინამო“ ზედიზედ მესამედ დარჩა ოქროს მედლების გარეშე და ამას გარდა, საქართველოს თასის ნახევარფინალში თბილისის „ლოკომოტივთან“ დამარცხდა...

ერთი წლის შემდეგ ივო შუშაკი ნამდვილი ტრიუმფატორი გახლდათ: „დინამომ“ ჩემპიონის ტიტულიც დაიბრუნა და საქართველოს თასსაც დაეუფლა.

## სარეკორდო სეზონი

2002-2003 წლების სეზონი მართლაც გამორჩეული იყო საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში: არც მანამდე და არც მერე არ ყოფილა შემთხვევა, როცა ჩვენ პირველობაში ერთდროულად ოთხ უცხოელ მწვრთნელს ემუშავა! შუშაკზე უკვე მოგახსენეთ — ხორვატი მწვრთნელი პირველიდან ბოლო ტურამდე ხელმძღვანელობდა გუნდს; ისე როგორც ჯანი კარნევალე, ვისი ხელმძღვანელობითაც „ვიტ ჯორჯიამ“ მესამე ადგილი დაიკავა. არანაკლებ წარმატებულად იმუშავა დანარჩენმა ორმა უცხოელმა მწვრთნელმაც: **ალექსანდრ შტელინმა** ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე დატოვა „ტორპედო“, თუმცა ქუთათურების მეორე ადგილზე გასვლა ამ უკრაინელი სპეციალისტის დამსახურება რომ იყო, ფაქტია. სხვათა შორის, ჩემპიონატის გადამწყვეტ, მეორე ეტაპზე შტელინის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ტორპედომ“ ორივე მატჩი ქუთაისშიც და თბილისშიც მოუგო „დინამოს“...

მოკლედ, სეზონის დასრულების შემდეგ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩემპიონატის სამივე პრიზიორი ამ წარმატებასთან უცხოელმა მწვრთნელებმა მიიყვანეს; თუმცა, ამით ყველაფერი არ დასრულებულა: მეოთხე ადგილი თბილისის „ლოკომოტივმა“ დაიკავა, სადაც ექვსი ტურის შემდეგ მთავარ მწვრთნელად პერუს მოქალაქე (წარმოშობით — ბერძენი) **ლუის ცაკარიასი** დაინიშნა. ჰოდა, ადვილი წარმოსადგენია, იმ სეზონში თუ რამდენი ისეთი მატჩი იქნებოდა, ერთმანეთის პირისპირ უცხოელი მწვრთნელები რომ იქნებოდნენ. საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი ასეთი პაექრობა იმ სეზონის საწყის ტურშივე მოხდა: ალექსანდრ შტელინის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ტორპედომ“ **ზურაბ იონანიძის** ერთადერთი გოლის წყალობით ჯანი კარნევალეს „ვიტ ჯორჯიას“ აჯობა. მოკლედ, ბოსკამპის, შუშაკისა და კარნევალეს მსგავსად, საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო მატჩი შტელინმაც მოიგო; ეს ტრადიცია არც ლუის ცაკარიასს დაურღვევია: პერუელ-ბერძენი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ჩატარებულ სადებიუტო მატჩში „ლოკომოტივმა“ სტუმრად რუსთავის „გორდას“ აჯობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამარჯვების მომტანი ერთადერთი ბურთი „ლოკომოტივის“ ჭაბუკმა ნახევარმცველმა და იმ დროისათვის ერთ-ერთმა ყველაზე პერსპექტიულმა ფეხბურთელმა, 18 წლის **მურთაზ ბურნაძემ** გაიტანა...

**გია ტუხაშვილი**

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*


ლუის ცაკარიასი

რეიტინგი

# დინამო ასეულის მიჯნაზე

ევროპის ლიგის პირველ ეტაპზე მოლდოვურ "მილსამისთან" მოპოვებულმა გამარჯვებამ თბილისის "დინამო" ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHS) ყოველთვიურ საკლუბო რეიტინგში ერთბაშად 22 საფეხურით დააწინაურა და **ალექს გარსიას** გუნდი დღეს მსოფლიოში 102-ეა.

"ზესტაფონი", რომელიც წინა თვეში 161-ე იყო, დღეს 168-ე პოზიციაზეა და იმედია, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპსაც გადალახავს და ამით რეიტინგშიც იხეირებს.

ყველაზე დიდი ნინსვლა კი რუსთავის "მეტალურგს" აქვს, რომელმაც ერევანში "ბანანცის" დამარცხებით 420-ედან 295-ე ადგილზე გადაინაცვლა. საუკეთესო 350-ეულში საქართველოდან მხოლოდ ეს სამი კლუბია წარმოდგენილი.

აქვე ჩვენი საევროთასო მეტოქეების მდგომარეობასაც გადავხედოთ. "ზესტაფონის" საჩემპიონთალიგო მოწინააღმდეგე "დაჩია" ფეროელთა მეზობლადაა, 172-ე ადგილზე; "დინამოსა" და "მეტალურგისგან" ძლეულები, "მილსამი" და "ბანანცი" 350-ეულში საერთოდ არ არიან, "გაგრას" მომავალი მეტოქე "ანორთოსისი" კი 159-ე პოზიციაზეა.

რაც შეეხება საუკეთესო ათეულს, პირველ ორ ადგილზე ესპანური გრანდები რჩებიან, ევროპის ლიგის გამარჯვებული "პორტუ" მესამეა, ლიბერტადორესის თასის მოგებით ბრაზილიური "სანტოსი" ათეულში შევიდა, გამოსარჩევია კიევის "დინამოს" შედეგიც.

IFFHS-ის ზეათეული კი ასეთია: **1. ბარსელონა (ესპანეთი), 2. რეალი (ესპანეთი), 3. პორტუ (პორტუგალია), 4. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), 5. მანჩესტერ სიტი (ინგლისი), 6. ვილიარეალი (ესპანეთი), 7. ინტერი (იტალია), 8. ველეს სარსფილდი (არგენტინა), 9. სანტოსი (ბრაზილია), 10. დინამო (უკრაინა).**

ევროტურნირები

# გაგრამ და ზესტაფონმა მსაჯები შეიტყვეს

რამდენიმე დღის წინ იმ მსაჯების ვინაობა გაგაცანით, რომლებიც ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართული კლუბების განმეორებით მატჩებს იმსაჯებენ. დღეისთვის კი "გაგრასა" და კვიპროსული "ანორთოსისის" ორივე შეხვედრის მსაჯთა ბრიგადებია ცნობილი.

პირველ მატჩს, 14 ივლისს, რომელიც ლარნაკას "ანტონის პაპადოპულოსზე" გაიმართება, ჩეხები მოემსახურებიან **რადეკ მატეჟეკის** ხელმძღვანელობით, განმეორებით დაპირისპირებას კი, რომელიც ზესტაფონის "დავით აბაშიძეზე" 21 ივლისს ჩვენი დროით საღამოს 9 საათზე დაიწყება, გერმანული ბრიგადა გაუძღვება **პეტერ ზიპელის** თავკაცობით.

გაირკვა იმ მსაჯების ვინაობაც, რომლებიც 20 ივლისს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კიშინიოვის "ზიმბრუზე" ადგილობრივი "დაჩიასა" და "ზესტაფონის" მატჩს გაუძღვებიან - შეხვედრის განსჯა **ჰარალდ ლეხნერის** მეთაურობით ავსტრიელებს მიანდეს. შეგახსენებთ, პირველ შეხვედრას 13 ივლისს ზესტაფონში თურქი **ჰალის ოზქაია** იმსაჯებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ანდრეი შევჩენკო

# დასვენება ჯერ ადრეა

**დამოუკიდებელი უკრაინული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელმა 34 წლის ანდრეი შევჩენკომ ფიფას ოფიციალურ საიტს ინტერვიუ მისცა. ინტერვიუ საკმაოდ საინტერესო გამოდგა. ჩვენ მას მცირე შემოკლებით გთავაზობთ.**

**- ანდრეი, კიდევ რამდენს ხანს აპირებთ ფეხბურთის თამაშს?**

- ჯერ ყველაფერი რიგზეა. თავს ახალგაზრდულად ვგრძნობ და მაქვს მოტივაციაც. მოვა დღე, როცა ამის გაკეთება მომიწევს, მაგრამ ამ ეტაპზე ამაზე არ ვფიქრობ. წინა სეზონში ცოტა გოლი არ გამიტანია.

**- მეორე წელია ზედიზედ, "დინამო" "შახტარის" შემდეგ მეორე ამთავრებს ჩემპიონატს...**

- არც ისე გულდასაწყვეტია, ჩვენ ხომ კარგი სეზონი გვქონდა. უბრალოდ, "შახტარი" ბევრად უფრო სტაბილური იყო, განსაკუთრებით სეზონის პირველ ნაწილში.

**- რას ფიქრობთ ფეხბურთის ბოლო ტენდენციებზე - მაგალითად იმაზე, რომ საუკეთესოები მხოლოდ ფიზიკურად პატარა ფეხბურთელები ხდებიან?**

- სპორტი იცვლება. ფეხბურთში ახლა უმთავრესია, რამდენად სწრაფად შეგიძლია ბურთის კონტროლი და თამაშის წაკითხვა. ეს ორივე ელემენტი დახვეწილ ტექნიკას მოითხოვს. ამ მხრივ "ბარსელონაში" საქმე ფანტასტიკურად აქვთ. იმას, რომ პატარები არიან, კომპენსაციას ბურთის სწრაფად გათამაშებით უკეთებენ.

**- ლობანოვსკისაც სწორედ ასეთი ფილოსოფია ჰქონდა. სიჩქარე და გუნდურობა ფეხბურთის მთავარ ძალად მიაჩნდა.**

- მართალი ხართ, მაგრამ სიჩქარე არ ნიშნავს მხოლოდ სწრაფ სირბილს. მთავარია, ფეხბურთელებმა სიტუაციის ანალიზი მაქსიმალურად სწრაფად გააკეთონ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გუნდს სწრაფად შეეძლოს დაცვიდან შეტევაში გადასვლას და პირიქით. მნიშვნელოვანია გუნდურად მუშაობა, თუმცა თუ გუნდს უნდა, რომ უმაღლეს მწვერვალებს შესწვდეს, ამისთვის შემადგენლობაში ლიონელ მესი ან კრიშტიანო რონალდო უნდა ჰყავდეს. ასეთი მოთამაშეები გუნდური სტრატეგიით უნდა მოქმედებდნენ, მაგრამ მზად უნდა იყვნენ, რომ მატჩის ბედის ინდივიდუალურად გადაწყვიტონ.

**- მოგვიყევით თქვენი აღმავლობისა და დაცემის ამბები.**

- არ ვფიქრობ, რომ კარიერა მხოლოდ აღმავალი და დაღმავალი მომენტებისგან შეიძლება შედგებოდეს. მე ოთხჯერ ვითამაშე მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფის მატჩებში, მაგრამ ჯერ გერმანიასთან დავმარცხდი, შემდეგ საბერძნეთთან. ოცნება მაინც ავისრულე, 2006 წელს ჩემი ქვეყნის ღირსება ამ ტურნირზე მაინც დავიცავი. მაშინ იტალიამ 1/4-ფინალში გამოგვაგდო. ნებისმიერმა წაგებამ შეიძლება გაგაძლიეროს, თუკი დასკვნის გამოტანას შეძლებ.

**- თქვენი აზრით, თამაშის სტილით ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელი გგავთ?**

- ამწუთას მსოფლიოში ბევრი ტოპკლასის თავდამსხმელია და ყველას დახასიათება ინდივიდუალურად შეიძლება. პირადად მე არავისთვის მიბაძვა არ მიცდია. თავდამსხმელი, რომელიც ყველაზე მეტად მომწონს, ეს უეინ რუნია. ის არასოდეს ჩერდება, გუნდისთვის ბევრს მუშაობს და გადამწყვეტი გოლები გააქვს.

**- თქვენ უკრაინის ნაკრების ვეტერანი ხართ. უკვე 101 მატჩი ჩაატარეთ, 3-ით ნაკლები, ვიდრე ტიმოშჩუკმა. რომელი თქვენგანი მოახერხებს უფრო მეტი მატჩის ჩატარებას ეროვნულ გუნდში?**

- ჩვენ ორივემ მივაღწიეთ 100-მატჩიან ნიშნულს, რაც აქამდე უკრაინაში არასოდეს მომხდარა. ძალიან ბევრი შანსი მქონდა, რომ მას დავწეოდი, მაგრამ... კიდევ გავიმეორებ: მე შემიძლია ნაკრებში კიდევ ვითამაშო.

**- ევრო 2012-ზე უკრაინის ნაკრების მიზანი რა იქნება?**

- ვფიქრობ, რომ ჩემპიონატის ფავორიტებს სერიოზულ პრობლემებს შევუქმნით. უკრაინული ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა, როგორ საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე. მას შემდეგ რაც ჩემპიონატის



შევა ევრო 2012-ის ფავორიტებს პრობლემებით ემუქრება

ჩვენთან ჩატარება გადაწყდა, კლუბები სულ უფრო მეტ ფულს დებენ ინფრასტრუქტურაში. ამან ქვეყანაში განვითარების რეალური საფუძველი შექმნა, თანაც მხოლოდ საფეხბურთო კუთხით არა. ბედი თუ გაგვიღიმებს, ჩვენ ჩემპიონატის მოგებაზე ფიქრიც შეგვეძლება. ვეტერანები ნიჭიერ ახალგაზრდობას მხარში უნდა დავუდგეთ და განვითარებაში ხელი შევუწყოთ.

**- დაასახელეთ უკრაინის ყველაზე იმედის მომცემი ფეხბურთელები.**

- ტარას სტეპანენკო "შახტარიდან", ევგენი კონოპლიაკა "დნიპროდან" და ჩემი თანაგუნდელი ანდრეი იარმოლენკო უკრაინული ფეხბურთის მომავალს წარმოადგენენ. დარწმუნებული ვარ, ისინი იმედებს გაამართლებენ.

**- თქვენ თქვენი შვილების დაბადება გოლებით აღნიშნეთ. ჟორდანი როცა დაიბადა, "მილანი"-"სამპდორიის" შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი გაიტანეთ, კრისტიანის დროს კი "ჩელსიში" იყავით და "უოტფორდს" შეუგდეთ. მესამე შვილს ხომ არ გეგმავთ, თანაც ზუსტად ევრო 2012-ისთვის?**

- არა, მაგრამ კარგი იდეაა (იცინის).

**ლევან ბიბილაშვილი**

ვერდერი

# არნაუტოვიჩმა პირობა დადო: გამოვსწორდები!

## მარკო ყველაფერს ისევ ნულიდან იწყებს და ვინ მოთვლის, მერამდენედ დებს ასეთ პირობას...



„ვერდერის" პრობლემატურმა თავდამსხმელმა **მარკო არნაუტოვიჩმა** კიდევ ერთხელ დადო პირობა, რომ კარგად მოიქცევა და ასი პროცენტით ფეხბურთზე იქნება კონცენტრირებული. ფაქტია, რომ მის ნიჭში ეჭვი არავის ეპარება, 22 წლის ავსტრიელი ფორვარდის მთავარი პრობლემა მისი არაპროფესიონალიზმი და გართობის მეტისმეტი სიყვარულია, რაც ხელს უშლის, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბდეს, თორემ უკვე წლებია, რაც არნაუტოვიჩი ერთ-ერთ უდიდეს ტალანტად მიიჩნევა. მოიარა „ტვენტე", „ინტერი", ახლა კი „ვერდერშია". იმედების გამართლება კი დღემდე ვერ შეძლო.

*„ჩემ შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. გასულ სეზონში მართლა ცუდად ვიქცეოდი და ვხვდები, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრალია ის, რომ ცუდი სეზონი მქონდა. ძალიან მინდა, შევიცვალო და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ იმედები გავამართლო",- უთხრა არნაუტოვიჩმა „კიკერს".*

შეგახსენებთ, რომ ბრემენულმა კლიბმა მარკო ერთი წლის წინ „ტვენტედან" 6.2 მილიონ ევროდ იყიდა და წესით, „მუსიკოსების" მთავარი დამრტყმელი ძალა უნდა გამხდარიყო. მან კი 25 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ 3 გოლი გაიტანა, რაც ცენტრალური თავდამსხმელისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდი შედეგია. თუმცა მარკო არა მარტო მოედანზე გამოიყურებოდა ცუდად, არამედ მოედანს მიღმაც საშინლად იქცეოდა და ხალხს თავი მხოლოდ სკანდალებით დაამახსოვრა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ მაისში, მორიგი ცუდი საქციელის შემდეგ (დისკოთეკაზე იჩხუბა), „ვერდერის" მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** ის გუნდიდან მოკვეთა. ამავდროულად, არნაუტოვიჩი ავსტრიის ეროვნული ნაკრებიდანაც მოკვეთეს – ეს გადაწყვეტილება ავსტრიის პირველი გუნდის თავკაცმა **დიტმარ კონსტანტინიმ** მას მერე მიიღო, რაც მარკომ თანაგუნდელები და თავად მწვრთნელი გააკრიტიკა.

ახლა კი მარკო კიდევ ერთხელ ამბობს, ყველაფერს ნულიდან ვიწყებ, აუცილებლად გამოვსწორდებიო. *„ახალი სეზონი კარს მოგვადგა. ყველაზე მთავარი და სასიამოვნო ის არის, რომ მწვრთნელისგან და მთლიანად კლუბისგან ნდობას ვგრძნობ. სწორედ ამიტომ, მეც მოვინდომებ და მაქსიმუმს გავაკეთებ, - ამბობსნ არნაუტოვიჩი და იქვე დასძენს, - ერთი წლის წინ ვთქვი, ჩემპიონები გავხდებით-მეთქი და ახლა ასეთ რამეს აღარ ვიტყვი. თუმცა იმას კი ნაღდად გამოვრიცხავ, რომ მომავალ სეზონშიც მხოლოდ გადარჩენისთვის ვიბრძოლოთ. „ვერდერს" საკმარისად ძლიერი გუნდი ჰყავს იმისათვის, რომ ჩვენი მიზანი საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა და მინიმუმ ევროპის ლიგაში თამაში იყოს."*

**გოტფრიდ ლენცი**

პორტუგალიური ამბები

# პორტუს დანაკლისი და სპორტინგის მატება

**პორტუგალიურ ფეხბურთში თუკი რამ საინტერესო ხდება, ბუნებრივია, ძირითადად იმ კლუბების თავს, რომელთაც მთელ მსოფლიოში კარგად იცნობენ. ლაპარაკია "პორტუზე", "სპორტინგსა" და "ბენფიკაზე". ამ ბოლო ხანს ყურადღების ცენტრში "ბრაგაც" მოექცა, მაგრამ ისეთივე ინტერესს იმსახურებსო, მაინც ვერ ვიტყვით.**

### პორტუ

"პორტუს" სეზონისწინა მოსამზადებელ ეტაპზე სერიოზული დანაკლისი აქვს. მზადება დაიწყო და გუნდს სამი წამყვანი ფეხბურთელი აკლია. ესენი არიან **როლანდო, ჟოაო მოუტინიო** და **გუსტავო ვარელა**. მათ ვარჯიში სულ რამდენიმე დღის წინ დაიწყეს (ნაკრების გამო მათ შვებულებაც სხვებზე გვიან დაეწყოთ). მთავარ ჯგუფს კი როდის შეუერთდებიან, ეს ჯერ არავინ იცის. უცნობია, დატოვებს თუ არა ევროპის ლიგის გამარჯვებულ კოლექტივს როლანდო, ცენტრალური მცველი, ვინც პრესას ძირითადად "რომაში" გადაჰყავს. "ჯალოროსის" თავკაცი **ლუის ენრიკე** პირადად შეეხმიანა "პორტუს" ხელმძღვანელობას და ტრანსფერის დაჩქარება სთხოვა. თუმცა გაუწევენ თუ არა თუ არა ესპანელი სპეციალისტის თხოვნას ანგარიშს, ეს მეორე საკითხია. რაც შეეხებათ მოუტინიოსა და ვარელას, მათ თავად გამორიცხეს სხვაგან წასვლის შესაძლებლობა. **ანდრეს ვილას-ბოასის** "ჩელსიში" წასვლის შემდეგ "არისტოკრატებმა" მწვრთნელის საყვარელი რამდენიმე ფეხბურთელის შეძენა მოისურვეს. მათ შორის იყო მოუტინიოც, მაგრამ პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელმა, როგორც იტყვიან, ლონდონელთა წინადადება ცხვირზე არ დაიდო. მან ამით **რომან აბრამოვიჩს** დაუმტკიცა, რომ ფული ყველაფერს ვერ წყვეტს.

რაკი დანაკლისზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივია, უნდა ვახსენოთ **ფერნანდო ბელუსკი**. არგენტინელმა დაზიანება წინა კვირას მიიღო. თავდაპირველად ტრავმა მსუბუქი ეგონათ. ექიმებმა ფეხბურთელი დაამშვიდეს, მხოლოდ ერთი დღე გაგიცდებაო, მაგრამ შემდეგ დაადგინეს, რომ საქმე უფრო სერიოზულად იყო. ჯერ საბოლოო დიაგნოზს ვერავის სვამს. სამხრეთამერიკელი ვარჯიშს მხოლოდ სატრენაჟორო დარბაზში ახერხებს.

დაბოლოს, 21 წლის ბრაზილიელმა **კლებერმა** "პორტუსთან" კონტრაქტი 2016 წლამდე გააფორმა. კონტრაქტი გათვალისწინებულია მისი გამოსასყიდი თანხა - 40 მილიონი ევრო.

### სპორტინგი

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ლისაბონის "სპორტინგის" სკაუტთა ჯგუფი შემადგენლობის გასაძლიერებლად უზარმაზარ სამუშაოს ატარებს. ცალკე აქტიურობს კლუბის მენეჯმენტი და უკვე გამოცდილ ფეხბურთელებს ეძებს, რომლებიც გუნდს უკვე ხვალ დაეხმარებიან დასახული მიზნების განხორციელებაში. ლისაბონელები "პარმას" დაუკავშირდნენ და ბულგარელი თავდამსხმელის, 25 წლის **ვალერი ბოჟინოვის** არენდით გაშვება შესთავაზეს. "პარმამ" ფეხბურთელის გასხვისება შორს არ დაიჭირა, მაგრამ არც საბოლოო პასუხი მიუცია. ბულგარელის აგენტ **ჯენარო პალომბოს** თქმით, მისი კლიენტით სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებულნი და კლუბი ყველაზე სარფიანი წინადადების მოლოდინშია. ჯერჯერობით კი, "მალაგა" პორტუგალიელებზე უფრო ხელგაშლილია, ის ფეხბურთელს ყიდულობს და მასში სოლიდურ თანხასაც იხდის.

გარდა დაგეგმილი ტრანსფერებისა, ლისაბონელებს შეუძლიათ კონკრეტული ახალწვეულებით იამაყონ. გუშინწინ გულშემატკივართა წინაშე წარდგენილი არგენტინელი ნახევარმცველი **ფაბიან რინაუდო** უკვე მერვე ახალწვეულია "სპორტინგისთვის". "ალბისელესტეს" წევრმა (სულ 3 თამაში ნაკრებში) კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელმა წინა სეზონი მშობლიურ "ხიმნასია და ესგრიმაში" გაატარა და მასთან ერთად ქვედა ლიგის საგზური "მოიპოვა". **დომინგუშ პასიენსიას** განკარგულებაში შემდეგი ახალი ფეხბურთელები იქნებიან: **მარსელო, ოგუჩი ონიევუ, სანტიაგო არიასა, სტინ სხაარსი, რიკი ვან ვოლფსვინკელი, ალბერტო როდრიგესი და ანდრე კარილო** და ზემოთ ხსენებული რინაუდო.

**ლევან ბიბილაშვილი**

პარი სენ-ჟერმენი

# პსჟ ამჯერად თავს იცავს

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ხმები მხოლოდ იმის შესახებ ვრცელდებოდა, რომ პსჟ-ს ვილაცის ყიდვა უნდოდა, ან კიდევ უკვე იყიდა. ამჯერად პარიზელებს თავის დაცვა უხდებათ, რადგან სხვებს მოუნდათ მათი ფეხბურთელები. მაგალითად ინგლისური "ნიუკასლი" "პარკ დე პრენსიდან" თურქი **მევლუთ ერდინგის** გადაბირებას ცდილობს. მართალია, ის წამყვანი ფეხბურთელი არ არის, მაგრამ ხელმძღვანელობა მის სხვა ტრანსფერში გამოყენებას გეგმავდა. ახლა კი შეიძლება მასთან გამოთხოვება მოუხდეს.

გარდა ერდინგისა, პსჟ-ს კიდევ ერთი ფეხბურთელი იწვევს სხვათა ინტერესს. ეს არის **ლუდოვიკ ჟიული**. თუმცა სიტუაცია აქ ცოტა უცნაურია. მხარეთა შორის დადებული კონტრაქტი 30 ივნისს ამოიწურა. თავისუფალი აგენტის სტატუსის მიღების შემდეგ მას შეუძლია სხვაგანაც ავიდეს, მაგრამ მას დარჩენა უნდა. პსჟ ხელშეკრულებას სთავაზობს, მაგრამ შემცირებული ხელფასით. აგენტის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მის კლიენტს აშშ-იდან, ყატარიდან და რუსეთიდან ბევრად მომგებიანი შეთავაზებები აქვს, ლუდოვიკი უახლოეს დღეებში მოაწერს ხელს "პარი სენ-ჟერმენთან" ახალ კონტრაქტს.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

**დორტმუნდის ბორუსია**

# ახტუნგ, ბაიერნ!

### 40 000 ფანი სეზონის ოფიციალურ გახსნაზე, კლოპი ძალიან მაგარ სეზონს გვპირდება!


იურგენ კლოპმა ავტოგრაფები უხვად არიგა

როგორც ჩანს, საზაფხულო პაუზამ დორტმუნდში გერმანიის ჩემპიონობით გამოწვეული ეიფორია ოდნავადაც არ ჩააცხრო. კვირას, ჩემპიონობიდან ზუსტად 50 დღის შემდეგ, სეზონის ოფიციალურ გახსნას BVB-ს 40000 გულშემატკივარი დაესწრო. ქომაგებისთვის მთავარი ის იყო, რომ მათ ფეხბურთელებთან ახლოს მისვლა და სახლში მშვენიერი, ისტორიული სუვენირების წაღება შეეძლოთ. „ბორუსიას“ ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, ყველა მსურველს სულ რაღაც 5 ევროდ შეეძლო „ვესტფალენშტადიონის“ მოედნის საჩემპიონო საფრის პატარა ნაწილის (25X25 სმ) ყიდვა. გარდა ამისა, მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** და მოთამაშეებმა ფანებს უამრავი ავტოგრაფი ჩამოურიგეს და არაერთ აქციაში მიიღეს მონაწილეობა. ნაშუადღევს კი, „ბორუსიამ“ სპეციალურ სცენაზე ახალი შემადგენლობა წარადგინა – ფეხბურთელებს შორის იყვნენ ახალწვეულებიც: **ივან პერიშიჩი, ილქაი გიუნდოგანი, მორიტც ლაიტნერი, კრის ლიოვე** და **მარვინ ბოკალორცი**.

კლოპი კი მიუნხენის „ბაიერნს“ დაემუქრა: *„ყველამ ვიცით, რომ მიუნხენელები მომავალ სეზონში ძალიან მოინდომებენ, მაგრამ ჩვენ ნამდვილად გვაქვს იმის საფუძველი, რომ რეკორდმაისტერს მაგრად დავემუქროთ. არც ერთი ჩვენგანი არ დანაყრებულა, ყველანი ძალიან მონდომებულები ვართ და გვინდა, რომ 2011/2012 წლების სეზონის ბოლოსაც მაგრად ვიზეიმოთ. ახლა ჩემპიონთა ლიგაშიც ვითამაშებთ და კიდევ უფრო მეტი შემართება გვმართებს. ქომაგებს ვპირდები, ჩვენ კიდევ ერთ ძალიან მაგარ სეზონს გაჩუქებთ!“*

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც კლოპმა სეზონის ოფიციალურ გახსნაზე მოისაკლისა, 26 წლის თავდამსხმელი **ლუკას ბარიოსია**, რომელიც ახლა პარაგვაის ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკაზე თამაშობს. დიდი შანსია, რომ ამის გამო ბარიოსმა ვერც ბუნდესლიგის პირველ ტურში (5 აგვისტოს, „ჰამბურგთან“) ითამაშოს. თუ პარაგვაის ნაკრები მეოთხედფინალში გავა, ბარიოსი 5 აგვისტომდე გერმანიაში ჩასვლას ვერ მოახერხებს.

*„ორი აზრი არ არსებობს: ლუკასს დამატებითი შვებულება დასჭირდება. როცა პარაგვაის ნაკრები კოპა ამერიკაზე მოღვაწეობას დაასრულებს, ბარიოსს კიდევ ორ კვირას დავასვენებთ,“* - ამბობს კლოპი.

ბარიოსს ძირითად შემადგენლობაში ან **რობერტ ლევანდოვსკი** შეცვლის, ანაც 22 წლის ხორვატი ახალწვეული **ივან პერიშიჩი**, რომელიც „ბორუსიამ“ შემტევი ნახევარმცველის პოზიციისთვის იყიდა, თუმცა მას ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზეც შეუძლია ასპარეზობა. პერიშიჩი გასულ სეზონში 23 გოლით ხომ ბელგიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. *„დორტმუნდელმა გულშემატკივრებმა ფანტასტიკური დახვედრა მომიწყვეს. ბედნიერი ვარ, რომ ამ გენიალურ კლუბში აღმოვჩნდი“*, - თქვა პერიშიჩმა წარდგენის შემდეგ.

**გოტფრიდ ლენცი**

**ვოლფსბურგი**

# მაგათი გამგელებულია!

### ჯერ ტრეში, მერე რუსი და შანსი კალენბერგს

„ვოლფსბურგი“ ახალი სეზონისთვის გამალებით ემზადება და **ფელიქს მაგათის** გუნდმა კვირას პირველი სერიოზული ტესტ-მატჩი გამართა. მართალია, „მგლების“ 57 წლის დამრიგებელი ამბობს, ამ თამაშით სერიოზული დასკვნების გაკეთება არ შეიძლებაო, მაგრამ „დესპოტი ფელიქსი“ მაინც ვერ მალავს კმაყოფილებას იმის გამო, რომ მისმა შეგირდებმა „ჰამბურგი“ 5:1 გაანადგურეს – გოლები: **ლაკიჩი, შაიდჰაუერი, მანჯუკიჩი, თუნჯაი** (2).

ამავდროულად, მაგათი ტრანსფერებზე მუშაობას აგრძელებს და უკვე საკმაოდ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ასე, მაგალითად, ფელიქსი უკვე ყველაფერზე შეუთანხმდა 23 წლის შტუტგარტელ **კრისტიან ტრეშს**, სულ მალე კი შვაბურ კლუბთანაც მოილაპარაკებს (ფასის თაობაზე). ტრეშის გარდა, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „ვოლფსბურგში“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „აინტრახტის“ მცველი, 25 წლის **მარკო რუსიც** გადავა. ამ უკანასკნელს ფრანკფურტულ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული და მაგათს მისი ყიდვა ახლავე უნდა. თუკი ტრეშის შემთხვევაში საქმე მინიმუმ 10 მილიონ ევროს ეხება, რუსი „მგლებს“ გაცილებით ცოტა, დაახლოებით 4 მილიონი ევრო დაუჯდებათ. მაგათს ახალი მცველი ძალიან სჭირდება, რადგან 32 წლის **არნე ფრიდრიხი** ისევ დაშავდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვოლფსბურგს“ დაცვაში საკადრო პრობლემები აქვს. გამორიცხული არც ისაა, რომ მაგათმა რუსთან ერთად, სხვა ცენტრალური მცველიც იყიდოს.


ფელიქს მაგათი ვოლფსბურგს ახალი სეზონისთვის დიდი მონდომებით ამზადებს

რაც შეეხება გამთამაშებლის პოზიციას: ადრეც გაუწყეთ, რომ მაგათს 26 წლის ბრაზილიელი ფლეიმეიკერის, **დიეგოს** გაყიდვა უნდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერაც გუნდთან ერთადაა. მიზეზი აბსოლუტურად გასებია: დიეგომ ბოლო ორი სეზონი ძალიან ცუდად ჩაატარა და ჯერჯერობით სერიოზული მთხოვნელი არ ჰყავს. მაგათს კი მისი იაფად დათმობა არ უნდა. მართალია, ფელიქსმა 21 წლის **მატეუშ კლიხის** სახით ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველი იყიდა, მაგრამ ამ უკანასკნელს პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში ვერ გაამწესებს – უბრალოდ, ვერ ენდობა. ფელიქსი იმასაც ამბობს, გამობრძმედილი გამთამაშებლის ყიდვა ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგასო. დიეგოზე მაგათს ხელი ჩაქნეული აქვს, სამაგიეროდ უნდა, რომ 28 წლის **თომას კალენბერგს** კიდევ ერთი შანსი მისცეს. „ჰამბურგთან“ მან გამთამაშებლის პოზიციაზე 22 წლის **ია-ჩეოლ კოო** და 29 წლის თურქი **თუნჯაი სანლიც** ათამაშა. გამორიცხული არც ისაა, რომ ტრეშის ტრანსფერის შემდეგ ფელიქსმა გამთამაშებლიან ტაქტიკაზე საერთოდ უარი თქვას და ორი კლასიკური 4-4-2-ით ითამაშოს.

გარკვეული ცვლილებები დაცვაშიცაა მოსალოდნელი. ფრიდრიხის ტრავმაზე უკვე ვთქვით, მარცხენა მცველმა **მარსელ შეფერმა** (27 წლის) „ვოლფსბურგთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, აი, მარჯვენა მცველ **საშა რიტერს** (28) კი წასვლა უნდა. კითხვაზე - კაპიტანი კვლავაც შეფერი იქნება თუ ვინმე სხვა - მაგათი პასუხობს, ჯერ არ ვიცი, ყველაფერი მოსამზადებელ შეკრებაზე გამოჩნდება და გადაწყდებაო.

**გოტფრიდ ლენცი**

**ლევერკუზენი**

# სუპერდუეტი უკვე შეთამაშდა

### ლევერკუზენელები წინა ხაზში შიურლესა და კისლინგის იმედად არიან

ახალი სეზონისთვის „ლევერკუზენიც“ გულმოდგინედ ემზადება, ყურადღების ცენტრში კი „ბაიერის“ ახალ მწვრთნელ **რობინ დუტთან** ერთად, ახალი თავდამსხმელი **ანდრე შიურლეცაა**, რომელიც „ფარმაცევტებში“ „მაინციდან“ გადავიდა და ახალ გუნდში თავს უკვე ისე გრძნობს, თითქოს დიდი ხანია, „ლევერკუზენის“ ღირსებას იცავდეს. ვარჯიშებზე აშკარად თვალშისაცემია ის, რომ მიიღებს თუ არა ბურთს, შიურლე მაშინვე **შტეფან კისლინგს** ეძებს ხოლმე. ეს არცაა გასაკვირი: ახალ სეზონში „ლევერკუზენის“ თავდასხმის დუეტი ხომ სწორედ კისლინგისა და შიურლეს წყვილი უნდა იყოს.

*„ანდრე ძალიან სწრაფი, ტექნიკური და მოაზროვნე ფორვარდია, რომელსაც ყველაფერთან ერთად, მოედნის ჩინებული ხედვა აქვს და მშვენივრად აწოდებს ფლანგიდან. მას შეუძლია როგორც გარემარბის, ისე მეორე ფორვარდის ან გამთამაშებლის პოზიციაზე თამაშიც. თუ საჭირო გახდა, საჯარიმოს თავდამსხმელის ფუნქციებსაც მშვენივრად ითავსებს. ფაქტია, რომ შიურლესთან ერთად სულ სხვა გუნდი ვიქნებით და შეტევაში მეტი პოტენციალი გვექნება“*, - ამბობს კისლინგი.

დუტს ორი ფორვარდით თამაში უყვარს და სავარაუდოდ, „ლევერკუზენის“ ტაქტიკასაც შეცვლის – 4-2-3-1-დან, რომელსაც იუპ ჰაინკესი იყენებდა, 4-4-2-ზე გადაერთვება, სადაც წინა ხაზში ყველაფერი სწორედ გოლეადორ კისლინგზე და მეპასე შიურლეზე იქნება დამოკიდებული. „ლევერკუზენში“ შიურლე თავს უკვე იდეალურად გრძნობს, ყველაზე მეტად კი ის ახარებს, რომ ჩემპიონთა ლიგის ჰიმნს ცოცხლად მოისმენს.

კისლინგი: *„ბოლოს და ბოლოს, ტიტულის მოგება მინდა. მომავალ სეზონში უტიტულოდ აღარ უნდა დავრჩეთ. ბუნდესლიგა, ჩემპიონთა ლიგა, გერმანიის თასი – თუ ჭკვიანურად ვითამაშებთ, ყველა ფრონტზე შეგვიძლია წარმატებისთვის ბრძოლა. რაც შეეხება გოლების რაოდენობას – ამაზე არ ვფიქრობ. თუ რომელიმე ტიტულს მოვიგებთ, ჩემთვის აბსოლუტურად სულერთი იქნება, რამდენ გოლს გავიტან.“*

შიურლეს კი უკვე საკმაოდ ხშირად იძახებენ ხოლმე გერმანიის ნაკრებშიც. მართალია, ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ჯერ ვერავინ აძლევს, მაგრამ დასაწყისისთვის სათადარიგოთა სკამზე ჯდომაც არ არის ურიგო. *„იოახიმ ლიოვი ამ ბოლო დროს ხშირად მენდობა და უყურადღებოდ არასდროს მტოვებს. ჩემი მთავარი კონკურენტი ნაკრებში ლუკას პოდოლსკია, მაგრამ ახლა მისი მისამართით მუქარას არ ვაპირებ,“* - ამბობს ანდრე. მას ურჩევნია, ჯერ კისლინგთან ერთად „ლევერკუზენის“ წინა ხაზში კარგი ტანდემი შექმნას და ლიოვს ყველაფერი საქმით დაუმტკიცოს. ევროპის ჩემპიონატამდე წელიწადია დარჩენილი და გამორიცხული ნამდვილად არ არის, რომ ევრო 2012-ზე გერმანიის ნაკრების სასტარტოში **პოდოლსკის** ნაცვლად სწორედ შიურლე ვიხილოთ.


ლევერკუზენის თავდასხმა: შტეფან კისლინგი და ანდრე შიურლე

### ბარნეტა დაშავდა!

თუმცა „ლევერკუზენში“ ყველაფერი იდეალურად არ არის. მართალია, გერმანიის ვიცე-ჩემპიონებმა ავსტრიის ვიცე-ჩემპიონი ზალცბურგის „რედ ბული“ 4:0 გაანადგურეს, მაგრამ ამ გამარჯვებით გამოწვეული სიხარული სრულად გადაფარა შვეიცარიელი გარემარბის, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის, **ტრანკუილიო ბარნეტას** ტრავმამ, რომელიც 27 წლის ნახევარმცველმა გუშინ მიიღო. პირველი შემოწმების შემდეგ ცხადი გახდა, რომ მას მცირე ოპერაცია დასჭირდება, ოღონდ „ლევერკუზენის“ ექიმებმა ჯერ არ იციან, რამდენ ხანს მოუწევს ლაზარეთში ყოფნა. ასეთი ოპერაცია ბარნეტამ იანვარშიც გაიკეთა და მაშინ ორი თვე დაისვენა.

ამასობაში, ჯერ კიდევ არაა გამორიცხული, რომ შვეიცარიელმა გარემარბმა „ლევერკუზენი“ დატოვოს. მის კონტრაქტში წერია, რომ წელს „ბაიერიდან“ წასვლა სულ რაღაც 3 მილიონი ევროდ შეუძლია, რაც ბარნეტასთვის საკმაოდ დაბალი ფასია.

**გოტფრიდ ლენცი**

**სავარაუდო ტრანსფერი**




მასშემდეგ, რაც „ბრმა აუქციონის“ შედეგად **ემილიანო ვივიანოს** სატრანსფერო უფლებები „ინტერმა“ გამოისყიდა, კიპერი იმედით აღივსო და განაცხადა, რომ აუცილებლად იბრძოლებს მილანური გრანდის ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად. ამ ოპტიმისტური განცხადებიდან დაახლოებით ერთი კვირის თავზე კი ვრცელდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ვივიანო სავარაუდოდ „ჯენოაში“ გააგრძელებს კარიერას. როგორც ჩანს, იტალიის ნაკრების მეკარე მილანში ჩავიდა, კლუბის მესვეურებს, მთავარ მწვრთნელს დაელაპარაკა და გაარკვია, რომ „ინტერში“ პირველ ნომრად კვლავინდებურად **ჟულიო სეზარი** განიხილება.

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, მოვლენათა განვითარების ორი გზა არსებობს ერთი საიჯარო, მეორე კი გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმება. თუ გენუელები ვივიანოს სანაცვლოდ „ნერაძურის“ **როდრიგო პალასიოს** დაუთმობენ, მაშინ სრულფასოვანი ბარტერი შედგება და 25 წლის კიპერი გენუაში რამდენიმე წლით გადაბარგდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საიჯარო კონტრაქტი გაფორმდება, სავარაუდოდ გამოსყიდვის პერსპექტივით.

აღნიშნული ინფორმაცია „ინტერის“ სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** დაადასტურა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ემილიანო ვივიანო **კახა კალაძის** თანაგუნდელი გახდება.

„ინტერთან“ დაკავშირებით კიდევ ერთი ინფორმაცია ვრცელდება, რომლის მიხედვითაც მილანური გრანდის მესვეურებს **ევერ ბანეგას** გადაბირება აქვთ განზრახული. 23 წლის არგენტინელი ნახევარმცველი „ვალენსიას“ საკუთრებაა, ესპანელები კი მასში 15 მილიონ ევროს ითხოვენ. "გაძეტას" მტკიცებით, **მასიმო მორატი** მზადაა სამხრეთამერიკელის სანაცვლოდ 9 მილიონი ევრო გადაიხადოს. უახლოეს მომავალში, მილანელები ესპანელებს ოფიციალური წინადადებით მიმართავენ. ჩვენ კი, ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ნური შაჰინი

# შაჰინს პირველად ყველაფერი შაყირი ეგონა

## მოურინიომ თურქს ნახევარდაცვის ორგანიზება დაავალა


ნური შაჰინს სამეფო კლუბში დიდი მისია დააკისრეს

**გუშინ „დიარიო AS-მა" ბუნდესლიგის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელთან და „რეალის" ახალწვეულ ნური შაჰინთან ინტერვიუ შემოგვთავაზა.**

**- თითქმის ორი თვე გავიდა, რაც „რეალში" თქვენი ტრანსფერი გადაწყდა. ჩამოხვედით მიწაზე თუ ისევ ღრუბლებში ხართ?**

- ოცნება ამიხდა და ახლა „რეალში" თამაშზე უფრო მეტს ვფიქრობ, ვიდრე მაშინ. ახლაც ზღაპარივითაა ის დრო, როცა პირველად გავიგე „რეალის" ჩემით დაინტერესების შესახებ და როცა კონტრაქტს ხელი მოვაწერე. დრო გადის და ჯერ ყველაფერი კარგად ვერ გავაანალიზე, იმდენად ბევრს ნიშნავს ჩემთვის ეს ტრანსფერი.

**- როგორ განხორციელდა თქვენი ტრანსფერი?**

- ძალიან საოცარი მომენტი იყო. ერთხელ სახლში ვისვენებდი, როცა ჩემი აგენტი რეზა ფეზელი დამიკავშირდა და მითხრა, რომ ჩემი კარიერის შესახებ უნდა გამსაუბრებოდნენ. მოულოდნელად მითხრეს, რომ „რეალიდან" დამიკავშირდებოდნენ. ზუსტად ხუთ წუთში ჩემი ტელეფონი ახმაურდა, „გამარჯობა, მოურინიო ვარ", - მითხრა უცნობმა, ვიფიქრე, ალბათ მაშაყირებენ-მეთქი, თუმცა საუბარი გაგრძელდა: „მთელი სეზონი გაკვირდები „დორტმუნდში" და მსურს, ჩემს გუნდში ითამაშო". აი, ასე დაიწყო ყველაფერი.

**- ამ ზარმა მნიშვნელოვნად შეცვალა თქვენი კარიერა, თუ გითხრათ მოურინიომ, რა სურს თქვენგან?**

- რა თქმა უნდა, ჩვენ ვისაუბრეთ ამაზე - მას სურს, რომ მე ნახევარდაცვის ორგანიზება ვითავო.

**- ალბათ ხვდებით, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა გარემოცვაში სასტარტოში მოხვედრა გაგიჭირდებათ...**

- საკუთარი შესაძლებლობებისა დიდად მჯერა და ვიცი, რომ შევძლებ სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრას. თუკი ტრავმა ხელს არ შემიშლის, ამაში დარწმუნებულიც ვარ. ამისთვის ძალიან ბევრს ვიშრომებ. ზიდანი ჩემი ერთ-ერთი კერპია და მინდა, მის მსგავსად ვითამაშო მადრიდში.

**- „რეალი" მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ დღეისათვის არის ერთი კლუბი, რომელიც მასზე ერთი საფეხურით მაღლა იმყოფება - „ბარსა"...**

- „ბარსელონა" ბრწყინვალეა, მაგრამ ეჭვიც არავის ეპარება, რომ მსოფლიოს უდიდესი კლუბი „რეალია".

**- ბუნდესლიგაში ბოლო სეზონში 6 კვირა მუხლის ტრავმის გამო გაგიცდათ. მზად ხართ 11 ივლისის შეკრებისთვის?**

- დიახ, მზად ვარ და შეკრების პირველივე დღეს ბაზაზე გამოვცხადდები. ისევე კარგად ვარ ფიზიკურად, როგორც - ტრავმამდელ პერიოდში. ძველი ტრავმის კვალიც არ დარჩენილა. ნამდვილად ძალიან მონდომებული ვარ, ჩემი კარიერის ახალი ეტაპი დავიწყო. ერთი სული მაქვს, როდის დასრულდება შვებულება. არადა, ფეხბურთელებს, როგორც წესი, ეს არ უხარიათ.

**- თქვენ ესპანურს სწავლობთ. ეს გუნდში ინტეგრირებაში ხელს შეგიწყობთ?**

- ჯერ კიდევ დორტმუნდში დავიწყე ესპანურის შესწავლა, უბრალო ინტერესის გამო. მაშინ არ ვიცოდი, რომ „რეალში" თამაში მომიწევდა. ძალიან დამეხმარა ლუკას ბარიოსი. უკვე ერთი თვეა, მე და ჩემი მეუღლე ესპანური ენის ინტენსიურ კურსებს გავდივართ. როგორც მეჰმეთ თოფალმა მითხრა, როცა „ვალენსიაში" მოხვდა, აღმოუჩენია, რომ ინგლისური ძალიან ცოტამ იცოდა და გუნდელებს მისი გაგება უჭირდათ. ამიტომ, მე არ მსურს იგივე პრობლემები შემექმნას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

### ატლეტიკო და ესპანიოლი პირველები არიან

გუშინლა ლიგას კლუბებიდან პირველებმა ახალი სეზონისთვის მზადება მადრიდის „ატლეტიკომ" და ბარსელონის „ესპანიოლმა" დაიწყეს. თუმცა შეკრების პირველ დღეს ორივე გუნდში ფეხბურთელების სამედიცინო შემოწმებით შემოიფარგლნენ. შეგახსენებთ, რომ მადრიდულ კლუბს ახალი თავკაცი ჰყავს - **გრეგორიო მანსანო**, ხოლო კატალონიურს ისევ არგენტინელი **მაურისიო პოჩეტინო** თავკაცობს. ოთხშაბათიდან „ატლეტიკო" საზაფხულო ბანაკს სეგოვიის რეგიონში, ლოს ანხელეს დე სან რაფაელში დასცემს. „ესპანიოლი" ვარჯიშებს ოდნავ მოგვიანებით დაიწყებს, 11 ივლისს გუნდი პერალადაში შეიკრიბება.

### სევილიას იტალიელი გამოუჯანმრთელდა

„სევილიას" იტალიელი ნახევარმცველი **ტიბერიო გუარენტე** გამოუჯანმრთელდა. გუარენტე მუხლის ტრავმის გამო დააკლდა გუნდს, თუმცა ახლა უკვე თავს 100 პროცენტით ჯანმრთელად გრძნობს და მზად არის შეკრებისათვის. 25 წლის ფეხბურთელმა 2 საათით ინდივიდუალურად ივარჯიშა ექიმ **ხუან ხოსე ლოპესის** მეთვალყურეობის ქვეშ. გუარენტე ზუსტად ერთი წლის წინათ გადავიდა „ატლანტადან" ანდალუსიაში, 5-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა, მაგრამ სულ 3-ჯერ მოირგო „სევილიას" მაისურა.

### მატება ბარსელონადან

„სარაგოსაში" სიახლეა - გუნდი „ბარსელონა B-ს" 2 ფეხბურთელით შეივსო. **აბრაჰამისა** და **ედუ ორიოლის** შემატებას არაგონული კლუბი ოფიციალურად ამ კვირაშივე გამოაცხადებს, თუმცა ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია. მარცხენა მცველმა აბრაჰამმა განაცხადა, რომ მისთვის პრიმერადივიზიონში თამაშის პერსპექტივა დიდი გამოწვევაა. ედუ ორიოლი ფორვარდია, ის აცხადებს, რომ ყველაფერს გაიღებს მომავალში „სარაგოსას" წარმატებისთვის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რეალი



შეეგუება თუ არა მწვრთნელის გადაწყვეტილებას იკერი, ჯერ კიდევ საკითხავია

# მოურინიო კასილიასს კაპიტნობას ჩამოართმევს

ესპანურ მედიაში გავრცელებული ხმების თანახმად, **ჟოზე მოურინიო** „სამეფო კლუბში" კაპიტნის შეცვლას აპირებს. შეგახსენებთ, რომ „რეალის" კაპიტანი, არც მეტი არც ნაკლები - მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტანი **იკერ კასილიასია**. ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ პორტუგალიელი ამხელა ავტორიტეტის ხელყოფას გაბედავს. თუმცა მოურინიოს თავისი არგუმენტები აქვს - მას სჭირდება კაპიტანი, მინდვრის მოთამაშე, რომელსაც მუდამ შეეძლება შეხვერდის არბიტრთან ურთიერთობა. მოურინიოს ეს ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციად მიაჩნია. კასილიასი კი პოზიციის გამო ამას ვერ ახერხებს, რადგან კარის დატოვება არ შეიძლება.

„ჩელსიში" მოღვაწეობისას მოურინიოს გუნდის კაპიტანი **ჯონ ტერი** იყო, „ინტერში" კი - არგენტინელი **ხავიერ ძანეტი**. ჯერჯერობით, მოურინიოს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა ამბობენ, რომ კაპიტნობის უმთავრესი კანდიდატები, მცველი **სერხიო რამოსი** ან ნახევარმცველი **ჩაბი ალონსო** არიან.

ამავდროულად, მოურინიო ზრუნავს, რომ ამ სავარაუდო გადაწყვეტილებით ტრავმა არ მიაყენოს კასილიასს, მას შეუნარჩუნდება ყველა ის პრივილეგია, რაც კაპიტნის სტატუსით აქვს კლუბში. ფაქტობრივად, კასილიასი კაპიტნად რჩება, ოღონდ, არა თამაშის მომენტში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იუვენტუსი


ანტონიო კონტე

# კონტეს შავი სია

## იუვედან მსოფლიოს ჩემპიონებს უშვებენ

**„იუვენტუსი" რომ აქტიურ სატრანსფერო კამპანიას ეწევა, ძველი ამბავია. ტურინული გრანდის მესვეურებმა უკვე გადაიბირეს რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი და გაჩერებას არც მომავალში აპირებენ. თუმცა, დღეს იმათზე გვექნება საუბარი, ვისაც სავარაუდოდ „ბიანკონერის" დატოვება მოუწევს. „გაძეტა დელო სპორტმა" საინტერესო სტატია გამოაქვეყნა, სადაც სწორედ იმ მოთამაშეებზე მოგვითხრეს, რომლებიც ანტონიო კონტეს შავ სიაში მოხვდნენ. ინფორმაცია სანდო წყაროზე დაყრდნობით ვრცელდება, „გაძეტა" კი ის გამოცემა არაა, რომელიც მკითხველთა მისაზიდად უსაფუძვლო ჭორებს ავრცელებს. კონტემ თერთმეტი ფეხბურთელი გაწირა, რომლებზეც ქვემოთ მოგახსენებთ...**

### ალექს მანინგერი (მეკარე, 34 წლის)

გადაწყვეტილი ამბავია, რომ **ჯანლუიჯი ბუფონი** „იუვენტუსში" გააგრძელებს ასპარეზობას და სავარაუდოდ, კარიერასაც ტურინულ გრანდში დაასრულებს. გამომდინარე აქედან, კიდევ რამდენიმე წელი „იუვეს" ძირითადი კიპერის ადგილი დაკავებული იქნება. ბევრს სურდა **მარკო სტორარის** გადაბირება, მაგრამ ამ უკანასკნელმა ტურინში დარჩენა გადაწყვიტა და ბუფონს გაუწევს დუბლიორობას. მოკლედ, **ალექს მანინგერის** ადგილი "იუვეში" არ არის და მას სხვა გუნდის მოძებნა მოუწევს. ამბობენ, რომ გამოცდილ კიპერს გერმანიისა და ავსტრიის ბუნდესლიგის გუნდები იწვევენ.

### ზდენეკ გრიგერა (მცველი, 31)

უკვე ორი სეზონია, რაც **ზდენეკ გრიგერა** „იუვენტუსში" ირიცხება, თუმცა დროის დიდი ნაწილი ლაზარეთში აქვს გატარებული და არა მოედანზე. გამომდინარე აქედან, ტურინში მისი იმედი უკვე დაკარგული აქვთ - ჩეხს ნამდვილად მოუწევს „იუვეს" დატოვება, თუმცა ჯერჯერობით მთხოვნელთა რიგი ნამდვილად არ უდგას.

### მარკო მოტა (მცველი, 25)

მას შემდეგ, რაც „იუვენტუსმა" **რეტო ციგლერის** და **შტეფან ლიხტშტაინერის** ტრანსფერები გაჩარხა, **მარკო მოტას** ადგილი გუნდში უბრალოდ აღარ არის. განიხილება ორი ვარიანტი, თავად ფეხბურთელს ტურინიდან წასვლა და სხვა გუნდთან გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმება სურს, თუმცა „იუვეს" მესვეურები მის არენდით გაშვებას აპირებენ.

### ფაბიო გროსო (მცველი, 33)

მსოფლიოს ჩემპიონმა არაერთხელ განაცხადა, რომ კარიერის „იუვენტუსში" დასრულება სურს, რაც ალბათ არ გამოუვა. კონტეს შავ სიაში მისი გვარიც ფიგურირებს – ეს არც არავის გაჰკვირვებია, რადგან **ფაბიო გროსომ** უკვე დიდი ხანია საუკეთესო წლები უკან მოიტოვა.

### მოჰამედ სისოკო (ნახევარმცველი, 26)

საყრდენი ნახევარმცველი, რომელიც მთელ დროს ბრძოლაში ატარებს - ასე შეიძლება დახასიათდეს **მომო სისოკო**. საუკეთესო ასაკი უდგას, თუმცა კონტეს გეგმებში არ ჯდება და სავარაუდოდ, ინგლისის პრემიერლიგაში მოუწევს დაბრუნება, სადაც ის 2005-2008 წლებში ასპარეზობდა.

### ტიაგო მენდეში (ნახევარმცველი, 30)

გამოცდილი ნახევარმცველი 2007 წელს ჩაირიცხა „იუვენტუსში", სამ სეზონში მხოლოდ 42 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და არც ერთი გოლი არ გაუტანია. შემდეგ, მადრიდის „ატლეტიკოში" გაანათხოვრეს და ამ ზაფხულს მისი დავბრუნების საკითხი დადგა დღის წესრიგში. თუმცა, კონტეს ვერდიქტი მკაცრი აღმოჩნდა – პორტუგალიელი შუახაზელი „იუვეს" მთავარ მწვრთნელს არაფერში სჭირდება.

### ფელიპე მელო (ნახევარმცველი, 28)

მოჰამედ სისოკოსი არ იყოს, **ფელიპე მელოც** მებრძოლი ყაიდის საყრდენი ნახევარმცველია, თუმცა აფრიკელისგან განსხვავებით, შეტევაშიც კარგად ერთვება. მიუხედავად ამისა, ისიც შავ სიაში მოხვდა და დიდი ალბათობით ტურინის დატოვება მოუწევს.

### ხორხე მარტინესი (გარემარბი /თავდამსხმელი, 28)

ეს კაცი არც გარემარბად გამოადგა „იუვენტუსს" და არც ფორვარდად, გამომდინარე აქედან, სრულიად ლოგიკურად გვეჩვენება, რომ ტრანსფერზე უპირებენ დაყენებას. ამბობენ, რომ მისით ესპანური პრიმერადივიზიონის გუნდები არიან დაინტერესებულნი.

### ლუკა ტონი (თავდამსხმელი, 34)

ლუკასაც ძალიან უნდა, რომ კარიერა „იუვენტუსში" დაასრულოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება მოუწევს. დიახ, ვეტერანი ფორვარდის იმედი ანტონიო კონტეს არ აქვს და მიიჩნევს, რომ უმჯობესია ტონიმ სხვა გუნდი მოძებნოს.

### ვინჩენცო იაკვინტა (თავდამსხმელი, 31)

კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი, რომელმაც საუკეთესო წლები აშკარად უკან მოიტოვა და ამ ზაფხულს „იუვენტუსის" დატოვებაც მოუწევს. ბოლო ორი სეზონი ტრავმებმა გატანჯეს, რამაც ფორმიდან მთლიანად ამოაგდო. იაკვინტას ჯერჯერობით მსურველებიც არ ჰყავს და ძნელი სათქმელია, სად გააგრძელებს კარიერას.

### კარვალიო ამაური (თავდამსხმელი, 31)

მიუხედავად იმისა, რომ გასული სეზონის მეორე ნახევარი „პარმას" შემადგენლობაში აღმაფრენით ჩაატარა, ტურინში მისი არ ეიმედებათ. „გაძეტას" ინფორმაციით, იტალიელ-ბრაზილიელით სერია A-ს არაერთი გუნდია დაინტერესებული, თუმცა უმეტესობას მისი იჯარით აყვანა სურს.

**ლაშა ნიკლაური**



მელო და სისოკო ტრანსფერზე

COPA AMERICA ARGENTINA 2011

# კოპა ამერიკა 2011

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეს გოლმავიწყი B ჯგუფი

**ბრაზილია 0 0 ვენესუელა**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, დ. ალვეში, ლუსიო, ტიაგო სილვა, სანტოსი, ლუკას ლეივა, რამირესი (75. ელანო), განსო, რობინიო (63. ფრედი), ნეიმარი, პატო (75. ლუკასი).

**ვენესუელა:** ვეგა, გონსალესი, პეროსო, ვისკარონდო, კიჩერო, რინკონი, ლუსენა, გონსალესი (86. დი გიორგი), არანხო, მიკუ (77. მალდონადო), რონდონი (63. მორენო).

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ნეიმარი (ბრაზილია)



გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბრაზილიის ნაკრებმა კოპა ამერიკა ძალიან ცუდად დაიწყო — ტურნირის ერთ-ერთმა გამოკვეთილმა ფავორიტმა, ლა პლატაში, ერთ-ერთ გამოკვეთილ აუტსაიდერ ვენესუელასთან 0:0-ზე უკეთესი ვერაფერი მოახერხა. ვენესუელას გუნდმა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის წინააღმდეგ ბარიკადები ააგო. როგორც ჩანს, მთელ მსოფლიოში, საბოლოოდ ჩაჰბარდა წარსულს ის დრო, ძლიერები სუსტებს დიდი ანგარიშით, რომ ამარცხებდნენ. მეტოქისთვის ორგანიზებულად ხელის შეშლა და კონტრშეტევაზე ჩასაფრება ყველამ ისწავლა და მოგვწონს ეს თუ არა, ფაქტია — ძლიერთან არწაგებას უსუსური ვერასდროს მოახერხებს. თუკი ერთი გუნდი მეორესთან შედარებით დაბალი კლასისაა, მაგრამ ღირსეულ წინააღმდეგობას უწევს, ესე იგი ისიც სანაქებო თვისებებით ყოფილა დაჯილდოვებული.

არადა, **მანო მენეზეშის** გუნდმა თითქოსდა ცუდად არ დაიწყო: ბრაზილია ბურთს ფლობდა და მისი შემტევი კვარტეტი - **ნეიმარი, განსო, პატო** და **რობინიო** - მეტოქის საჯარიმოს სახიფათოდაც უტრიალებდა აქეთ-იქიდან, მაგრამ ეს „ტრიალი“ სახეიროდ ვერ დაასრულეს. ყველაზე მწვავე მომენტი ის იყო, **დანი ალვეშის** პასით პატომ ძელს რომ გაარტყა ბურთი. იყო კიდევ ერთი ეპიზოდი, როდესაც რობინიოს მიერ დაბლა დარტყმულ ბურთს გაწოლილმა **ოსვალდო ვისკარონდომ** მხრით გადაუღობა გზა. მისი მხარი ბრაზილიელებს ხელად მოეჩვენათ, მაგრამ ბოლიველი მსაჯი **რაულ ოროსკო** ცამდე მართალი იყო, პენალტი რომ არ დანიშნა.

მეორე ტაიმში მენეზეშმა მოედანზე **ელანო, ფრედი** და **ლუკასი** შეუშვა, მაგრამ ვერც „ახალმა სისხლმა“ გამოაცოცხლა თამაში. მეტიც, შესვენების შემდეგ ბრაზილიას საგოლე მომენტი კიდევ უფრო ნაკლები ჰქონდა, ვიდრე შესვენებამდე.

მატჩის შემდეგ მანო მენეზეშმა თქვა: *„პირველ ტაიმში საგოლე მომენტები შევქმენით, მაგრამ მეორეში სიმწვავე დავკარგეთ. შეტევის განვითარებას ორივე ფრთიდან ვცდილობდით, თუმცა სისწრაფე გვაკლდა. ვერა და ვერ მოვახერხეთ მეტოქის საჯარიმოში ჩვენი თავდამსხმელის გამოთავისუფლება. ვენესუელამ მუხლჩაუხრელი შრომა დაგვიპირისპირა“.*

შემდეგ, მენეზეშმა პირობა დადო, რომ 9 ივლისს, კორდობაში, პარაგვაისთან, ბრაზილია სხვა ფეხბურთს ითამაშებს:

*„შემდეგი შეხვედრა სხვანაირი იქნება. არც მეტოქე ჩაიკეტება ვენესუელასავით, წინ წამოვა და ჩვენს კართან ცდის ბედს. ვფიქრობ, პარაგვაისთან უფრო დაბალანსებულ მატჩს ვიხილავთ, სადაც შეტევას თავდაცვა მოჰყვება და ასე შემდეგ“.*

აქვე, აღსანიშნავია, რომ ბრაზილიას გაუმართლა მისი მეტოქე მხოლოდ და მხოლოდ ვენესუელა რომ იყო. უფრო ძლიერი თავდამსხმელებით დაკომპლექტებული გუნდი მისი დაცვის აშკარა ნაპრალებს სათავისოდ გამოიყენებდა.

ვენესუელას მწვრთნელმა, **სესარ ფარიასმა** მატჩის შემდეგ ასე თქვა:

*„დიახ, დღეს ჩვენ „კოპა ამერიკას“ ისტორიაში შევედით. ბედმა ასე ინება, შეჯიბრების პირველივე შეხვედრაში დიდ გუნდთან, ბრაზილიის ნაკრებთან მოგვიხდა თამაში და ვამაყობ, ამოცანას ღირსეულად რომ გავართვით თავი. ვენესუელა ის გუნდია, რომელშიც თუ საჭიროა უტევს, მაგრამ თუ სიტუაცია ითხოვს, დაცვაში გლადიატორივით იბრძვის“.*

და ბოლოს, შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელის შესახებ. LG-ს სპონსორობით მიმდინარე ინტერნეტგამოკითხვაში, ხალხის 25,94 პროცენტმა ორივე გუნდის მოთამაშეთაგან 19 წლის ბრაზილიელი ნეიმარი გამოარჩია.

*„მე ფეხბურთს გამარჯვებისთვის ვთამაშობ, ფრე ნორმალურ შედეგად არ მიმაჩნია, თუმცა ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით და ეს მესიამოვნა. შემდეგ შეხვედრებში უკვე გოლებს გავიტანთ,“* — თქვა ნეიმარმა მატჩის შემდეგ.

**ილია ბაბუნაშვილი**

**პარაგვაი 0 0 ეკვადორი**

**პარაგვაი:** ვილარი, პირისი, და სილვა, ვერონი, ტორესი, ბარეტო (37. ვერა), რივეროსი, ორტიგოსა, ესტიგარიბია, ბარიოსი (73. ვალდესი), სანტა კრუსი (73. სებალოსი).

**ეკვადორი:** ელისაგა, რეასკო, არაუხო, ერასო, აიოვი, კასტილიო, ნობოა, ვალენსია (46. აროიო), მენდესი (81. ქუიროსი), ბენიტესი, კაესედო.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მარსელო ელისაგა (ეკვადორი)



სანტა ფეში პარაგვაისა და ეკვადორის შეხვედრაც უგოლოდ, ფრედ დასრულდა. „ესტადიო ბრიგადიერ ხენერალ ესტანისლაო ლოპესზე“ სახიფათო მომენტები ორივე გუნდმა შექმნა, რომელთა შორის, პირველ ტაიმში, ყველაზე მწვავე, სავარაუდოდ, ეკვადორელმა **კრისტიან ბენიტესმა** გაუშვა ხელიდან, თუმცა შესვენების შემდეგ პარაგვაიმ უკეთ ითამაშა და რომ მოეგო, გასაკვირი არ იქნებოდა.

პირველი საგოლე მომენტიც პარაგვაელებისა გახლდათ: მე-12 წუთზე, **მარსელო ესტიგარიბია** მარცხენა ფრთიდან ორ მცველს გაუძვრა და ახლო ძელისკენ შესულმა პენალტის ნიშნულის ცოტა უკან **ედგარ ბარეტოს** დაუგორა, თუმცა ბარეტოს დარტყმულს მეკარე **მარსელო ელისაგა** დახვდა ვაჟკაცურად. ელისაგამ კიდევ ორჯერ გამოიჩინა თავი. ჯერ იყო და მან **როკე სანტა კრუსის** დარტყმული მოიგერია, შემდეგ კი **ნესტორ ორტიგოსას** ახლოდან დარტყმულს გაართვა თავი.

ეკვადორს ამ პერიოდში თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენია, თუმცა 27-ე წუთზე აშკარად უნდა გაეტანა, ამ მომენტის შესახებ თავშიც მოგახსენეთ: ბენიტესმა დრიბლინგით სამი მცველი და მეკარე ჩამოიტოვა, მაგრამ კარში დარტყმა აღარ მოუხერხდა და ბურთი **პაოლო და სილვამ** წაართვა. შემდეგ, ნახევარმცველმა **სეგუნდა კასტილიომ** საჯარიმოს კიდიდან მარჯვენა ძელთან ოდნავ ააცილა.

მეორე ტაიმში პარაგვაიმ იყოჩაღა. 55-ე წუთზე ესტიგარიბია კვლავ მარცხენა მხრიდან შევიდა საჯარიმოში, მაგრამ მისი დაბალი დარტყმული ეკვადორელთა კარს შორეულ ძელთან აცდა. ამ ამბიდან რვა წუთში ეკვადორი მეკარე ელისაგამ იხსნა, როდესაც სანტა კრუსის თავური მოიგერია. ამის შემდეგ კიდევ იყო ერთი-ორი მომენტი, მაგრამ გოლები არ გასულა.

**ხერარდო მარტინო** (პარაგვაის ნაკრების არგენტინელი მწვრთნელი): *„პირველი 20-25 წუთის განმავლობაში ჩვენ ვჯობდით მოწინააღმდეგეს. სწორედ ამ პერიოდში შეგვეძლო გოლი გაგვეტანა და უპირატესობა მოგვეპოვებინა, მაგრამ ვერ შევძელით. სამწუხაროდ, პირველი ტაიმის მიწურულს ბურთი მოწინააღმდეგეს გადავაბარეთ და შესაბამისად, მოწინააღმდეგის კარს ველარც ვუტევდით.*

*შესვენების შემდეგ უპირატესობა კვლავ ჩვენ ჩავიგდეთ ხელთ. სასიამოვნო იყო, რომ საგოლე მომენტები შევქმენით, მაგრამ გატანით კვლავ ვერ გავიტანეთ“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

## კოპას კალეიდოსკოპი



### პერუ გაძარცვეს

ქალაქ მენდოსაში დაბანაკებული პერუს ნაკრები გაძარცვეს. როგორც „ო გლობო“ წერს, პერუელებმა ადგილობრივ პოლიციას მიმართეს, რომ მენდოსას ერთ-ერთ სასტუმროში მათ რამდენიმე ფეხბურთელს პირადი ნივთები მოჰპარეს. ყველაზე მეტად პერუელთა გოლკიპერი **სალომონ ლიბმანი** და ნახევარმცველი **ანტონიო გონსალესი** დაზარალებულან. შეგახსენებთ, რომ პერუს ნაკრები C ჯგუფში თამაშობს ურუგვაის, მექსიკისა და ჩილეს ნაკრებებთან ერთად.

### ვალენსიას საქმე ცუდადაა

კოპა ამერიკაზე პირველი დაზარალებულიც გვყავს - I ტურის მატჩში ტრავმა მიიღო „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ეკვადორის ნაკრების ნახევარმცველმა **ანტონიო ვალენსიამ**. ვალენსია პარაგვაელებთან მატჩში დაშავდა. ფეხბურთელმა კუნთი გაიჭიმა და ის ჯერ კიდევ შესვენებამდე შეცვალეს. სავარაუდოდ, ანტონიო ნაკრების მომდევნო შეხვედრას, ვენესუელელთა წინააღმდეგ, გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ შემოდგომით ვალენსიამ ფეხის უმძიმესი ტრავმა მიიღო. მოტეხილობის გამო მან თითქმის ნახევარი სეზონი გამოტოვა.

### ფალკაო არგენტინას პატივს სცემს



პორტუგალიური „პორტუსა“ და კოლუმბიის ნაკრების ფორვარდი **რადამელ ფალკაო** მოწიწებით ეპყრობა მომდევნო მეტოქეს - არგენტინის ნაკრებს. შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში კოლუმბიელებმა იმარჯვეს, არგენტინელებმა კი - ვერა. *„ფეხბურთი მოულოდნელობით აღსავსეა. ყოველ მატჩში შეიძლება მოხდეს სენსაცია. ამის ნათელი მაგალითია ბოლივიელთა თამაში არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ. ბოლივიელებმა დაცვაში ყველაფერი დიდებულად დაალაგეს. მათ შანსი თითქმის არ დაუტოვეს მეტოქეს. ამის მიუხედავად, ჩვენ მომავალ მეტოქეს პატივისცემით უნდა მოვეპყრათ. ძალიან, ძალიან რთული მატჩი გველის მათთან“.*



### მოდი, ვაღიაროთ - ცუდად ვითამაშეთ

**კარლოს ტევესი** მიიჩნევს, რომ მისი თამაში ბოლივიელთა წინააღმდეგ ერთ-ერთი უარესი იყო კარიერაში, თუმცა იმედოვნებს, რომ შემდეგ მატჩებში საუკეთესო თვისებებს გამოავლენს: *„მოდი, ვაღიაროთ - ჩვენ ვითამაშეთ ძალიან ცუდად. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ გახსნის მატჩი შეიძლებოდა რთული გამომდგარიყო. ბოლივიელებმა ბევრი იბრძოლეს და ვერმოგებაში მსაჯის დადანაშაულება უაზრობა იქნება. ბევრს ჰგონია, რომ სულ 5:0-ებს მოვიგებთ. არ იქნება ასე ხალხო. ყოველ თამაშში დიდი წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიწევს“*, - განაცხადა ტევესმა.

### რას ერჩოდნენ საბრალო ნეიმარს



ბრაზილიისა და ვენესუელის ნაკრებთა მატჩის შესვენებისას მცირე ინციდენტი მოხდა. ბრაზილიელთა მტკიცებით, ვენესუელელთა თავკაცმა **სესარ ფარიასმა** შეურაცხყოფა მიაყენა მათ ვარსკვლავბიჭუნა **ნეიმარს**. ფარიასმა უთხრა ნეიმარს, რომ მისი ფეხბურთელების მიმართ მეტი პატივისცემა გამოეჩინა, რომ როცა მეტოქე ტრავმას იღებს და ეცემა, უნდა გაჩერდე. ყველაზე საოცარი ისაა, რომ ეპიზოდი, რომელზეც ფარიასი ამახვილებდა ყურადღებას, ნეიმარის გარეშე მოხდა, ვენესუელელს ის **განსოში** აერია (როგორ - საოცარია: ნეიმარს ვარცხნილობით ხომ კილომეტრზე იცნობ).

*„პირველი ტაიმი რომ მორჩა, მეტოქის მწვრთნელი მოიჭრა და დამიწყო ყვირილი. რა უნდოდა ვერ ვხვდებოდი - ესპანური ხომ არ ვიცი. ამის შემდეგ ინციდენტში ჩვენი მწვრთნელი მენეზეში ჩაერია, მან დამიცვა“*, - განაცხადა ნეიმარმა.



### მოიგეთ, ლარისას ხათრით!

26 წლის პარაგვაელმა მოდელმა **ლარისა რიკელმემ** განაცხადა, რომ, თუკი პარაგვაის ნაკრები კოპა ამერიკას მოიგებს, ის გაშიშვლდება. თუ გახსოვთ, 2010 წლის მუნდიალზეც რიკელმე ყველაზე პოპულარული მოდელი იყო. პარაგვაის ნაკრები B ჯგუფშია და პირველ ტურში ფრეს დასჯერდა. *„თუკი პარაგვაი კოპას მოიგებს, პირდაპირ მოედანზე გავალ და იქ გავშიშვლდები“*, - გვპირდება ლარისა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# დი მატეოს უხარია


რობერტო დი მატეო (მარცხნივ) და ანდრე ვილაშ-ბოაში

**რობერტო დი მატეო** გვარწმუნებს, რომ მთავარი მწვრთნელობიდან ასისტენტად დაქვეითება არ აწუხებს. შეგახსენებთ, რომ 41 წლის იტალიელი სპეციალისტი 2008-09 წლებში „მილტონს“ თავკაცობდა, 2009-11 წლებში კი „ვესტ ბრომვიჩს“. „ვესტ ბრომვიჩიდან“ დი მატეო თებერვალში დაითხოვეს და მას მერე უმუშევრად იყო, თუმცა გასულ ოთხშაბათს ახალი სამსახური იშოვა — „ჩელსიში“ **ანდრე ვილაშ-ბოაშის** თანაშემწე გახდა. დი მატეო ამბობს:

*„რასაკვირველია, დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავარ, მაგრამ განსაკუთრებულ პრობლემებს არ ველი. კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს ინგლისურ გუნდში მენეჯერად ანუ მთავარ მწვრთნელად მუშაობა. ამ საქმეში, ისევე, როგორც ჩვეულებრივ მწვრთნელად მუშაობაში გამოცდილი ვარ. ერთი სიტყვით, ორივე პროფესიაში ვერკვევი და ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ანდრეს დავეხმარო. მზად ვარ „ჩელსის“ მწვრთნელთა ჯგუფის ნებისმიერ სხვა წევრსაც ამოვუდგე მხარში. ჩვენ გამარჯვებები გვჭირდება.*

*გასული სეზონის განმავლობაში „პორტუს“ თამაშს თვალს ვადევნებდი. ვნახე, რა დიდებულ წარმატებას მიაღწია ვილაშ-ბოაშმა, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ თანაშემწედ მიმიწვევდა. მისი შემოთავაზება სრულიად მოულოდნელი იყო. ძალიან გამიხარდა, რომ ანდრეს ფეხბურთისადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ სცოდნია და, თურმე, სწორედ ამიტომ მიმიწვია. ვფიქრობ, მას ფეხბურთი უყვარს, შეტევა, შემოქმედება აინტერესებს. და თუ, ბოლო წლებში, ჩემი მომზადებული გუნდების ერთი-ორი თამაში მაინც გინახავთ, დამეთანხმებით, რომ ამ ფილოსოფიასთან ბევრი საერთოს ნახვა შეიძლება. ყოველთვის ვცდილობდი ჩემს გუნდებს მოეგოთ, არწაგება ჩემი ამოცანა არასდროს ყოფილა. ჩემი საქმე შენება, პასებით თამაში გახლდათ. ამიერიდან, „ჩელსის“ სათავეში ანდრე ვილაშ-ბოაში დგას და წარმატების მისაღწევად ჩვენ ყველანი მის შეხედულებებს მოვერგებით“.*

შემდეგ, დი მატეომ სიამოვნებით აღნიშნა, რომ ვილაშ-ბოაშთან პირველივე ლაპარაკის შემდეგ კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა:

*„ჩვენ ერთმანეთს პირველი სიტყვებიდანვე გავუგეთ. ვფიქრობ, კარგი პარტნიორობა ბუნებრივად ჩამოყალიბდა. ადამიანზე ხომ პირველივე შეხვედრის შემდეგ შეიძლება ითქვას, შენი ჭკუისაა თუ არა. დიდი მადლობა ვილაშ-ბოაშსა და რომან აბრამოვიჩს, „ჩელსიში“ მუშაობის საშუალება რომ მომცეს“.*

რობერტო დი მატეო „სტემფორდ ბრიჯზე“ 1996-2002 წლებში თამაშობდა. ამ ხნის განმავლობაში მან 119 შეხვედრაში 31 გოლი გაიტანა.

შოტლანდია

# სელტიკს ბელამი უნდა


კრეიგ ბელამი

„**სელტიკი**“ ამ კვირაში „მანჩესტერ სიტის“, უელსელი ვარსკვლავის, **კრეიგ ბელამის** ფასის დასახელებას სთხოვს. ბელამი 31 წლისაა. „პარკჰედზე“ ის 2005 წელს „ნიუკასლ იუნაიტედს“ ჰყავდა გაქირავებული, ასე რომ გარემო მისთვის ნაცნობია. ახლა, შოტლანდიური გრანდის შეფები „სიტის“ დირექტორატის წევრების შევებულების დამთავრებიან ელიან. ბრიტანეთში არ გახლავთ თავად ფეხბურთელიც, რომელიც საქველმოქმედო საქმეებით არის დაკავებული და სიერა ლეონეში ბრძანდება.

გაზეთები წერენ, რომ „სელტიკს“ ბელამის ყიდვა კვლავ არ უნდა, 2005 წლის მსგავსად მისი დაქირავება სურს. უელსელს ისტლენდელებთან ერთი წელიწადილა აკავშირებს, გაისად ამ დროს კი მისი ხელშეკრულება ძალას კარგავს და ამიტომაც აქტიურობენ „სანდერლენდი“, „ვესტ ჰემი“ და მისი მშობლიური „კარდიფ სიტი“.

საინტერესოა, რომ როდესაც ავსტრალიაში მყოფი „სელტიკის“ თავკაც **ნილ ლენონს** სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე, „სენტრალ კოსტ მერინერზთან“ 1:0 დამარცხების შემდეგ ბელამის შესახებ ჰკითხეს, მან სიცილი დაიწყო, აქაოდა, ეს საიდანღა მოიტანეთო, მაგრამ „დეილი მეილი“ დარწმუნებულია, რომ ლენონის სასურველ ტრანსფერთა სიაში პირველი სწორედ უელსელი წერია. იმავე სიაში გახლავთ „რედინგის“ 24 წლის თავდამსხმელი **შეინ ლონგიც**.

ბელამის გადასაბირებლად „სელტიკს“ გვარიანი მოლაპარაკებების გამართვა მოუწევს. საქმე ის არის, რომ „სიტის“ უელსელის გაქირავება კი არა, გაყიდვა უნდა. გარდა ამისა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი აღარ აპირებს დაჰყაბულდეს ისეთ კომბინაციას, რომლის თანახმადაც ბელამის კვირაში 80-ათასიანი ხელფასის გადახდა ისევ მას მოუწევს. გასულ სეზონში, „კარდიფ სიტი“ ამ 80 ათასიდან მხოლოდ 20 ათასს იხდიდა.

ლენონმა თქვა: *„საერთოდ, მეკარე და თავდამსხმელი გვჭირდება, მაგრამ სანამ ჩვენი კლუბის აღმასრულებელ შეფ პიტერ ლეუელს არ დაველაპარაკები, მანამდე კონკრეტულად ვერაფერს მოგახსენებთ“.*

ამბობენ, რომ „სელტიკს“ კვლავ მოუნდა ნორვეგიელი **რენე ჰუსეკლეპის** ყიდვა, რომელსაც ფინანსურად საშინელ მდგომარეობაში მყოფი იტალიური „ბარის“ შემადგენლობაში ყოფნა აღარ სურს.

არსენალი

# არსენალში ასეთი სიტუაციაა

„**მანჩესტერ სიტი**“ „არსენალს“ უტევს: 27 მილიონ ფუნტს სთავაზობს და სანაცვლოდ **გაელ კლიშისა** და **სამირ ნასრის** ითხოვს. ის, რომ ისტლენდელებს კლიშისა და ნასრის ყიდვა სურდათ ინგლისურ პრესაში აქამდეც ეწერა და ამ თემას ჩვენც რამდენჯერმე გამოვხმაურებივართ, მაგრამ ახლა ყველაფერი ნალდი ჩანს და, რაც მთავარია, ვადები გამოიკვეთა — ვაჭრობა ამ კვირაში გაიმართება.

კიდევ უფრო სწორად ასე შეიძლება თქმა: კლიშის მანჩესტერში გადაბარგებას ჩრდილოლონდონელები ასე თუ ისე შეგუებულები იყვნენ. ისიც ცნობილი იყო, რომ 25 წლის ფრანგი მარცხენა მცველი 7 მილიონად იყიდებოდა, მაგრამ ახლა, წინა პლანზე 24 წლის შემტევი ნახევარმცველის, სამირ ნასრის ამბავი წამოვიდა. გაზეთები წერენ, რომ თუ ნასრი ახალი კონტრაქტის შესახებ „არსენალთან“ ვერც ამ დღეებში მოილაპარაკებს, მისი ტრანსფერის გაჩერება ძნელი საქმე გახდება. გაზეთები იმასაც წერენ, რომ ნასრის ყიდვის იმედი ბოლომდე არც „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსის“ გადასწურვიათ, მაგრამ განა თავად ფერგიუსონმა არ თქვა რამდენიმე დღის წინ, ზუსტად შემიძლია გითხრათ, რომ იმ კვირაში ნასრის „სიტი“ იყიდისო?

ნასრი ლონდონ კოლნის საწვრთნელ ბაზაზე ხუთშაბათამდე არ დაბრუნდება. მიზეზი: ისევე, როგორც სხვა მოთამაშეებს, რომელთაც სეზონის დამთავრების შემდეგ ნაკრებებში თამაშმა მოუწიათ, დასასვენებლად მასაც ერგო ორიოდ დამატებითი დღე. ვარსკვლავმა, რომელიც „მეთოფეებმა“ 2008 წელს 15,8 მილიონ ფუნტად იყიდეს, თქვა, რომ ის გუნდიდან წასვლას ხელფასის კი არა, ტიტულების ნაკლებობის გამო ცდილობს:

*„როდესაც ფეხბურთელს ტიტული არ მოუგია, „ოქროს ბურთის“ ლაურეატად არავინ დაგასახელებს. ინგლისში ჯილდოების მოსაგებად ჩამოვედი, მაგრამ ჯერჯერობით არც აქ გამოდის რაიმე. ერთადერთი, რაც კარიერაში მომიგია, ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ოქროს მედალია და მასაც დიდი ხნის წინ, 2004-ში დავესაკუთრე.*

*ხელფასზე ხმას არ ვილებ. კარგა ხანია დიდ გასამრჯელოს ვიღებ. პრიორიტეტად ტიტულების მოგება მაქვს დასახული. ეს ყველაფერზე მნიშვნელოვანია“.*

ამბობენ, რომ „არსენალმა“ „მარსელისგან“ შეიძლება 26 წლის ფრანგი ნახევარმცველი **მატიე ვალბუენა** იყიდოს. სავარაუდოდ, მწვრთნელ **არსენ ვენგერს** ის ნასრის შემცვლელად წარმოუდგენია. ვალბუენას აგენტმა, **კრისტოფ ჰოტუმ** თქვა:

*„ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება ჯერ არ მინდა. დღეს, ერთადერთი, იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემი კლიენტი „მარსელის“ ფეხბურთელია და დღეს, შვებულების შემდეგ, გუნდში ჩვეულებრივ გამოცხადდება“.*

*P.S. გუშინ მანჩესტერ სიტიმ ოფიციალურად გაიფორმა გაელ კლიში.*


მატიე ვალბუენა

ლივერპული

# ახალი მწვრთნელი

„**ლივერპულის**“ პირველ გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს. ეს გახლავთ 44 წლის **კევინ კინი**. მან მერსისაიდელებთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და გუშინ შეუდგა მუშაობას. მისი უშუალო მეწყვილე **სტივ კლარკი** იქნება. კინსა და კლარკს ერთად „ვესტ ჰემში“ უმუშავიათ.

კინმა „ვესტ ჰემის“ ერთ-ერთ მწვრთნელად ცხრა წელიწადი იმუშავა და სამჯერ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულებამაც კი მოუწია. „ლივერპულის“ თავკაცმა, **კენი დალგლიშმა** ბრძანა:

*„ძალიან მიხარია, რომ კევინი სტივთან ერთად პირველ გუნდს გაწვრთნის. მათ ერთად „ვესტ ჰემში“ უმუშავიათ. სტივი კევინზე საუკეთესო აზრისაა. მასზე, როგორც ჩინებულ მწვრთნელზე, მრავალი სხვა ადამიანისგანაც მსმენია“.*

ფეხბურთელობის წლებში კევინ კინს ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია. ის თამაშობდა „უაიკომბში“, „ვესტ ჰემში“, „ვულვერჰემპტონში“, „სტოკსა“ და „მაკლსფილდ თაუნში“. მწვრთნელად კი ცოტა ხანი „მაკლსფილდში“ იყო, მერე კი „ვესტ ჰემში“ დამკვიდრდა.

ასტონ ვილა

# დაუნინგი იტყვის

ამ კვირაში „ასტონ ვილას“ 26 წლის მარცხენა გარემარბი, **სტიუარტ დაუნინგი** ახალ მწვრთნელ **ალექს მაკლიშს** ეტყვის, რომ გუნდიდან წასვლა უნდა. დაუნინგი ბირმინგემულ კლუბში თავს მოუსვენრად გრძნობს, რადგან „ლივერპულმა“ მაცდური წინადადებით მიმართა — მერსისაიდელები მზად არიან მის სანაცვლოდ 20 მილიონი ფუნტი გადაიხადონ. მაკლიშს, თავის მხრივ, დაუნინგის დატოვება სურს, მაგრამ ფეხბურთელი, რომელსაც ხელშეკრულების თანახმად „ვილა პარკზე“ კიდევ ორი წელიწადი ეკუთვნის ყოფნა, უარზეა.

ტაბლოიდებს გარემარბის ახლო მეგობარმა უთხრა: *„სტიუმ „ლივერპულში“ გადასვლა მტკიცედ გადაწყვიტა და იმედოვნებს, რომ „ასტონ ვილას“ ხელმძღვანელები ხელოვნურ დაბრკოლებებს არ მოუწყობენ“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


## საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ

### განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი კომფორტული სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს, ველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

**ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.**

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.



## ქართული სპორტი

**მშვილდოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი**

# ქართველთა მძიმე ხვედრი

## ჩვენებმა მასპინძლებს დაუმიზნეს

ტურინში გუშინ დაწყებულ მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელშიც ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიებიც თამაშდება, ჩვენი ქალთა ნაკრები არცთუ წარმატებით ჩაება. პირადი პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპში **ხათუნა ნარიმანიძის, ქრისტინე ესებუას** და **ასმათ დიასამიძის** საერთო მონაგარი 3931 ქულაა, რაც 16 ნაკრებს შორის მე-14 შედეგი აღმოჩნდა. ამდენად, პლეი ოფში მათი მეტოქე მესამეზე გასული მასპინძელი იტალიაა, რომელსაც ხვალ შეხვდებიან. ვერაფერს იტყვი - მეტოქე ნამდვილად არაა ღვთის საჩუქარი, გუნდურში თუნდაც ერთი წრის გავლა კი იმიტომაა საშური, რომ საუკეთესო 8 გუნდი ლიცენზიას იღებს.

ტურნირში მხოლოდ ქალთა ოლიმპიურ დისციპლინაში 147 მშვილდოსანი გამოდის. ჩვენებურთაგან პირადის საკვალიფიკაციოში ყველაზე უკეთ ნარიმანიძემ ისროლა - 1337 ქულა დააგროვა და მე-12 ადგილზე გავიდა. სამწუხაროდ, ბოლო ორი ტურნირის დარად, ესებუა საკუთარ შესაძლებლობებზე ბევრად სუსტად გამოვიდა - 39-ე 1319 ქულით, 1275-იანი დიასამიძე კი 75-ეა. ნარიმანიძემ ყველაზე უკეთ მეორე სერიაში, 60-მეტრიან დისტანციაზე ისროლა, სადაც 337 ქულა დააგროვა და მე-15 შედეგი აჩვენა. 70-იანზე ის 21-ე იყო, ბოლო ორში კი კიდევ უფრო მოუკლო - 50-იანზე 28-ე აღმოჩნდა, 30-იანზე - 25-ე.

ესებუა 70-იანზე შედარებით უკეთ კი გამოვიდა - 328 ქულა დააგროვა, რაც მე-15 შედეგი აღმოჩნდა, მაგრამ 60-იანზე საერთოდ გაუმრუდდა სამიზნე - მხოლოდ 321 ქულა და 76-ე ადგილი. 50-იანზეც ცუდად ისროლა - 42-ე იყო, ბოლოს კი გაისარჯა უკეთ - 350 ქულით მე-14 ადგილზე გავიდა, მაგრამ შუალედებში ჩავარდნების გამო მდგომარეობის გამოსწორება ველარ შეძლო.

სამწუხაროდ, დიასამიძე თავიდანვე აუტსაიდერთა შორის იყო - მისი საუკეთესო მაჩვენებელი ბოლო სერიაში მოპოვებული 54-ე ადგილია.

ჩვენებურებს გუნდურში თუნდაც ერთი ქულით მეტი რომ დაეგროვებინათ, შესაძლოა, ფრანგებისთვის გაესწროთ, რითაც იტალიელებთან შეხვედრას აიცილებდნენ და ხვალ მათ ნაცვლად ინდოელებს დაუპირისპირდებოდნენ. მართალია, დიდი გამართლება არც ეს იქნებოდა - ინდოელთა ლიდერი **დეეპიკა კუმარი** საკვალიფიკაციოში 1343 ქულით მე-9 ადგილზე გავიდა და ტურნირში ფავორიტადაც მიიჩნევა, მაგრამ მათი ნაკრები იტალიელებზე უფრო სუსტი გვგონია. აპენინელთა გუნდი იქნებ არაა ტიტულებით დახუნძლული, მაგრამ ანგარიშგასაწევი ძალა ნამდვილადაა. თან საკუთარ კედლებში იბრძვის.

მოლოდინისამებრ, გუნდური პირველობა კორეელებმა მოიგეს 4088 ქულით, მეორეზე ჩინელები გავიდნენ - 4027-ით, მესამეზე კი იტალიელები არიან 4012-ით. ხუთეულში ინდოეთი და აშშ-ც შევიდნენ.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ჩვენი ნაკრების წარმატება არ გვინდოდეს და წინასწარ ვითხრიდეთ საფლავს, მაგრამ ამ წყვილში უპირობო ფავორიტად იტალიელები მიგვაჩნია. მით უფრო, ჩვენებურთა ბოლოდროინდელი არასტაბილურობის ფონზე (თუმცა ეს ნარიმანიძეს არ ეხება). ამიტომ უპრიანია, ისიც განვიხილოთ, მათთან წაგების შემთხვევაში ლიცენზიის მოპოვების რა შანსი გვრჩება. როგორც გუშინდელ წერილში გაცნობეთ, საგზურს გუნდურ პირველობაში გასული 8 საუკეთესო გუნდის სამივე წევრი მიიღებს, ანუ 24 მშვილდოსანი. ამათ გარდა, ლიცენზიას მიიღებს პირადი პირველობის შედეგებით 8 საუკეთესო მსროლელი იმ ნაკრებებიდან, რომლებიც ლიცენზირებულთა შორის ვერ მოხვდნენ. ამდენად, ჩვენებს კიდევ აქვთ საგზურის მოპოვების შანსი, თუმცა საამისოდ ინდივიდუალურის პლეი ოფშიც უნდა გაიარონ 1-2 წრე. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ისინი ვერც ამ გამოთიშვით სისტემაში გვახარებდნენ, თუმცა ახლა ნარიმანიძეს პირველსავე ეტაპზე სუსტთან შეხვედრა გარანტირებული აქვს. შედეგად, ყველაზე მეტი შანსიც მას აქვს.

საკვალიფიკაციო ეტაპი კორეელმა **ბო ბაე კიმ** მოიგო მართლაც ფანტასტიკური შედეგით - 1389 ქულით. მას საუკეთესო შედეგი ჰქონდა პირველ სამ დისტანციაზე, 30-იანზე კი მხოლოდ ამერიკელ **ჯენიფერ ნიკლოშს** ჩამორჩა. საერთო ჩათვლაში მეორეზეც კორეელი - **დესომი იუნგი** გავიდა 1361-ით და მისი შედეგიდან გამომდინარე, თავად დაასკვნით, კი რამდენად კარგად გამოვიდა. მესამეზე ჩინელი **იუტინგ ფანგია** 1358-ით, ვალეევა მეექვსეა, ამერიკის სახელით მოასპარეზე **ხათუნა ლორიგი (ქვრივიშვილი)** მე-20, თურქეთის სახელით მოასპარეზე **ნატო ნასარიძე** - 49-ე. საკმაოდ სუსტად გამოვიდა ბრიტანელი მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **ალისონ ვილიამსონი** - 53-ე, თუმცა თავი დიდად არც უკრაინისა და რუსეთის გუნდების ლიდერებს გამოუჩენიათ. პირად პირველობაში პლეი ოფები 7 ივლისს გაიმართება და ვნახოთ, რა მოხდება.

**ირაკლი თავაძე**

**ჭიდაობა. მეტოქე**

# კოლუაშვილმა რუსები დაალაგა

რამდენიმე დღის წინ კრასნოიარსკში დამთავრდა რუსეთის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც მთავარი შესარჩევი შეჯიბრება იყო მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატისთვის. გამოიკვეთა რუსთა ის ჯგუფი, რომელთანაც უახლოეს დიდ ტურნირებში ჩვენს ფალავნებს მოუწევთ პაექრობა. აკი პირველობის წინ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის ქართული წარმომავლობის პრეზიდენტმა **მიხეილ მამიაშვილმა** განაცხადა კიდეც, ამით ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის ბრძოლა იწყებაო.

ჩვენი ნაკრების ლიდერად ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74) რჩება, რომელმაც, ეტყობა, სექტემბერში სტამბოლში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე წასვლის უფლება უკვე დაიბევა კარტოზიას სახელობის „ოქროს დიდ პრიზზე“ მოპოვებული წარმატებით - პირად შეხვედრებში უშუალო კონკურენტები, **მანუჩარ ცხადაია** და **გიორგი ცირეკიძე** დაამარცხა. ჩანს, სტამბოლში მას რუსთაგან არა ძველი კონკურენტი, ასევე ყველაფრის მომგები **ვარტარეს სამურგაშევი**, არამედ ახალგაზრდა **რომან ვლასოვი** დაუპირისპირდება. ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა წლეულს პოდუბნის მემორიალი მოიგო, თუმცა მის ბიოგრაფიაში ჯერჯერობით ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სახელოვანი **ალექსანდრ კარელინის** მწვრთნელი **ვიქტორ კუზნეცოვი** ავარჯიშებს. პოდუბნიზე ნახევარფინალში მან სამურგაშევი დაამარცხა, რის შემდეგაც ეიფორიაში მყოფმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ 5 წლის წინ სამურგაშევის ავტობიოგრაფიულ წიგნს კითხულობდა და კუმირთან საჭიდაო ხალიჩაზე შეხვედრა ოცნებაშიც ვერ წარმოედგინა. მას შემდეგ ვლასოვმა უფროსებში ევროპის წლევანდელ პირველობაზე ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა და გასაგებია, რუსეთის პირველობის წინ ხმაში დამაჯერებლობა და რიხი რომ გაერია. როცა შენ ნოვოსიბირსკსა და კარელინის სახელობის კლუბს წარმოადგენ, ოქროს გარდა სხვაზე ფიქრის უფლებაც არ გაქვსო, განაცხადა მან და მოიგო კიდეც - დამატებით დროში მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **იმილ შარაფეტდინოვი** დაჯაბნა, რომელსაც ჩემპიონატამდე ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად მიიჩნევდა. ეს მათი მესამე შეხვედრა იყო დეკემბრის შემდეგ და მეორე გამარჯვება ვლასოვისთვის, რომელსაც ფინალში კუზნეცოვთან ერთად კარელინიც აძლევდა რჩევებს. სამურგაშევი ამჯერად სამეულში ვერ შევიდა. მან ჩემპიონატის წინ თვითონვე განაცხადა, დრო ჩემს საწინააღმდეგოდ მუშაობს, მაგრამ მაქვს დიდი გამოცდილება, რისი რეალიზებაც შესაძლებლად მიმაჩნიაო, თუმცა, ეტყობა, ეს შეუძლებელია და მისი კარიერა დასრულდა.

### კოლუაშვილი პრობლემის წინაშე

რუსეთის ნაკრების ქართველი მწვრთნელის, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ **გოგი კოლუაშვილისთვის** ინგუშეთში მცხოვრები ჩეჩენი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ისლამ-ბეკ ალბიევი** კვლავაც დიდ პრობლემად რჩება - მოჭიდავე უკვე მერამდენედ ცდილობს 66-ში გადანაცვლებას, მაგრამ მწვრთნელიც ასევე მერამდენედ დელიკატურად ურჩევს 60-ში დარჩენას. ალბიევი ამჯერად მესამეზე გავიდა, კოლუაშვილმა კი განაცხადა, მას ურიგოდ არ უასპარეზია, თუმცა ახალ წონაში მაინც უჭირს ჭიდაობა და აჯობებს, თავის წონას დაუბრუნდეს, სადაც ისევ მოიპოვებს ლიდერობასო. მწვრთნელმა ისიც დასძინა, ასეთი ცნობილი სპორტსმენის ინტერესებსაც ვითვალისწინებთ და ნაკრებისასაცო. ვფიქრობ, ამ სიტყვებში ყველაზე საინტერესო სწორედ გუნდის ინტერესებზე მინიშნებაა - 66 კილოგრამში კოლუაშვილს **ამბაკო ვაჩაძეც** ჰყავს, რომელიც ახლა გათავისუფლებული იყო. სიმართლე გითხრათ, ადრეც დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ალბიევისთვის უკან დაბრუნების მითითებით მწვრთნელი თანამემამულე და თანაქალაქელ ვაჩაძეს (წარმოშობით ორივე ქუთაისელია) სასათბურე პირობებს უქმნიდა - ძლიერ კონკურენტს არიდებდა, თუმცა ახლობლობა იქით იყოს და ვაჩაძეც უმართლებს იმედებს, რადგან ზედიზედ მოიგო ევროპის ბოლო ორი პირველობა და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატი.



გიორგი კოლუაშვილი

### და... საშინაო საქმეები

როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები რუსეთის ნაკრებში 60-სა და 66 კილოგრამებში, ორივე წონა ჩვენთვისაც განსაკუთრებულად საინტერესოა, ვინაიდან ორივეში ლიდერები ანუ მედლის მოპოვების რეალური კანდიდატები გვყავს - ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60) და ევროპის პრიზიორი, მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **ცხადაია** (66). თუმცა ლაშხს თუ თითქმის განაღდებული აქვს მსოფლიოზე წასვლა, ცხადაიამ საამისოდ ჯერ კიდევ უნდა იბრძოლოს. ალბიევის არ იყოს, ისიც ზედა წონაში ცდილობდა გადასვლას, რაც წარუმატებლად დამთავრდა და ახლა ისე ჩანს, უკან დაბრუნების გარდა სხვა გზა არ რჩება. ამაზე მისმა პირადმა მწვრთნელმა **ვაჟა კრავეიშვილმაც** განაცხადა, ხოლო ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** უფრო შორსაც წავიდა და თქვა, 66-ში ცხადაიას მსოფლიოს მასშტაბით წონის ლიდერად ვერ ვხედავო. დაიმკვიდრებს თუ არა ცხადაია ადგილს 66-ში, ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა ეს ჯერ არც ვაჩაძეს გაუნაღდებია - როგორც გითხარით, საერთოდ გამოტოვა ეს პირველობა. აქ რუსეთის ჩემპიონი **იური დენისოვი** გახდა, რომელმაც ფინალში **მიგრან არუთინიანი** დაამარცხა, მაგრამ ვეჭვობთ, ვაჩაძეს ტყუილად არ დაასვენებდნენ. სავარაუდოდ, მსოფლიოზე მაინც ის წავა, ჩვენ კი ყოველი შემთხვევისთვის მისი და ცხადაიას მეტოქეობის მოკლე ისტორიას შეგახსენებთ. შარშანწინ ბაქოში, ევროპის პირველობაზე

» მე-11 გვერდზე

**ჭადრაკი**



ნაზი პაიკიძე

# ნაზი ქალებში პირველია

ბულგარულ ალბენაში დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 270 წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის - 28 დიდოსტატი. ცხრა შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი მასპინძელმა **ივან ჩეპარინოვმა** დაიკავა. ამდენივე ქულა მოაგროვა მისმა თანამემამულე **ათანას კოლევმა**, რომელსაც უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი ხვდა. 7-7 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეათე ადგილები **მაქსიმ როდშტეინმა** (ისრაელი), **კონსტანტინ ლუპულესკუმ** (რუმინეთი), **დმიტრი სვეტუშკინმა** (მოლდოვა), **ავეტიკ გრიგორიანმა** (სომხეთი), **პეტერ არნაუდოვმა** (ბულგარეთი) და **პონტუს კარლსონმა** (შვედეთი) გაინაწილეს. 22-მა მოჭადრაკემ 6,5-6,5 ქულა მოაგროვა. მათ შორისაა **ნაზი პაიკიძე**, რომელსაც საერთო ჩათვლაში 30-ე ადგილი ხვდა, ქალებში კი პირველობა არავის დაუთმო. 6 ქულით მეორე იყო პოლონელი **კლაუდია კულონი**, 5,5 ქულით მესამე ადგილი **მარგარიტა ვოისკას** (ბულგარეთი) ერგო.

ორგანიზატორებმა ტურნირისთვის სოლიდური საპრიზო ფონდი დააწესეს - 40 ათასი ევრო, საიდანაც ჩეპარინოვი 8 000 ევროთი დაჯილდოვდა, მეორე-მეხუთე ადგილებზე გასულთ 4000, 2500, 1500 და 1000 ევრო ხვდათ. მანდილოსანთა შორის გამარჯვებულ პაიკიძეს 800 ევრო, მეორე-მესამე ადგილოსნებს, შესაბამისად - 550 და 400 ევრო გადაეცათ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# ისეკი დაწინაურდა

კონიაში გრძელდება თურქეთის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც 12 ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. გუშინ ერთბაშად ორი ტურის პარტიები გათამაშდა.

**VII ტური. „ბეშიქთაში“-„გაზი უნივერსიტესი“** 4,5:5,5 (უქართველებოდ), **„ბურსა“-„თურქ ჰავა იოლარი“** 6,5:3,5 (სოფიო გვეტაძე-სალომე მელია 0,5:0,5, ვასილ სპასოვი-მერაბ გაგუნაშვილი 0,5:0,5), **„ვეშილკოვ სფორი“-„ტარსუს ზეკა სატრანჩი“** 4,5:5,5 (დავით არუთინიანი-მიხეილ მჭედლიშვილი 0,5:0,5, თორნიკე სანიკიძე-ქენ ანდუმანი 1:0, ერკმენ აიდოგდუ-ლუკა პაიჭაძე 0,5:0,5), **„ადანა“-მერსინ ეზგი სატრანჩი“** 6:4 (ნანა ძაგნიძე-ადრიანა ნიკოლოვა 1:0), **„ისტანბული“-„იარი კრედი სფორი“** 5,5:4,5 (ელვან აშანი-ბელა ხოტენაშვილი 0:1), **„ჩელიკოლი“-„დენიზ გენჩლიკი“** 5,5:4,5 (სოფიკო გურამიშვილი-ნარმინ კაზიმოვა 1:0), **„მანიშა“-„ისეკ აქუამატჩი“** 3,5:6,5 (იაკურ ერთურანი-ლევან ფანცულაია 0:1).

**VIII ტური. „გაზი უნივერსიტესი“-„ისეკ აქუამატჩი“** 3:7 (ვასიფ დურარბეილი-ლევან ფანცულაია 1:0), **„დენიზ გენჩლიკი“-„მანიშა“** 2.5:7.5 (უქართველებოდ), **„იარი კრედი სფორი“-„ჩელიკოლი“** 4.5:5.5 (ბელა ხოტენაშვილი-სოფიკო გურამიშვილი 1:0), **„მერსინ ეზგი სატრანჩი“-„ისტანბული“** 4.5:5.5 (უქართველებოდ), **„ტარსუს ზეკა სატრანჩი“-„ადანა“** 3.5:6.5 (მიხეილ მჭედლიშვილი-ევგენი მიროშნიჩენკო 0.5:0.5, ლუკა პაიჭაძე-ბარიშ ესენი 0.5:0.5, ოლგა ზიმინა-ნანა ძაგნიძე 0.5:0.5), **„თურქ ჰავა იოლარი“-„ვეშილკოვ სფორი“** 5.5:4.5 (მერაბ გაგუნაშვილი-დავით არუთინიანი 0.5:0.5, ჰასან კილიკასლანი-თორნიკე სანიკიძე 0.5:0.5, სალომე მელია-ემინე იანიკი 1:0), **„ბეშიქთაში“-„ბურსა“** 6.5:3.5 (კუბრა ოზთურქი-სოფიო გვეტაძე 0.5:0.5).




8 ტურის შემდეგ 15 ქულით „ისეკ აქუამატჩი“ (48.5) დაწინაურდა. მას 3 ქულით ჩამორჩება „იარი კრედი სფორი“ (50), 11-11 ქულით III-V ადგილებს „ადანა“ (43.5), „ისტამბული“ (43) და „გაზი უნივერსიტესი“ (41) ინაწილებენ.

**ვაჟა დანელია**

# მე-16 ადგილს დასჯერდა

ესპანეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს მასპინძელი **სალვადორ დელ რიო** კუბელ **ალონსო ბაკალაოს** დაუზავდა, ხოლო ფრანგმა **მატიუ კორნეტემ ნესტორ რამოს დელგადო** (კუბა) დაამარცხა, რის შემდეგაც დელ რიომ და კორნეტემ ცხრა-ცხრა შესაძლებლიდან 7-7 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს. 6,5 ქულით მესამე ადგილზე პერუელი კრისტიან კრუსი გავიდა. ბარსელონაში მცხოვრებმა ქართველმა დიდოსტატმა **ანა მათნაძემ** ტურნირზე 5,5 ქულით მე-16 ადგილი დაიკავა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

« მე-10 გვერდიდან

ნახევარფინალში მოუგო ჩვენებურს, რისთვისაც ცხადაიამ რამდენიმე თვეში მსოფლიოზე იმავე ეტაპზე იძია შური. მაშინ ვაჩაძემ ის ნაგება ტრავმას დააბრალა, ლეიბზე თავი დავარტყიო.

23 წლის ალბიევსაც დიდი ბრძოლა მოუწევს ნაკრებში ადგილის დასაბრუნებლად. მას ტრავმების გამო შარშანდელი სეზონი გაუცდა და ძველი კონდიციების დაბრუნება იოლი არ იქნება. ამჯერად 60-ში დაღესტნელთა ავარელმა ევროპის ვერცხლ-ბრინჯაოს პრიზიორმა **ზაურ კურამაგომედოვმა** იმარჯვა, რომელმაც ფინალში ადიღეელ მსოფლიოსა და ბრინჯაოს მედალოსან **ვიაჩესლავ ჯასტეს** სძლია. ლაშხი პირველხარისხოვან ტურნირებში არც ერთ მათგანს არ შეხვედრია. თუმცა ვინც-უნდა დააყენოს აქ კოლუაშვილმა - ალბიევი თუ კურამაგომედოვი, ვფიქრობთ, ჩვენებურს ორივესთან მშვენიერი შანსი აქვს. წლევანდელ ევროპაზე 60-ში რუსთაგან **ასლან აბდულინმა** იჭიდავა, მაგრამ აზერბაიჯანელ **ჰასან ალიევთან** წააგო, ვისაც მერე ლაშხმა ნახევარფინალში მოუგო.

## ახალგაზრდები სწრაფად იზრდებიან

რუსეთის პირველობაზე სხვა წონებშიც საინტერესო ამბები დატრიალდა, თუმცა ლიდერთაგან მხოლოდ ევროპის 5-გზის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ალექსეი მიშინმა** (84) მოიგო, სხვა ფავორიტები კი დამარცხდნენ. მიშინმა ფინალში ახალგაზრდა ოსი კონკურენტი, ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ალან ხუგაევი** დაამარცხა, ვისთანაც წლეულს პოდუბნის მემორიალის ფინალი წააგო. მიშინი თვითმფრინავის შეფერხების გამო კრასნოიარსკში 12 საათის დაგვიანებით ჩაფრინდა და წონის დაკლებაც ძლივს მოასწრო. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ის გამოტყდა, რომ ფინალის წინ ცოტათი ეშინოდა კიდეც, თუმცა გამოცდილებით და ტაქტიკური ბრძოლით მაინც აჯობა ახალგაზრდა კონკურენტს. ამის მიუხედავად, 33 წლის მიშინი ნაკრებში გაზრდილი ძლიერი კონკურენციის გამო საოლიმპიადოდ თავის შანსებს არც ისე დადებითად აფასებს. „ახალგაზრდები სწრაფად იზრდებიან, ორ წელიწადში მათთან ბრძოლა ძალიან ძნელი იქნება, უფრო გამიჭირდება მათთან კონკურენცია", განაცხადა მან.

პოდუბნის მემორიალის მსგავსად (იქ ნახევარფინალში **არტურ შახბანოვთან** წააგო), კვლავ დამარცხდა ყაბარდოელი ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **ასლანბეკ ხუშტოვი** (96), რაც ჩემპიონატის მთავარი მოულოდნელობაა. ის ნახევარფინალში სწორედ პოდუბნის მემორიალის წლევანდელმა ჩემპიონმა, ოსმა **რუსტამ ტოტროვმა** დაჯაბნა, რაც მთლიანად საკუთარ თავს დააბრალა. თუმცა წარმატებით ტკბობა არც ტოტროვს დასცალდა - ფინალში **ნიკიტა მელნიკოვთან** წააგო. ამით მელნიკოვმა რევანში აუღო პოდუბნის ტურნირის ნახევარფინალში მარცხისთვის. სავარაუდოდ, აქ მელნიკოვი წავა მსოფლიოზე, ეს წონა კი ჩვენს ნაკრებშიც მეტ-ნაკლებად საინტერესოა, თუმცა ჯერ ჩვენი კანდიდატი არაა გამოკვეთილი - კარტოზიას ტურნირზე ძირითადად ახალგაზრდებმა იყოჩაღეს, მათ კი თანატოლთა ნაკრებშიც უწევთ გამოსვლა, ხოლო ადრინდელმა ლიდერებმა წააგეს. სავარაუდოდ, კარტოზიას ტურნირი მოგებით ჩვენგან მსოფლიოზე წასვლა **ლაშა გოგიტაძემაც** (55) გაინაღდა, რუსეთის პირველობაზე კი ამ წონაში ინგუში ოლიმპიური ჩემპიონის, **ნაზირ მანკიევის** (მან ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა) უმცროსმა ძმამ, ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა **ბეკხან მანკიევმა** გაიმარჯვა. მძიმე წონაში მსოფლიოს ორგზის, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ხასან ბაროევის** არყოფნით ყველაზე უკეთ **არტემ დორონინმა** ისარგებლა, რომელიც ამ წარმატებისთვის ფრიად ემადლიერება სომხეთში გადაბარგებულ ევროპის ოთხგზის ჩემპიონსა და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსან **იური პატრიკეევს** მოსამზადებელ პერიოდში გაწეული დიდი დახმარებისთვის. სამწუხაროდ, ჩვენ ამ წონაში იმდენად მძიმე საკადრო პრობლემები გვაქვს, შანსებზე ლაპარაკი არც ღირს.

**ირაკლი თავაძე**

ქართული ჭიდაობა

# ზემო ხვედურეთიდან ქარელში

ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთში გაიმართა ამ სოფლის ტრადიციული ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

ხვედურეთი ამაყობს სოფლის სახელოვანი ფალავნებით. აქაურია სამბოში მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონი, საქართველოს ორგზის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში **ჯემალ მჭედლიშვილი.**

სოფლის თავკაცებს ჭიდაობის მოწყობაში მხარში ამოუდგა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ზემო ხვედურეთის ღია მოედნის გარშემო კარგა ხნის წინათ ლითონის საყრდენები ჩაუბეტონებიათ დახურული საზაფხულო არენის მოსაწყობად, მაგრამ მოედნის გადახურვა ველარ მოუსწრიათ... ახლო მომავალში კი ეს აუცილებლად გაკეთდება.

ქომაგებმა სოფლის ცენტრში მოწყობილ მოედანზე შეკრება საღამოს 5 საათიდან დაიწყეს. გაჩაღდა ზურნა-დოლის რიტმები, დაბალი წონებიდან დაწყებული ჭიდაობა საშუალომდე რომ მივიდა, შავი ღრუბლების დინებას თავსხმა წვიმა მოჰყვა...

ორგანიზატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს ყველა სპორტსმენისა და გულშემატკივრის გადაყვანა ხვედურეთიდან ქარელში, ოლიმპიური ჩემპიონის **შოთა ხაბარელის** სახელობის სპორტულ დარბაზში სასპარეზოდ. ასე რომ, ხვედურეთში ნახერხმოყრილ მოედანზე დაწყებული ქართული ჭიდაობა რაიონულ ცენტრში - ქარელის საჭიდაო ხალიჩაზე გაგრძელდა. ასეთი ფაქტი პირველად დაფიქსირდა ჩვენი ეროვნული სპორტის სახეობის ისტორიაში.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია აბსოლუტურმა პირველობამ, სადაც ფულადი პრემიებიც იყო დაწესებული. 13 გაბედული მოპაექრე ჩაეწერა საფალავნო ბრძოლაში. ყველას ახალგაზრდა გოლიათმა გორის რაიონის სოფელ ვარიანის მკვიდრმა **უშანგი კოკაურმა** აჯობა. უტა, როგორც მას შინაურულად ეძახიან, ერთ-ერთი საუკეთესო მძიმეწონოსანი იზრდება. ვფიქრობთ, ის სულ მალე იტყვის თავის სიტყვას დიდ ჭიდაობაში...

არც დანარჩენ 9 წონით კატეგორიაში ყოფილა მოსაწყენი ჭიდაობები.

სხვათა შორის ზემო ხვედურეთის ტურნირს სჯიდნენ ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მსაჯები: **გია ბერუაშვილი, ტარიელ ცინცაძე, გია სპანდერაშვილი.**

წონით კატეგორიებში კი პირველი ადგილები მოიპოვეს: **თორნიკე გამრეკელაშვილმა** (35 კგ. ძლევიჯვარი), **ნიკა კაკაშვილმა** (40 კგ. ქვენაფლავი), **გურამ ზაკუტაშვილმა** (45 კგ. ჭანდრები), **ნიკა შათირიშვილმა** (50 კგ. ღოღეთი), **გიორგი ბერბერაშვილმა** (55 კგ. თიანეთი), **ლაშა გიუნაშვილმა** (60 კგ. ძლევიჯვარი), **სოსო ქოქაშვილმა** (66 კგ. ღვლევი), **გიორგი პაპუნაშვილმა** (73 კგ. გორი), **ამბაკო ავალიანმა** (81 კგ. თბილისი).

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო



შეკითხვა ლელოს

გაწუხებთ გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის სპორტის ქომაგთა სახელით. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული ჭიდაობის რამდენიმე სახეობაში წარმატებით გამოდიოდა **რობერტ ჯლამაძე.** გვაინტერესებს ამ პიროვნების ბედი. თუ ეს შესაძლებელია გთხოვთ გვიპასუხოთ.

**კარლო კობერიძე**
შაშიანი, გურჯაანი

- რობერტ ჯლამაძე დაიბადა 1937 წლის 13 ივნისს ქალაქ სენაკში. - სპორტის საპატიო ოსტატი (1967).

ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო 1953 წელს სამხედრო სამსახურში. შემდეგ ცხოვრობდა მოსკოვში. პირველ სერიოზულ წარმატებას მიაღწია მშობლიურ საქართველოში - 1960 წელს თბილისში მოიპოვა სსრკ ჩემპიონობა თავისუფალ ჭიდაობაში (67 კგ).

1962 წელს ქ. ტოლიდოში (აშშ) გახდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (70). მასთან ერთად იმავე ტურნირში მეორე ადგილზე გავიდა **ომარ ეგაძე** (57) ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

რობერტ ჯლამაძე იყო სსრკ ორგზის პრიზიორი ჭიდაობა სამბოში (1960, მე-2 ადგილი, 68 კგ, 1965. მე-3 ადგილი, 70 კგ) და მეორე პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში (1961, 67 კგ).

ძიუდოში შედიოდა სსრკ პირველ ნაკრებში 1961-1963 წლებში. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ მუშაობდა მწვრთნელად. ბოლო წლებში კი თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი იყო ვიეტნამში.

ამჟამად ოჯახთან ერთად ცხოვრობს მოსკოვში.

**გაბრიელ ბარჯაძე**



ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 82 წლისა გარდაიცვალა ქართული ჭიდაობის ცნობილი მუსიკოს-შემსრულებელი **ბერისო კოშაძე**, რომელიც მრავალი ათეული წელი ერთგულად ემსახურებოდა ეროვნულ ჭიდაობას.

ფედერაცია სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია თანაუგრძნობს კახი ჩიგოგიძეს ძმის **გური ჩიგოგიძის** გარდაცვალების გამო.

„ლელოს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა 1970-1991 წლებში გაზეთის კონსულტანტი ცხენოსნობასა და სპორტის ეროვნულ სახეობებში

**გური ჩიგოგიძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩოგბურთი



# ტატიშვილი მსოფლიოს 84-ე ჩოგანია

## 16 წლის შემდეგ: ქალთა ელიტაში ქართველი შევიდა

1995 წლის მერე, როცა ჩოგბურთის ფედერაციის დღევანდელმა პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა** დაკარგა ადგილი ელიტაში, მსოფლიოს მოწინავე ასეულს ქართველი ქალი ჩოგბურთელი არ გაჰკარებია. და აი, 16-წლიანი უსიამოვნო ტრადიცია დაირღვა - 21 წლის **ანა ტატიშვილმა** ასეულში შეაბიჯა, თანაც ომახიანად - ჯერ უიმბლდონის ტურნირის მე-2 წრეში გავიდა, შემდეგ კი იტალიურ კუნეოში 100-ათასიანი ტურნირი მოიგო. მესხის საუკეთესო შედეგი მსოფლიოს მე-12 ჩოგნობა იყო (1991 წლის აგვისტო), მისი მონაგარი ჰონორარის სახით 1 მლნ 170 ათას დოლარს შეადგენდა.

ანა ტატიშვილი მეტეორივით შეიჭრა მოწინავე ასეულში - წინა რეიტინგში ის 118-ე პოზიციაზე იყო, დღეიდან კი მსოფლიოს 84-ე ჩოგანია. ჩვენებურმა წინ 34 საფეხურით წაიწია! ანას 785 სარეიტინგო ქულა აქვს. შარშან ივლისის თვეში ტატიშვილმა 88 სარეიტინგო ქულას მოუყარა თავი, აქედან 70 პრალის WTA-ს ტურნირზე მოდის, რომელშიც მეოთხედფინალში გაალწია. ჩვენებურს ამ თვეში ეს ქულები აქვს დასაცავი, თუ-კი მეტს მოიპოვებს, რეიტინგში კიდევ უფრო წინ წავა. დღეს ანა მე-100 ადგილზე მყოფ **ანგელიკ კერბერს** (გერმანია) ზუსტად 100 ქულით ჯობნის. ჩვენებური ელიტის 81 წარმომადგენელზე ახალგაზრდაა.

ახლა ტატიშვილის კარიერაში გადამწყვეტი დროებაა და მისთვის მოსვენება არ არსებობს. ქართველი იტალიიდან შვედურ ბასტადში გაემგზავრა WTA-ს ტურნირზე სასპარეზოდ. „შვედეთის ღია პირველობის" საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარია. ანა ძირითად ბადეშია და პირველ წრეში მე-8 ნომრად განთესილ სლოვენიელს, **პოლონა ჰერცოგს** (59) ხვდება. პირველი ეტაპის დაძლევის შემთხვევაში, ტატიშვილი 30 სარეიტინგო ქულას და 2,9 ათას დოლარს გაინაღდებს. ტურნირის პირველი ნომერი მსოფლიოს პირველი ჩოგანი, დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკია.**

მცირე წინსვლა ჩვენს სამ მოწინავე ჩოგბურთელ ქალსაც აქვს: **ოქსანა კალაშნიკოვა** 299 ქულით მსოფლიოს 189-ე ჩოგანია (+4), **მაკა ჩახნაშვილი** 257 ქულით 219-ეა (+18), ხოლო **სოფიო შაფათავა** 217 ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 249-ე (+43) პოზიციაზეა. სხვები: 332 (-1) **თათია მიქაძე** - 139 ქულა; 424 (-18) **სოფიო ქვაცაბაია** - 94; 515 (+47) **ეკა გორგოძე** - 64; 1174 (-26) **მანანა შაფაქიძე** - 4.

ვაუთა რეიტინგ-ლისტის ნახვა კი უსიამოვნო გრძნობას გვიტოვებს - 2 ათასამდე პროფესიონალ ჩოგბურთელში სულ ორი ქართველია - **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 27 ქულით მსოფლიოს 672-ე (-8) ჩოგანია, ხოლო **ლადო ჩიხლაძე** 13 ქულით 836-ე პოზიციაზეა. ლადოს მარტის მერე არსად უთამაშია, ბასილაშვილსაც უკვე ერთთვიანი პაუზა გამოუვიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მხატვრული ტანვარჯიში

# გულნაკლული არავინ დაუტოვებიათ

თბილისის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტის ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის (დირექტორი **როზა ბერიკაშვილი**) ღია პირველობაში ამჯერად მხატვრული ტანმოვარჯიშეები ჩაებნენ. სხვადასხვა ასაკის 75 სპორტსმენი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. სამწუხაროდ, ბათუმელებმა სასპარეზოდ ჩამოსვლა ვერ შეძლეს.

დაძაბული პაექრობების შემდეგ მრავალჭიდში კვარცხლბეკზე ავიდნენ:

**1997-1998 წლებში დაბადებულნი:** 1. გაბი ხვედელიძე, 2. სოფო ფარულავა, 3. თამარ კობალაძე.

**1999 წელს დაბადებულნი:** 1. ნინო ყურაშვილი, 2. ლიკა ჯიბლაძე, 3. თამარ ჯავახიშვილი.

**2000 წელს დაბადებულნი:** 1. ვიქტორია შელია, 2. ანა გელდიაშვილი, 3. ელენე ლომთაძე.

პრიზიორებიცა და კვარცხლბეკს მიღმა დარჩენილნიც ცენტრის ხელმძღვანელობამ ფასიანი საჩუქრებითა და სამახსოვრო სუვენირებით დააჯილდოვა.

**ვაჟა დანელია**



საქართველო და ევრობასკეტი

დარჩა 57 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

EXCLUSIVE

ინტერვიუ იგორ კოკოშკოვთან

# რა პლუსი გვაქვს რუსეთ-სლოვენიასთან?

## ჰეინსი NBA-ში მოხვდება

### დოსიე



იგორ კოკოშკოვი (სერბეთი)
მთავარი მწვრთნელი
დაიბადა: 17.12.1971

**საკლუბო კარიერა:**

**1992-1994** - „ბკ ბელგრადის“ (იუგოსლავია) ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი
**1994-1995** - „ბკ ბელგრადის“ (იუგოსლავია) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი
**1995-1996** - „ბკ ბელგრადის“ (იუგოსლავია) მთავარი მწვრთნელი. **1996-1997** - ბელგრადის „პარტიზანის“ (იუგოსლავია) ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი.
**1999-2000** – მისურის უნივერსიტეტის (აშშ-ს უმაღლესი სტუდენტური დივიზიონი) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.
**2000-2003** - „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ (NBA) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.
**2003-2008** - „დეტროიტ პისტონზის“ (NBA) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.
**2008** - დღემდე „ფინიქს სანსის“ (NBA) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

**სანაკრებო კარიერა:**

**1997-1999** – იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების მეორე მწვრთნელი.
**2004** – სერბეთი-ჩერნოგორიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე.
**2005** – სერბეთი-ჩერნოგორიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ევროპის ჩემპიონატზე.
**2008** წლის აპრილიდან საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

**საქართველოს ნაკრებს ამერიკელი დებიუტანტი ეყოლება - მარკიზ ჰეინსი. შეკრებაზე ასევე გამოცხადდება ტორინ გრინი. მათგან რომელი დაიცავს ეროვნული გუნდის ღირსებას ევროპის ჩემპიონატზე?**

**რა შეიძლება ითქვას ჩვენს საევრობასკეტო მეტოქეებზე, ბელგიაზე, რუსეთზე, სლოვენიაზე, უკრაინასა და ბულგარეთზე?**

**მთავარი კითხვა კი ასე ჟღერს - რას უნდა ველოდეთ ევროპის ჩემპიონატზე დებიუტანტი საქართველოსგან?**

**ამ კითხვებზე პასუხი შესაძლოა გულშემატკივარსაც აქვს, ჟურნალისტებსაც, მაგრამ ყველაზე კომპეტენტური მაინც მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვია, რომელიც ქართულ კრებულს 2008 წლიდან ავარჯიშებს და კონტრაქტი ევრობასკეტის დასრულებასთან ერთად ეწურება.**

**ჰოდა, მოვუსმინოთ ბატონ იგორს, რომელსაც გუშინ საღამოს ამერიკაში დავუკავშირდით.**

**- მნიშვნელოვანი სიახლე ამერიკელი მარკიზ ჰეინსის გაქართველებაა...**

- იგი პირველად ორი წლის წინათ ვნახე და მას მერე ვაკვირდები. მაშინ ჰეინსი ჩვენთან, „ფინიქსში“ ვარჯიშობდა, დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. გასული სეზონის წინ ევროპაში გადავიდა და ფრანგულ „შალონში“ პირველივე წელი მაღალ დონეზე ჩაატარა. ლოგიკური იყო ჰეინსით ევროპის წამყვანი კლუბების დაინტერესებაც.

**- მის მონაცემებზე რას იტყვით?**

- პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, მარკიზი დადებითი პიროვნებაა, შრომა არ ეზარება და რაც მთავარია - შეუძლია როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური თამაში. საქართველოს ნაკრებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჰეინსი ახალგაზრდა, 25 წლისაა და თუ გუნდს კარგად მოერგო, არაერთ სეზონს ითამაშებს ნაკრებში. მარკიზი ფიზიკურად ძალიან ძლიერია და დიდი პერსპექტივაც აქვს. მჯერა, რომ იგი ევროპაში დროებითაა, გამოცდილებას მიიღებს, ამერიკაში დაბრუნდება და NBA-ში ითამაშებს. სხვათა შორის, ჰეინსი აშშ-ს კემპებში წლეულსაც აპირებდა მონაწილეობას, მაგრამ ლოკაუტის გამო, როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერ არ ვიცი.

**- ასევე საინტერესოა ტორინ გრინის ჯანმრთელობის მდგომარეობა...**

- ტორინმა დღესაც დამირეკა. იგი აუცილებლად გამოცხადდება შეკრებაზე და ნაკრებთან ერთად მოემზადება. გრინი ძლიერი უკანახაზელია, რაც საქართველოს ნაკრებში თამაშითაც დაამტკიცა და საკლუბო კარიერითაც. თუმცა სამწუხაროდ, გასული სეზონის ბოლოს მძიმე ტრავმა მიიღო - ფეხის თითი დაიზიანა. როგორც თავად ამბობს, რეაბილიტაციის პროცესი გეგმაზომიერად მიმდინარეობს, ვარჯიშსაც შეუდგა.

**- ნაკრებს ევრობასკეტზე გრინი დაეხმარება თუ ჰეინსი, ალბათ, ბოლო მომენტში გადაწყვეტთ.**

- ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ახლა მთავარია, ორივე კალათბურთელს ხელი შევუწყოთ, რათა ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხი ავარიდოთ. ჰეინსს ნაკრებში აკლიმატიზაცია აქვს გასავლელი, ახალი თანაგუნდელები უნდა გაიცნოს და გუნდის ნაწილად იგრძნოს თავი. გრინმა კი ტრავმის მერე ჯერ რეაბილიტაცია უნდა გაიაროს, შემდეგ ნაკრებთან ერთად ფორმაში შევიდეს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით დღეს მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: რომელი ამერიკელიც უკეთეს კონდიციებში იქნება, ევროპის ჩემპიონატზეც ის ითამაშებს.

**- მოსამზადებელ გეგმაზეც გკითხავთ, რომლის მიხედვითაც აგვისტოში 12 საკონტროლო მატჩი გელით.**

- საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან მეოთხე წელია ვთანამშრომლობ და ერთობლივად აქამდეც კარგად ვადგენდით მოსამზადებელ გეგმას. წლევანდელი წინასაევროპო პროგრამაც ნაყოფიერად მუშაობის საშუალებას მოგვცემს. გვაქვს დრო ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად. ხოლო 12 ამხანაგური მატჩი ჩვენი შრომის შედეგის დანახვაში დაგვეხმარება - გამოჩნდება დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებსაც 31 აგვისტომდე უნდა მივხედოთ.

**- რისი იმედი უნდა გვქონდეს ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრებისგან?**

- ალბათ, დამეთანხმებით, რომ გუნდი ყოველწლიურად პროგრესს განიცდის, თამაშსაც აუმჯობესებს, რისი დასტურიც ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაა. პირველ რიგში ნაკრებისგან ახალ სიმაღლეზე ასვლას ველი, პროგრესი წლეულსაც უნდა გაგრძელდეს. ისევე როგორც წინა წლებში, ამჯერადაც ბევრს ვიშრომებთ და იმედია, დაგვიფასდება. წინასწარ ვიტყვი - ევროპის ჩემპიონები ვერ გავხდებით, მაგრამ ეს მიზნად არავის დაუსახავს, ჩვენი მთავარი ამოცანა ევრობასკეტისთვის სათანადო კონდიციებში შესვლაა, რათა საქართველოს ნაკრებმა ევროპას თავისი შესაძლებლობები სრულად უჩვენოს. ვარჯიშის პარალელურად, ამისთვის აუცილებელია ფსიქოლოგიაზე მუშაობაც, რაც ნაკლები იქნება ზეწოლა კალათბურთელებზე, მით უკეთესად ითამაშებენ ისინი.

**- საინტერესოა თქვენი მოსაზრება ნაკრების მეტოქეებზე.**

- ჩვენი ჯგუფის წარმომადგენლებიდან მხოლოდ საქართველოს ნაკრებია ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტი. შესაბამისად, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გამოცდილების მიღება იქნება. არიან შედარებით გამოცდილი ნაკრებებიც და ისეთებიც, ყოველ ევრობასკეტზე რომ თამაშობენ. ბელგია და ბულგარეთი 2010 წელს შესარჩევ ეტაპზეც ჩვენს ჯგუფში იყვნენ და კარგად ვიცნობთ. ისინი ევროპის ჩემპიონატისთვის კიდევ უკეთესად მოემზადებიან, სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ საქართველოს ნაკრები შარშანდელთან შედარებით ერთი-ორად გაუმჯობესებული უნდა იყოს.

**- სლოვენიის ნაკრებში ითამაშებს „ფინიქსში“ თქვენი ყოფილი შეგირდი გორან დრაგიჩი...**

- გორანი მაღალი დონის კალათბურთელია. მის გარდა სლოვენიელებს კიდევ არაერთი NBA-ს და ევროლიგის მოთამაშე ჰყავთ, მაგრამ მეტოქის სიძლიერეზე ყურადღების გამახვილებას სჯობს საკუთარ თამაშზე მოვახდინოთ ფოკუსირება, რადგან ამა თუ იმ შეხვედრის შედეგი პირველ რიგში ჩვენზეა დამოკიდებული. ასევე ძლიერი შემადგენლობა ჰყავს რუსეთს. მათ შიდა ჩემპიონატში დიდი ფული იხარჯება და მაღალი დონის პირველობაც აქვთ. ასეა თუ ისე, რუსეთთან და სლოვენიასთან უპირატესობა მაინც გვაქვს: მათ საქართველოს ნაკრებთან უნდა მოიგონ, ჩვენ უნდა ვითამაშოთ.

**- უკრაინას ამერიკელი მწვრთნელი (მაიკ ფრატელო) უხელმძღვანელებს...**

- უკრაინას შარშან ამხანაგურად ვეთამაშეთ, თუმცა წლეულს სახეცვლილი გუნდი ეყოლება. მეტოქეებზე სრული წარმოდგენა მას შემდეგ შემექმნება, რაც საკონტროლო მატჩებში ჩაებმებიან.

**- წარმატების იმედით დაგემშვიდობებით.**

- მეც წარმატებას ვუსურვებ ქართველ ხალხსა და ნაკრებს. ვფიქრობ, გულშემატკივარმა კარგად იცის, რომ უმაღლეს დონეზე გვიწევს ასპარეზობა, სადაც მოსალოდნელია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგი. თუმცა, მთავარი ისაა, რომ საქართველოს ნაკრები მშენებარე გუნდია, დიდ ყურადღებას ვუთმობთ ახალგაზრდობას, რათა მომავალში უფრო უკეთესად ვითამაშოთ და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა არა ლოკალურ წარმატებად, არამედ კანონზომიერებად ვაქციოთ.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



### 16-წლამდელთა ჩემპიონატი



## პირველი აკადემიაა

**ფინალური სერია**

**აკადემია-რუსთავი 67:65**

**15:19, 18:10, 15:19, 19:17**

**აკადემია:** ლილუაშვილი (19ქ, 6მ, 4პ), ლურწკაია (1ქ, 3პ), ამირხანაშვილი (16ქ, 6მ, 3ჩ), ჯაყელი (10ქ), ცქიტიშვილი (6ქ, 13მ), ქობალავა (3ქ, 3დ, 7მ), ქართველიშვილი (4ქ, 5მ, 4პ), დარახველიძე (8ქ, 10მ)

**რუსთავი:** დვალი (16ქ), ქიტოშვილი (7ქ, 8პ, 4ჩ), ლორთქიფანიძე (10ქ, 3პ), ხატიაშვილი (6ქ), ნარჩომაშვილი (13ქ, 15მ), ურიდია (13ქ, 17მ, 4დ)

**რუსთავი-აკადემია 76:70 დ.დ.**

**16:21, 18:14, 14:18, 17:12, 11:5**

**რუსთავი:** დვალი (16ქ, 6მ), ქიტოშვილი (25ქ, 8მ, 5პ), ლორთქიფანიძე (10ქ, 6მ), ხატიაშვილი (5ქ), ნარჩომაშვილი (13ქ, 15მ), ურიდია (7ქ, 20მ, 4დ)

**აკადემია:** ლილუაშვილი (11ქ, 6მ, 9პ), ლურწკაია (7ქ), ამირხანაშვილი (21ქ, 5მ), ჯაყელი (4ქ, 4პ, 3ჩ), ცქიტიშვილი (4ქ, 15მ), ქობალავა, ქართველიშვილი, ბარაბაძე, დარახველიძე (23ქ, 10მ, 3პ)

**აკადემია-რუსთავი 77:74**

**23:20, 14:28, 13:14, 27:12**

**აკადემია:** ლილუაშვილი (7ქ, 5მ, 4პ, 4ჩ), ლურწკაია (8ქ), ამირხანაშვილი (12ქ), ჯაყელი (3ქ, 5მ), ცქიტიშვილი (16ქ, 21მ), ქობალავა, ქართველიშვილი (3ქ), დარახველიძე (26ქ, 10მ, 7პ), ლომთაძე

**რუსთავი:** დვალი (13ქ, 6მ), ქიტოშვილი (23ქ, 8პ, 5ჩ), ლორთქიფანიძე (5ქ, 3პ), ხატიაშვილი (8ქ, 6მ), ნარჩომაშვილი (19ქ, 16მ, 3პ), ურიდია (6ქ, 15მ, 2დ)

საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატი „აკადემიას“ გამარჯვებით დასრულდა. ფინალურ სერიაში „აკადემიკოსების“ მეტოქე „რუსთავი“ იყო, რომელმაც ნახევარფინალში „ზაზა“ დაამარცხა.

კადეტთა საუკეთესო გუნდების ფინალური მატჩები თავიდან ბოლომდე დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. თავად განსაჯეთ: სერიის პირველ მატჩში თბილისელებმა ოდენ 2 ქულის სხვაობით მოიგეს, რუსთავში გამართულ მეორე შეხვედრაში გამარჯვებული ძირითად დროში ვერ გამოვლინდა და ოვერტაიმში მასპინძლებმა იყოჩაღეს, ხოლო მესამე გადამწყვეტ ორთაბრძოლაში „აკადემიამ“ მეოთხე პერიოდში მოახერხა თითქმის წაგებული თამაშის შემოტრიალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი

# ლიდერებში ნაცნობი სახელებია




ხობში სამეგრელო-ზემო სვანეთის მძლეოსნობის ფედერაციის (პრეზიდენტი **რევაზ ბუკია**) ინიციატივითა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სპორტის სამმართველოს (უფროსი **ხათუნა ხორავა**) თანადგომით საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თასი გათამაშდა. რეგიონულ შეჯიბრებაში ზუგდიდის, ფოთის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ხობის, წალენჯიხის, სენაკისა და აბაშის 160-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში 140 ქულით ზუგდიდელებმა გაიმარჯვეს. მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, ფოთელმა (121) და ჩხოროწყუელმა (119) მძლეოსნებმა დაიკავეს.

ცალკეული სახეობების მიხედვით კვარცხლბეკზე უმთავრესად საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები ავიდნენ. გაუწყებთ პრიზიორთა ვინაობას:

**100 მ. გოგონები.** 1. თეა ფაცურია (ფოთი), 2. ლიკა ბიგვავა, 3. სალომე აბშილავა (ორივე-ზუგდიდი); **ვაჟები.** 1. ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ-ზუგდიდი), 2. ვაჟა ძაგანია (ფოთი), 3. დავით ხაბურზანია (ზუგდიდი).

**400 მ. გოგონები.** 1. თეა ფაცურია, 2. ანი ჭანტურია (მარტვილი), 3. მარი ჩხენკელი (ხობი). **ვაჟები.** 1. თენგიზ ლვინჯილია (ზუგდიდი), 2. დავით ხაბურზანია, 3. ვაჟა ძაგანია

**800 მ. გოგონები.** 1. ანი ჭანტურია, 2. მაკა კრილოვა (ჩხოროწყუ), 3. ანი სანაია (წალენჯიხა). **ვაჟები.** 1. თენგიზ ლვინჯილია, 2. ნიკა რურუა (მარტვილი), 3. დათო ლომაია (ხობი).

**1500 მ. ვაჟები.** 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი), 2. აკაკი შანავა (ზუგდიდი), 3. ნუგზარ ყალიჩავა (ჩხოროწყუ).

**სიგრძეზე ხტომა. გოგონები.** 1. ლიკა ბიგვავა, 2. სალომე აბშილავა, 3. თამარ ტაბალუა (სამივე-ზუგდიდი). **ვაჟები.** 1. ბაჩანა ხორავა, 2. თემურ ცირამუა (ჩხოროწყუ), 3. გიორგი რურუა (მარტვილი).

**ბირთვი. გოგონები.** 1. ნათია ნაჭყებია (ფოთი), 2. ლანა თოლორდავა (ჩხოროწყუ), 3. ნატა სანაია (წალენჯიხა). **ვაჟები.** 1. ზურაბ გიგაია (ზუგდიდი), 2. დავით შონია (ფოთი), 3. გოგი გუგუჩია (ზუგდიდი).

**შუბი. გოგონები.** 1. თეა ფაცურია, 2. ლიკა ბიგვავა, 3. ნათია ნაჭყებია. **ვაჟები.** 1. ზურაბ გიგაია, 2. დავით შონია, 3. გოგი გუგუჩია.

**ბადრო. გოგონები.** 1. თეა ნაჭყებია, 2. მარი ჩხენკელი, 3. ნატა სანაია.

**4X100 მ. გოგონები.** 1. ზუგდიდი, 2. ხობი, 3. მარტვილი. **ვაჟები.** 1. ზუგდიდი, 2. ჩხოროწყუ, 3. მარტვილი.

**ვაჟა დანელია**

მსოფლიოს თასი

# პაერე მაი, ანუ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება

ახალ ზელანდიაში გასამართავი მსოფლიოს თასის ორგანიზატორები მოასპარეზე გუნდებს სასიამოვნო სიურპრიზს უმზადებენ. ახალზელანდიელებმა გადაწყვიტეს თითოეული ქვეყნის ნაკრებს საზეიმო დახვედრა, ანუ „ველქამ ფართი" მოუწყონ.

მსოფლიო თასზე მონაწილე ყველა გუნდი ახალ ზელანდიაში გათამაშების დაწყებამდე რვა-ცხრა დღით ადრე ჩადის და თითქმის ყველას სხვადასხვა დისლოკაციის ადგილი აქვს. მასპინძლებმაც ეს ღონისძიება დანიშნულების ადგილზე გუნდების ჩასვლის მეორე დღისთვის დაგეგმეს.

აი როგორ აღწერს ამ ყოველივეს საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი მენეჯერი **მიშელ ჰუპერი:**

„ის შეიცავს ადგილობრივ კულტურულ ელემენტებს და სხვადახვა რეგიონში განსხვავებული იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა შეხვედრა მრავალფეროვანი გამოვა, რაც გუნდებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებს.

გუნდის ოცდაათივე მოთამაშე საჩუქრად სპეციალურ კეპს მიიღებს. ყველა შეხვედრაზე ხაზგსმით იქნება გამოკვეთილი მაორების სტუმართმოყვარეობა ანუ მანააკიტანგა, რაც სიტყვასიტყვით სტუმარზე ზრუნვას ნიშნავს. სტუმრებს უჩვენებენ ადგილობრივი ფოლკლორის ნიმუშებს, ცეკვას, სიმღერას; გაუმასპინძლდებიან ეროვნული სამზარეულოთი. ვფიქრობ, მსოფლიო თასზე საასპარეზოდ ჩამოსული მორაგბეები პირველი დღიდანვე დადებითი ემოციებით დაიმუხტებიან, რაც მათ შესანიშნავად ასპარეზობას შეუწყობს ხელს, ეს კი იმის გარანტია, რომ ქომაგები უმაღლესი დონის რაგბის ნახავენ".


სკაი ლაინი ქვინზთაუნში

გუნდების ნაწილს ახალზელანიელი მაორების საკულტო ნაგებობა „მარაეში" უმასპინძლებს. ეს აქაური მაორებისთვის წმინდა ადგილია. აქ იკრიბება ტომის უხუცესთა საბჭო, რომელიც წარმოქმნილ საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობს. ყველაფერი კი ცეკვით, სიმღრითა და ღრეობით მთავრდება. გუნდების ნაწილს კი თანამედროვე „ველქამ ფართი" ელოდებათ, რომელიც ასევე უხვად იქნება გაჯერებული ადგილობრივი კულტურის ელემენტებით.

*„მსოფლიოს თასის გათამაშება, მარტო სარაგბო ტურნირი არ არის. ეს იქნება ყოველივე საუკეთესოს დემონსტრირება, რაც ახალ ზელანდიას, მის სტუმართმოყვარე და თბილ ხალხს აქვს. გარწმუნებთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა თითოეულმა სტუმარმა თავი ისე იგრძნოს, როგორც საკუთარ სახლში"* - თქვა ტურნირის დირექტორმა **ქის მაკკონელმა.**

საქართველოს ნაკრები ახალ ზელანდიაში, თავისი პირველი დისლოკაციის ადგილზე, ქვეყნის სამხრეთში მდებარე პატარა ქალაქ ქვინზთაუნში 5 სექტემბერს სალამოს ჩავა. მეორე დღეს კი ადგილობრივები „ბორჯღალოსნებს" უმასპინძლებენ „სკაილაინზე", ქვინზთაუნთან ახლოს მდებარე ყველაზე მაღალ მთაზე.

საქართველოს ნაკრები ამ ქალაქში 11 სექტემბრამდე დაჰყოფს და მერე ინვერქარგილში გადაბარგდება, სადაც 14 სექტემბერს, ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩში შოტლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სპორტი ყველასათვის



# პირველი არხი და ლელო - პირველები

სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეს - 2 ივლისს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ქართველი ჟურნალისტებისთვის კუს ტბაზე ტრადიციული მედიატურნირი „ბაჩოს თასი" ჩაატარა.

სპორტული კორესპონდენტის, ბაჩო სვანიძის სახელობის ტურნირს საფუძველი შარშან ჩაეყარა და წლეულს მეორედ გაიმართა. ვაჟთა 10 გუნდი ერთმანეთს მინიფეხბურთში გაეჯიბრა, ქალების 8 გუნდმა კი ქვიშის ფრენბურთი ითამაშა. ჩემპიონ-პრიზიორების გამოვლენას დაახლოებით 10 საათი დასჭირდა.

ქვიშის ფრენბურთის ფინალში ერთმანეთს გაზეთ „ლელოსა" და რადიო „აფხაზეთის ხმის" გუნდები დაუპირისპირდნენ. სამსეტიან დაძაბულ შეხვედრაში ლელოელებმა იმარჯვეს. მესამე ადგილი კი შარშანდელმა ჩემპიონმა რადიო „სტარ FM-მა" დაიკავა.

ფეხბურთში პირველი არხის გუნდი ზედიზედ მეორედ გაჩემპიონდა, მაგრამ ამჯერად შარშანდელზე მეტად გაუჭირდა - ფინალში ტელეკომპანია „რეალ TV-ს" უგოლო ფრის შემდეგ პენალტების სერიაში 4:2 სძლია. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ერთი წლის წინანდელი ტურნირის მსგავსად, გაზეთმა" სარბიელმა" და ტელეკომპანია „იმედმა" ითამაშეს, ოღონდ თუ მაშინ კალმოსანმა ჟურნალისტებმა იმარჯვეს, ამჯერად საპირისპირო შედეგი დაფიქსირდა - 2:1 „იმედის" სასარგებლოდ.

ტურნირის გახსნის ცერემონია 14 საათზე გაიმართა და მონაწილეებს სიტყვით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა** მიმართა. დაჯილდოების ცერემონიაში კი მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაური** მონაწილეობდა.

ჩემპიონ გუნდებს თასებთან და მედლებთან ერთად საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის" ერთთვიანი აბონემენტებიც გადაეცათ. ჯილდოები მიიღეს ტურნირის მხარდამჭერებისგანაც.

**წყარო: სპორტის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაცია**

***თამუნა ყულუმბეგაშვილის*** ფოტო

# შაბალი-მოდნის ნაცვლად კომენტატორის ჯიხურში

ახალ ზელანიდიაში გასამართავი მსოფლიოს თასის დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. თითქმის ყველა გუნდმა უკვე დაიწყო ვარჯიში. მორაგბეებთან ერთად მსოფლიოს თასისთვის მედიასაშუალებებიც ემზადებიან.

საფრანგეთში მსოფლიო რაგბის უდიდესი ფორუმის ბატალიების პირდაპირი ტრანსლაციის უფლება ტელეკომპანია TF1-ს აქვს. აღსანიშნავია, რომ კომენტატორებად და ექსპერტებად ტელევიზიის ხელმძღვანელებმა წარსულში ცნობილი მორაგბეები და ამჟამად მოქმედი უმაღლესი დონის მწვრთნელები მიიწვია.

რაგბის ფრანგ ქომაგებს ნამდვილად გაუმართლათ, რადგან ახალ ზელანდიაში გამართული შეხვედრების კვალიფიციურ ანალიზს მიიღებენ. მატჩებს კომენტარს გაუკეთებენ **ტიერი ლაკრუა, ოლივიე მანე, ქსავიე გარბაჟოზა, კრისტიან კალიფანო, პიერ ბერბიზიე, ჟან ბატისტ ლაფონდი, ერიკ შამპი** და **ჟან-პიერ გარიუ.**

მათთან ერთად იმუშავებს ფრანგული რაგბის ბოლო წლების ყველაზე ექსტრვაგანტური წარმომადგენელი, მესამეხაზელი **სებასტიან შაბალი**, რომელიც „ლე ბლეს" სამსოფლიოთასო შემადგენლობაში ვერ მოხვდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგულ რაგბიში გარკვეული, ამ ქვეყნისთვის სასიხარული სიახლეებია. IRB-მ უკანასკნელ კონგრესზე საფრანგეთს 2013 წელს მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის გამართვა მიანდო. ამასთან, ფრანგებს გადაწყვეტილი აქვთ 2023 წლის მსოფლიო თასის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად იბრძოლონ. საამისოდ საფრანგეთის რაგბის ფედრაცია თავისი სახსრებითა და სპონსორების დახმარებით ახალ სტადიონს აშენებს, რომელიც 80 ათას მაყურებელს დაიტევს. სტადიონის მშენებლობა 2017 წელს უნდა დამთავრდეს.

შეგახსენებთ, რომ 2015 წელს მსოფლიოს თასის გათამაშება ინგლისში გაიმართება, 2019 წელს კი პლანეტის საუკეთესო სარაგბო ქვეყნების ნაკრებებს იაპონია უმასპინძლებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**


სებასტიან შაბალი

მსოფლიო რეიტინგი

# რეიტინგში იაპონიას გავუსწარით

წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების ჩემპიონატში პირველი ტურის მატჩები გაიმართა, რომლის შემდეგაც მსოფლიო კლასიფიკაციაში ცვლილებები მოხდა. იაპონიის ნაკრები სამოას ეროვნულ გუნდთან დამარცხდა 15:34 და რეიტინგში საქართველოს ნაკრებმა გადაასწრო, თუმცა ჩვენ გუნდს წინ არ წაუწევია, ის ისევ მე-14 ადგილზეა. რადგან ყველასთვის მოულოდნელად, ტონგამ, რომელიც ერთი საფეხურით ჩამოგვრჩებოდა, მე-10 საფეხურზე მყოფ ფიჯის ნაკრებს მოუგო 45:21. შედეგად ტონგამ ჩვენც გაგვისწრო და ფიჯისაც.

**მსოფლიო რეიტინგი**

**1. ახალი ზელანდია - 93,19 ქულა. 2. ავსტრალია - 87,45. 3. სამხრეთ აფრიკა - 86,44. 4. ირლანდია - 82,51. 5. ინგლისი - 82,48. 6. საფრანგეთი - 82,06. 7. უელსი - 79,55. 8. არგენტინა - 78,97. 9. შოტლანდია - 77,35. 10. სამოა - 75,58. 11. იტალია - 73,54. 12 ტონგა - 71,63. 13. ფიჯი - 71,33. 14. საქართველო - 70,30. 15. იაპონია - 69,89. 16. კანადა - 69,78. 17. აშშ - 66,78. 18. რუმინეთი - 65,57, 19. რუსეთი - 61,93. 20. ნამიბია - 61,43.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი




# ვის ერგება ოლიმპიადა

ოთხშაბათს, სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) 123-ე სესია, რომლის მთავარი ინტრიგა იქნება 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქის არჩევნები. ამ საპატიო მისიისთვის იბრძვიან სამხრეთკორეის პიონჩანგი, საფრანგეთის ანსი და გერმანიის მიუნხენი.

ამ რბოლაში ფავორიტი თითქოს პიონჩანგია. ეს ქალაქი ზედიზედ მესამედ აყენებს თავის კანდიდატურას თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობაზე: პირველად მან ვანკუვერთან წააგო არჩევნები, შემდეგ - სოჭთან. პიონჩანგში ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი უკვე შექმნილია. წინასაარჩევნო კამპანიაც (რომელსაც კორპორაცია „სამსუნგი" აფინანსებდა) წინა შეცდომების გათვალისწინებით ჩატარდა. ამას ემატება ისიც, რომ 2014 წლის ზამთრის თამაშები ევროპაში ტარდება და დაუწერელი კანონის თანახმად, მომდევნო ოლიმპიადას სხვა კონტინენტმა უნდა უმასპინძლოს.

მაგრამ ამ საკითხს შეიძლება სხვა კუთხითაც შევხედოთ - სოკ-ში ბოლო წლების განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ამიტომაც დიდი შანსია მოვლენები ნაცნობი სცენარით განვითარდეს: პიონჩანგი მოიგებს არჩევნების პირველ რაუნდს და წააგებს მეორეს, როცა გაერთიანდება ევროპელთა და ამერიკელთა ხმები.

„მიუნხენი-2018"-ის განაცხადის თავმჯდომარე **ტომას ბახი** ამბობს, რომ ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა უნდა გაითვალისწინონ წარსულის შეცდომები და თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქალაქის არჩევისგან, სადაც ინფრასტრუქტურა არ არსებობს ან არასტაბილურია სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. გერმანელები ახსენებენ სოკ-ს, რამდენი ენერგია და ნერვები დაიხარჯა ათენის, ტურინისა და პეკინის ოლიმპიადების წინ, ნაწილობრივ, იგივე ითქმის ვანკუვერის თამაშებზე. სოჭმა და რიო-დე-ჟანეირომ კი ერთგვარად ავანსად მიიღეს ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება - კონკრეტული პიროვნებების პატიოსან სიტყვას ენდნენ.

აქედან გამომდინარე, 2018 წლის ოლიმპიადის მასპინძლად მიუნხენის არჩევა სოკ-ს მშვიდი ცხოვრების საშუალებას მისცემს. გერმანული ეკონომიკა - უძლიერესია „ბებერ" კონტინენტზე, ბავარიის დედაქალაქი კი ერთ-ერთ მარგალიტს წარმოადგენს დასავლეთ ევროპაში. გერმანიაში ალპური კურორტების ავტორიტეტი ეჭვს არ იწვევს, ხოლო ამ ქვეყანაში ზამთრის სახეობებში ტურნირების ჩატარების გამოცდილება - უდიდესია. პუბლიკა ყოველთვის ავსებს ტრიბუნებს. ასე რომ, მიუნხენს ბევრი პლუსი უგროვდება.

არც ანსის ჩამოწერა იქნებოდა მართებული. აქაც ალპებია. დიდი ტურნირების ჩატარების გამოცდილება ფრანგებსაც გააჩნიათ - გავიხსენოთ 1994 წლის თამაშები ალბერვილში. სპორტის ზამთრის სახეობები ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამასთან, საფრანგეთს თეორიულად შეუძლია სოკ-ის არაევროპელი წევრების ხმების იმედიც ჰქონდეს.

მაგრამ არსებობს პრობლემები. ანსის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი განაცხადის წინააღმდეგია. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დურბანში წასვლაზე უარი განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა **ნიკოლა სარკოზიმ**, განსხვავებით გერმანიის პრეზიდენტ **კრისტიან ვულფისა** და სამხრეთკორეის ლიდერ **ლი მენ ბაკისგან**.

კიდევ ერთი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სარკოზი იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის იყო, რომელიც, თავის დროზე, ჩინეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო პეკინის ოლიმპიადის ბოიკოტისკენ მოუწოდებდა ყველას. მართალია, პეკინში ჩასვლის შემდეგ აზრი შეიცვალა, მაგრამ სოკ-ის წევრებს შორის მისი რეპუტაცია მაინც სერიოზულად დაზარალდა.

კიდევ ბევრი ფაქტორის მოყვანა შეიძლება ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ. ერთი რამ ცხადია: ოლიმპიურ კომიტეტში არჩევნების შედეგის პროგნოზირება ძალიან რთულია, ამიტომაც ხვალამდე მოცდა მოგვიწევს.

ჰოკეი

# ჰიტლი ველურებში წავიდა


დენი ჰიტლი

ამდღეებში ჰოკეის ეროვნულ ლიგაში თავისუფალი აგენტების ბაზარი მოქმედებს და ერთ-ერთი საინტერესო გარიგება გუშინ შედგა. „მინესოტა უაილდმა" თავის რიგებში გადაიბირა ლიგის ერთ-ერთი ვარსკვლავი **დენი ჰიტლი**. სანაცვლოდ ამ ფორვარდის აწ უკვე ყოფილმა კლუბმა „სან ხოსემ" ჩეხი ფორვარდი **მარტინ ჰავლატი** მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ „მინესოტამ" ასევე „სან ხოსედან" გადაიბირა კიდევ ერთი თავდამსხმელი **დევინ სეტოგუჩი**, რისთვისაც **ბრენტ ბერნსის** დათმობამ მოუწია.

როგორც ჩანს, ჰიტლის ტრეიდი შესაძლებელი გახდა გასულ სეზონში მისი სუსტი თამაშის გამო, თუმცა „სან ხოსეს" გენერალური მენეჯერი დიდი ხანი უარყოფდა დენის სხვა გუნდში გადასვლას.

30 წლის ჰიტლის მოქმედი კონტრაქტის მიხედვით კიდევ სამი წელი დარჩა. მისი წლიური ხელფასი 7,5 მილიონ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება 30 წლის ჰავლატს, მისი კონტრაქტი ოთხწლიანია წლიური 5 მილიონი დოლარის ოდენობის ჯამაგირით.

ჰავლატმა NHL-ში 621 მატჩი ჩაატარა და 512 ქულა (209+303) დააგროვა, ჰიტლის ანგარიშზეა 669 მატჩი და 689 ქულა (325+364).

კალათბურთი

# ვებგვერდიც აღარ მუშაობს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ყველანაირად მიანიშნებს, რომ ლიგაში ლოკაუტი მოქმედებს. ასოციაციის სახე - ოფიციალური ვებგვერდი NBA.com მუშაობის ახალ რეჟიმზე გადავიდა.

ამიერიდან იქ შეუძლებელია მოთამაშეთა პროფილებში ფოტოების ნახვა, აგრეთვე შემადგენლობების გაცნობა. კლუბების უმრავლესობამ მთლიანად გააქრო თავისი გვერდებიდან შემადგენლობები და მხოლოდ სამწვრთნელო შტაბის შესახებ ინფორმაცია დატოვა.

ასე რომ, NBA.com-ზე ფუნქციონირებს მხოლოდ ისტორიული და სტატისტიკური განყოფილებები.

აღსანიშნავია ისიც, რომ აბონემენტები შემცირებულ სეზონზე გათვლით იყიდება.

■ ■ ■

ლოკაუტით გამოწვეული კიდევ ერთი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ ოკეანის გაღმიდან საკალათბურთო ინფორმაციები თითქმის აღარ მოდის, თუმცა დღეში ერთ-ორ სიახლეს მაინც შევიტყობთ ხოლმე.

როგორც ცნობილია, ლოკაუტის პერიოდში აკრძალულია ნებისმიერი კონტაქტი მოთამაშეებსა და კლუბების წარმომადგენლებს შორის - არც შეხვედრა, არც სატელეფონო საუბრები, არც მიმოწერა...

მაგრამ ლიგამ გამონაკლისი დაუშვა „მაიამის" ფორვარდ **კრის ბოშზე** და მას ქორწილში კლუბის პრეზიდენტისა და გენერალური მენეჯერის **პატ რაილის** დაპატიჟების უფლება მისცა.

■ ■ ■

ერთი ინფორმაცია ლეგენდარულ **მაიკლ ჯორდანს** შეეხება. ვებგვერდ Letters of Note-ზე გამოქვეყნდა ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელის სასიყვარულო წერილი, რომელიც მან სკოლაში სწავლის პერიოდში ერთ-ერთ თანაკლასელ გოგონას გაუგზავნა.

ამ წერილით ვიგებთ, რომ მაიკლი საკმაოდ რომანტიული ყმაწვილი ყოფილა, თუმცა გრამატიკასთან სერიოზული პრობლემები ჰქონია. სხვათა შორის, ეს წერილი შვიდი წლის წინ აუქციონზე 5100 დოლარად გაიყიდა.

■ ■ ■

გადავინაცვლოთ ევროპაში. თუ ესპანურ პრესას დავუჯერებთ, „დალასის" ახალწვეული **რუდი ფერნანდესი** ძალიან ახლოა სამშობლოში დაბრუნებასთან. მადრიდის „რეალი" ამ კალათბურთელს სარფიან კონტრაქტს სთავაზობს - ექვსწლიანი ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაა 18 მილიონი ევრო, ანუ ფერნანდესის წლიური ხელფასი 3 მილიონი იქნება. ამ გარიგებით რუდი ესპანეთში ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი გახდება.

ვარაუდობენ, რომ ფერნანდესი მიიღებს ამ წინადადებას. ჯერ ერთი, ლოკაუტის შემდეგ NBA-ში, შესაძლოა, მკვეთრად შემცირდეს ხელფასების ოდენობა, გარდა ამისა, ესპანელი „დალასში" დრაფტის პროცედურის წინ მოხვდა და ჯერ უცნობია, რა იმედებს ამყარებს მასზე „მავერიქსის" დამრიგებელი **რიკ კარლაილი**.

გასულ სეზონში რუდი საშუალოდ 8,6 ქულასა და 2,5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

საინტერესოა, რომ პარალელურად ფერნანდესთან მოლაპარაკებებს აწარმოებს „ბარსელონა".

■ ■ ■

ვებგვერდი Eurobasket.com იტყობინება, რომ იტალიის ჩემპიონმა „მონტეპასკიმ" მეტად საინტერესო შენაძენი გააკეთა. კონტრაქტი გაფორმდა 23 წლის ამერიკელ მძიმე ფორვარდთან **დაჰუან სამერსთან**, რომელიც ლოკაუტთან დაკავშირებული პრობლემების გარკვევას არ დაელოდა და სამუშაო ადგილი აქედანვე გაინაღდა. ამ კალათბურთელის შარშანდელი სტატისტიკა „დეტროიტში" ვერ ბრწყინავს, თუმცა მაინც პერსპექტიულ მოთამაშედ მიიჩნევა.

■ ■ ■

როგორც ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, თურქული „გალათასარაი" თავის რიგებში ეპატიჟება NBA-ის ვეტერან ვარსკვლავს **ტრეისი მაკგრეიდის**. „ბეშიქთაშმა" გადაწყვიტა, არ ჩამორჩეს თანაქალაქელ გრანდს და მეორე ვეტერანს - **ვინს კარტერს** დაადგა თვალი. არადა, ამ გუნდს NBA-ის ვეტერანი ვარსკვლავის გადაბირების წარუმატებელი გამოცდილება გააჩნია - შარშან არ გაამართლა **ალენ აივერსონის** ტრანსფერმა.


რუდი ფერნანდესი

# კონტინენტი რუსეთისაა


ევროპის ჩემპიონი

ქალებს შორის ევროპის საუკეთესო გუნდი გახდა რუსეთის ნაკრები, რომელმაც ამ გამარჯვებით გაისად ლონდონის ოლიმპიადაზე თამაში გაინაღდა. საწყის ეტაპებზე არცთუ ისე დამაჯერებელი თამაშისა და ორი წაგების შემდეგ რუსებმა პლეი ოფის ეტაპი ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარეს და ყველა შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგეს, მათ შორის ფინალი თურქეთის წინააღმდეგ - 59:42.

რუსების რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო **მარია სტეპანოვა**, რომელმაც ორმაგი დუბლი გაიფორმა - 18 ქულა და 12 მოხსნა. თურქების რიგებში ათქულიან ზღვარს მხოლოდ **ბირსელ ვერდარლიმ** მიაღწია.

ჟურნალისტებისა და ექსპერტების გამოკითხვის თანახმად, ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა რუსეთის ნაკრების წევრი **ალიონა დანილოჩკინა**, რომელიც ყოველ მატჩში საშუალოდ 14 ქულაზე მეტს აგროვებდა.

ფინალის წაგების მიუხედავად, თურქეთის ნაკრები კმაყოფილი უნდა იყოს პოლონეთში გამოსვლით, რადგან ეს გუნდი აქამდე კონტინენტის პირველობაზე მერვე პოზიციაზე მაღლა არ ასულა. რაც შეეხება რუსეთს, ის ორჯერ იყო ევროპის ჩემპიონი - 2003 და 2007 წლებში.

ლონდონის თამაშებზე გამოსვლის უფლება მხოლოდ ჩემპიონმა მიიღო, მეორე-მეხუთე ადგილებზე გასული გუნდები კი გაისად საკვალიფიკაციო ტურნირზე ითამაშებენ.

**ფინალი**

**რუსეთი-თურქეთი 59:42**

**19:8, 14:15, 13:11, 13:8**

**რ**: სტეპანოვა (18+12 მოხსნა), დანილოჩკინა (12), კუზინა (6), ოსიპოვა (6+9 მოხსნა+4 პასი), არტეშინა (5+8 მოხსნა).

**თ**: ვარდარლი (10+4 პასი), ალბენი (8), ივეგინი (7), იილმაზი (6+5 მოხსნა).

**მე-3 ადგილისთვის**

**ჩეხეთი-საფრანგეთი 56:63**

**20:15, 10:9, 13:19, 13:20**

**ჩ**: ელპოტოვა (17), კულიჩოვა (14+6 მოხსნა), ვიტეჩკოვა (13+6 მოხსნა).

**ს**: გრუდა (26+6 მოხსნა), იაკუბუ-დეუი (9+7 მოხსნა), დიგბეუ (8).

**მე-5 ადგილისთვის**

**ხორვატია-ჩერნოგორია 73:59**

**14:16, 24:19, 17:9, 18:15**

ხელბურთი

# წილისყრა ბრაზილიაში

გუშინ, ბრაზილიაში ქალებს შორის მსოფლიოს რიგით მეოცე ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. ტურნირი 2-18 დეკემბერს ბრაზილიის ოთხ ქალაქში - ბარუერიში, სანტოსში, სან ბერნარდოსა და სან პაულუში გაიმართება. ჩემპიონატის გამარჯვებული პირდაპირ საგზურს მიიღებს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატზე, რომელსაც სერბეთი უმასპინძლებს.

გუშინდელი წილისყრის შემდეგ ფინალური ეტაპის 24 მონაწილე ოთხ ქვეჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდა:

**A ჯგუფი**: ნორვეგია, ჩერნოგორია, ანგოლა, გერმანია, ჩინეთი, ისლანდია;

**B ჯგუფი**: რუსეთი, ყაზახეთი, ჰოლანდია, კორეა, ესპანეთი, ავსტრალია;

**C ჯგუფი**: რუმინეთი, საფრანგეთი, ბრაზილია, ტუნისი, კუბა, იაპონია;

**D ჯგუფი**: შვედეთი, დანია, ხორვატია, არგენტინა, კოტ დ'ივუარი, ურუგვაი.

შეგახსენებთ, რომ წინა ხუთი ჩემპიონატიდან ოთხში პირველობა (მათ შორის, ბოლო სამში) რუსების ნაკრებმა მოიპოვა. 2009 წელს, ჩინეთში გამართულ ფორუმზე ფინალში საფრანგეთი დაამარცხა - 25:22. ბრინჯაო ნორვეგიის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ესპანეთის წინააღმდეგობა დაძლია - 31:26.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# კონტადორი ტურს აგებს



გამარჯვებული გუნდი

ტურ დე ფრანსზე მეორე ეტაპი დროზე გუნდური რბოლა იყო. ხშირად ასეთ გუნდურ ეტაპებს სერიოზული კორექტივები შეაქვს საერთო ჩათვლაში, მაგრამ ამჯერად ჰანდიკაპის შექმნა რთული იქნებოდა, რადგან 23-კილომეტრიანი დისტანცია აბსოლუტურად სწორი იყო, ყოველგვარი მოსახვევებისა და ამაღლებების გარეშე. შესაბამისად, ასეთი სურათი მივიღეთ - პირველ ხუთ გუნდს შორის დროში სხვაობა მხოლოდ 5 (!) წამს შეადგენდა.

პროგნოზების მიხედვით პირველობა ამერიკულ „რედიოშეკს" უნდა მოეპოვებინა, მაგრამ **იოჰან ბრუნელის** გუნდმა, სავარაუდოდ, მოკლე დისტანციის გამო ვერ მოასწრო ტემპის აკრეფა, მეექვსე ადგილი დაიკავა და გამარჯვებულთან ათი წამი წააგო.

გამარჯვებული კი მეორე ამერიკული საჯინიბო - „გარმინ-ჩერველო" გახდა, რომლის ლიდერმა **ტორ ჰუშოვდმა** მეორე ეტაპის შემდეგ ლიდერის ყვითელი მაისურა მოირგო.

სერიოზულ ჩავარდნას გადაურჩა „საქსო-ბანკი" და მისი ლიდერი **ალბერტო კონტადორი**. „გარმინთან" მათმა ჩამორჩენამ 28 წამი შეადგინა, თუმცა ტურის მოქმედი ჩემპიონი კონტადორი უკვე წუთსა და 42 წამს აგებს ჰუშოვდთან და წუთსა და 38 წამს მთავარ კონკურენტ **ანდი შლეკთან**. ასე რომ, ესპანელს მომავალ ეტაპებზე ძალიან გაუჭირდება ამ ჩამორჩენის გაბათილება.

რაც შეეხება შლეკის გუნდს „ლეოპარდ-ტრეკს", აქ ნაცნობი პრობლემა ვიხილეთ: **ფაბიან კანჩელარამ** თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზა თანაგუნდელებს, მაგრამ ცნობილია, რომ ძმები შლეკები ინდივიდუალურ რბოლებში მოიკოჭლებენ, ამიტომაც კანჩელარას ტემპის დაგდებამ მოუწია.

**II ეტაპი. 191 კმ**

1. Garmin-Cervelo - 24,48; 2. BMC Racing Team - +0,04; 3. Team Sky - +0,04; 4. Leopard-Trek - +0,05; 5. HTC-Highroad - +0,05; 6. RadioShack - +0,10...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - 5.06,25; 2. **დევიდ მილარი** (ბრიტ, GRM) - იგივე დრო; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,01; 4. **ჯერენტ ტომასი** (ბრიტ, SKY) - +0,04; 5. **ლინუს გერდემანი** (გერ, LEO) - იგივე დრო; 6. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 10. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 12. **ბრედლი ვიგინსი** (ბრიტ, SKY) - იგივე დრო... 14. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - 0,05... 20. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - 0,10... 22. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - იგივე დრო... 47. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +0,57... 52. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +1,04... 75. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +1,42... 92. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, AST) - +2,21... 104. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +2,36...

მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ჩემპიონი დაბრუნდა



ხორხე ლორენსო

გასულ უქმეებზე იტალიაში მოტოგრანპრის ჩემპიონატის მორიგი ეტაპი გაიმართა და რამდენიმე წარუმატებელი რბოლის შემდეგ, როგორც იქნა, პირველი მივიდა ფინიშთან მოქმედი ჩემპიონი **ხორხე ლორენსო**, თუმცა მან ჯერ ვერ დაიბრუნა საერთო ჩათვლაში ლიდერობა.

იტალიის „მუჯელოში" ტრასას დაუბრუნდა „ჰონდას" წევრი **დანი პედროსა**, რომელმაც საფრანგეთის გრანპრიზე **მარკო სიმონჩელისთან** შეჯახებისას ფეხი მოიტეხა და ამის გამო ორი ეტაპის გამოტოვებამ მოუწია.

პოულის მფლობელი გახდა პედროსას თანაგუნდელი **კეისი სტოუნერი**, რომელმაც თითქმის ნახევარი წამი მოუგო **ბენ სპისსა** („იამაჰა") და მარკო სიმონჩელის („ჰონდა"). ლორენსო თავისი „იამაჰათი" მეხუთე იყო, მის წინ იდგა **ანდრეა დოვიციოზო** („ჰონდა").

სტარტზე პირველობა შეინარჩუნა სტოუნერმა, სიმონჩელიმ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რბოლის დასაწყისი მისი ძლიერი მხარე არ არის - მარკო პირველ მეტრებზე მესამედან მეექვსე პოზიციამდე ჩამოქვეითდა. უკან დაიხია სპისმაც და საბოლოოდ, მათი ადგილები წინ ლორენსომ და დოვიციოზომ დაიკავეს. მეორე წრისთვის სტოუნერის უპირატესობა უკვე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, სამაგიეროდ, დიდი ბრძოლა მიდიოდა მეორე ადგილისთვის ლორენსოსა და დოვიციოზოს შორის. მერვე წრეზე ხორხემ შეცდომა დაუშვა - ძალიან ფართოდ შევიდა მარჯვენა მოსახვევში და დოვიციოზომ ამით კარგად ისარგებლა.

მაგრამ ლორენსოს დანებება არ უცდია - რამდენიმე წრე კვალში ედგა დოვიციოზოს და ბოლოს შანსიც მიიღო - მე-12 წრეზე საპასუხო შეტევა განახორციელა. ამასობაში, სტოუნერი ინარჩუნებდა ორწამიან უპირატესობას, მაგრამ ფინიშამდე შვიდი წრით ადრე მოულოდნელად ტემპს მოუკლო. ლორენსომ იგრძნო, რომ გამარჯვების შანსი გაუჩნდა და უფრო მოუმატა ტემპს. მალე ის სათავეში ჩაუდგა რბოლას. დოვიციოზო კი სხვანაირად მოიქცა: მშვიდად მიჰყვებოდა სტოუნერს და მხოლოდ ბოლო წრეზე გაიმეორა ლორენსოს მანევრი, რითაც მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ჩემპიონატის ლიდერი მისთვის უჩვეულო მესამე ადგილამდე დააქვეითა.

**იტალიის გრან-პრი**

1. **ხორხე. ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 41.50,089 (23 წრე); 2. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - +0,997; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - +1,143; 4. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - +8,980; 5. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა") - +9,076; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - +26,450; 7. **ექტორ ბარბერა** (ესპ, „დუკატი") - +28,745; 8. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 32,043...

**საერთო ჩათვლა**

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი") - 152 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 133; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - 119; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა") - 91; 5. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - 77; 6. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - 74; 7. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 69; 8. **ჰიროში აოიამა** (იაპ, „ჰონდა") - 56...

ფორმულა 1

# ესპანეთი ჩემპიონობას უმიზნებს



ფორმულა 1-ის აუტსაიდერი გუნდის - Hispania Racing-ის საკონტროლო აქციათა პაკეტი ესპანურმა ფონდმა - Thesan Capital-მა შეიძინა. ესპანური საჯინიბოს აწ უკვე ყოფილმა მფლობელმა, ბიზნესმენმა **ხოსე-რამონ კარაბანტემ** ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყვიტა გუნდის გაყიდვა.

ახალ მფლობელებს სერიოზული გეგმები აქვთ, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს - უნდა შეიქმნას მართლაც ძლიერი ეროვნული გუნდი, რომელიც ღირსეულად წარმოადგენს ესპანეთს მსოფლიოს ჩემპიონატზე.

Thesan Capital-თან გარიგებამდე Hispania Racing-მა გამოაცხადა მასშტაბური ტექნიკური რესტრუქტურიზაციის შესახებ, რასაც თან მოჰყვება ტექნიკური დირექტორის **კოლინ კოლესის** განთავისუფლება. უკვე წელს, გუნდი ახალ ხელმძღვანელს მიიღებს, რომელიც ტექნიკურ განყოფილებებში ახალ თანამშრომლებს მიიღებს.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 17** | |
| გერმანია-ინგლისი | 3:2 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ოლბორგი-ჰორსენსი | 2:0 |
| აგფ ორჰუსი-ოდენსე | 1:1 |
| დინამო (ბ)-მაკაბი (ჰ) | 2:1 |
| მარიბორი-ბუიუქსეჰირი | 0:0 |
| შტურმი-კოპენჰაგენი | 0:1 |
| არბროა-სტ. ჯონსტონი | 0:2 |
| **ნორვეგია** | |
| ფრედრიკსტადი-ტრომსიო | 0:2 |
| **შვედეთი** | |
| იურგორდენი-ჰელსინგბორგი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრაგე-იონჩოპინგი | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-იარო | 3:1 |
| კუოპიო-ჰიკ | 2:4 |
| მიუპა-იუვიასკიულა | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კტპ-ლაჰტი | 2:3 |
| **ბელარუსი** | |
| მინსკი-შახტიორი | 0:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ნიუპორტი** | |
| ბოგომოლოვი-ზვერევი | 4:6, 6:3, 6:1 |
| ბემელმანსი-გრემელმაირი | 6:4, 6:2 |
| ო. როხუსი-ჯონსი | 6:4, 3:6, 6:3 |
| ბახინგერი-ბრაუნი | 7:6, 6:7, 6:1 |
| დიმიტროვი-დაბული | 6:2, 6:4 |
| იანგი-კაპდევილე | 6:2, 6:1 |
| **WTA. ბაშტადი** | |
| რეზაი-ამანმურადოვა | 6:2, 4:6, 6:3 |
| დომინგეს ლინო-ალგურინი | 6:3, 6:4 |
| სტრიუკოვა-მელანდერი | 6:2, 6:3 |
| ლარსონი-კუდრიავცევა | 6:3, 6:1 |
| იაკიმოვა-კრეიბასი | 2:6, 7:6, 6:1 |
| საფაროვა-დოლონცი | 3:6, 4:6 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| ბეგუ-პოუს ტიო | 6:4, 6:4 |
| ზაკოპალოვა-ჰანი | 6:0, 6:2 |
| ტომლიანოვიჩი-ლუკაში | 6:2, 6:2 |
| როდინა-სავჩუკი | 6:3, 1:6, 1:6 |
| მედინა გარიგესი-პივოვაროვა | 6:3, 6:1 |
| ა. ბონდარენკო-ს. ზახვალოვა | 6:0, 6:1 |

TV პროგრამა

**5 ივლისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-პერუ. არგენტინა.
**12:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ჩილე-მექსიკა. არგენტინა.
**14:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-ეკვადორი. არგენტინა.
**16:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-კოსტა რიკა. არგენტინა.
**18:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ვენესუელა. არგენტინა.
**20:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-ბოლივია. არგენტინა.
**22:00** ტელეჟურნალი - მსოფლიოს ფეხბურთი.
**22:30** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-პერუ. არგენტინა.
**00:30** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ჩილე-მექსიკა. არგენტინა.

**GMG-სპორტი**

**10:00** სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. მილანი.
**10:45** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მეორე მატჩი.
**13:10** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
**18:30** ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. კაცები. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**21:30** სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. მილანი.
**22:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მეორე მატჩი.
**01:30** ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**13:00** WTA-ის ტური. II დღე. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
**18:00** WTA-ის ტური. II დღე. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**03:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-სიეტლი (LIVE).

**EUROSPORT**

**15:55** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი (LIVE).
**20:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-იაპონია. გერმანია (LIVE).
**22:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-გერმანია. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**20:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-იაპონია. გერმანია (LIVE).
**22:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-გერმანია. გერმანია (LIVE).

ფორმულა 1

# ხმაური ხმაურის გამო



ბერნი ექლსტოუნი

ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა მფლობელმა **ბერნი ექლსტოუნმა** გადაწყვიტა, სასამართლოში უჩივლოს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას (FIA) ძრავებზე მიღებული ახალი რეგლამენტის გამო, რომელიც FIA-მ დაამტკიცა და ის 2014 წლიდან შევა ძალაში. ბერნი ამ წესის გაუქმებას ითხოვს.

ფედერაციამ გადაწყვიტა, 2014 წლიდან ყველა გუნდი 1,6 ლიტრი მოცულობის ახალ ექვსცილინდრიან ძრავებზე გადაიყვანოს. სხვათა შორის, ამ სიახლეს გუნდებმაც დაუჭირეს მხარი და ერთადერთი, ფორმულა 1-ის მფლობელები არიან წინააღმდეგნი.

ექლსტოუნის უკმაყოფილება იმაში მდგომარეობს, რომ ახალი რეგლამენტის თანახმად, ფორმულა 1 თავის შარმს დაკარგავს, რომელიც ძრავების ხმაურით მიიღება. ძველ, რვაცილინდრიან ძრავებს სხვა ჟღერადობა აქვს, ვიდრე V6-ის ძრავებს ექნებათ. ამიტომაც, ბერნის აზრით, გულშემატკივრებს ამ პოპულარული სერიის მიმართ ინტერესი დაეკარგებათ.

*„რბოლების პრომოუტერებს მიაჩნიათ, რომ ახალ ძრავებს ისეთი ხმა არ ექნებათ, როგორიც ახლა აქვთ,* - ამბობს ექლსტოუნი. - *ამის გამო გულშემატკივრები ზურგს შეაქცევენ რბოლებს, რადგან ველარ გაიგონებენ ძრავების ხმაურს, რითაც განთქმულია ფორმულა 1. თუ ეტაპების ორგანიზატორები ვერ შეძლებენ საკმარისი ბილეთების რეალიზაციას, ისინი ვერ მოახერხებენ ჩვენთვის ფულის გადახდას".*

რა თქმა უნდა, ექლსტოუნს ხმაურის საკითხი სულაც არ აწუხებს. მთავარია ფული. სპონსორები უკვე დაემუქრნენ ბერნის, რომ დატოვებენ სერიას და გადავლენ ფორმულა 1-ის მთავარ კონკურენტთან - **„ინდიკართან"**. ასე რომ, ბრიტანელს მართლაც აქვს შეშფოთების საფუძველი.

ექლსტოუნის თქმით, ფედერაციის პრეზიდენტს **ჟან ტოდტს** ასეთი ქმედებით თავისი გავლენისთვის ხაზგასმა სურს.

*„ტოდტი ცდილობს ჩაშალოს ფორმულს 1-ის კომისიის მუშაობა,* - აცხადებს ექლსტოუნი. - *ის თითქოს ამბობს: „მე ვარ აქ მთავარი და გავაკეთებ იმას, რაც მსურს". ეს ჩვენ არ მოგვწონს. თუ* ***FIA*** *არ გაითვალისწინებს ჩვენი ასწლიანი ხელშეკრულების პირობებს, მოგვიწევს სასამართლოში სარჩელის შეტანა.* ***იმედია, საქმე აქამდე არ მივა".***

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# შარაპატორი



**მარია შარაპოვამ** წარმატებული უიმბლდონი ჩაატარა. მართალია, ფინალში წააგო ჩეხ **პეტრა კვიტოვასთან**, მაგრამ ისიც მიღწევა იყო, რომ 2008 წლის შემდეგ პირველად ითამაშა „დიდი სლემის" ტურნირის გადამწყვეტ მატჩში.

როგორც ყოველთვის, მარია ფოტოობიექტივების მუდმივი ყურადღების ცენტრშია და ერთ-ერთი ფოტოს გამოქვეყნების შემდეგ ის **არნოლდ შვარცენეგერის** პერსონაჟს - „ტერმინატორს" შეადარეს. როგორც ჩანს, ბოლოდროინდელმა ვარჯიშებმა მარიას მუსკულატურაზე შესაბამისი გავლენა იქონია. ეს ფოტოზეც კარგად ჩანს.

ეს სურათი ესპანურ გაზეთ „მარკაში" გამოქვეყნდა და ესპანელმა ჟურნალისტებმა მეტსახელიც მოუგონეს რუს ჩოგბურთელს - „შარაპატორი".

# რაფა ექვს კვირას გამოტოვებს?

არასასიამოვნო ამბავი შეიტყვეს მსოფლიოს მეორე ჩოგნის **რაფაელ ნადალის** გულშემატკივრებმა - tennis.com გაზეთ „ლონდონ თაიმსზე" დაყრდნობით წერს, რომ ესპანელმა ჩოგბურთელმა, შესაძლოა, მომავალი ექვსი კვირა ვერ შეძლოს კორტზე გასვლა.

მიზეზი მარცხენა ფეხის ტრავმაა, რომელიც რაფამ უიმბლდონის მეოთხედფინალში არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროს** წინააღმდეგ მიიღო. ამის შემდეგ ნადალი ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობდა და ფინალამდე მიაღწია, სადაც თითქმის უშანსოდ წააგო სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან**.

თუ ტრავმის ხარისხზე ესპანელის გუნდის ცუდი მოლოდინი დადასტურდა, „დიდი სლემის" ტურნირების 10-გზის ჩემპიონი გამოტოვებს მონრეალისა და ცინცინატის მასტერსებს.

უიმბლდონის ფინალში წაგების შემდეგ ნადალმა ყველას მიანიშნა, რომ კორტზე მხოლოდ მაშინ დაბრუნდება, როცა სრულად აღიდგენს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურად კონდიციებს.



რაფა ნადალი

რეიტინგები

| ATP | |
|---|---|
| 1(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 13 285 |
| 2(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 11 270 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 9 230 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 6 855 |
| 5(5). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 4 325 |
| 6(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 150 |
| 7(8). გაელ მონფილსი (საფ) | 2 780 |
| 8(9). მარდი ფიში (აშშ) | 2 650 |
| 9(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 2 470 |
| 10(10). ენდი როდიკი (აშშ) | 2 110 |
| 11(13). რიშარ გასკე (საფ) | 2 105 |
| 12(11). იურგენ მელცერი (ავსტრია) | 2 085 |
| 13(15). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 955 |
| 14(19). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 945 |
| 15(14). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 935 |
| 16(12). ვიქტორ ტროიცკი (სერ) | 1 930 |
| 17(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1 875 |
| 18(16). ჟილ სიმონი (საფ) | 1 745 |
| 19(21). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 1 625 |
| 20(18). ფლორიან მაიერი (გერ) | 1 555 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 9 915 |
| 2(2). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 7 625 |
| 3(3). ვერა ზვონარევა (რუს) | 6 695 |
| 4(5). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 6 465 |
| 5(6). მარია შარაპოვა (რუს) | 6 141 |
| 6(4). ნა ლი (ჩინ) | 5 855 |
| 7(8). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 5 437 |
| 8(7). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 4 860 |
| 9(9). მარიონ ბარტოლი (საფ) | 4 230 |
| 10(10). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 3 405 |
| 11(13). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 3 305 |
| 12(12). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3 220 |
| 13(14). ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 2 995 |
| 14(11). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 2 995 |
| 15(15). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2 775 |
| 16(16). იულია გორჯესი (გერ) | 2 715 |
| 17(20). შუია პენგი (ჩინ) | 2 580 |
| 18(18). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 555 |
| 19(19). იანინა ვიკმაიერი (ბელ) | 2 470 |
| 20(24). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 455 |

| ATP. ფულადი მოგებები | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 7 608 673 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 5 250 169 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 2 502 919 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტ) | 2 495 054 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 692 314 |
| 6. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 1 220 729 |
| 7. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 041 323 |
| 8. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 937 344 |
| 9. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 857 973 |
| 10. ბობ ბრაიანი (აშშ) | 811 264 |
| 10. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 811 264 |
| 12. რიშარ გასკე (საფ) | 748 460 |
| 13. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 737 508 |
| 14. ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 720 622 |
| 15. მარდი ფიში (აშშ) | 710 826 |
| 16. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 678 075 |
| 17. ვიქტორ ტროიცკი (სერ) | 667 013 |
| 18. მიკაელ ლოდრა (საფ) | 659 438 |
| 19. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 659 362 |
| 20. ხუან-იგნასიო ჩელა (არგ) | 641 287 |

| WTA. ფულადი მოგებები | |
|---|---|
| 1. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 3 189 334 |
| 2. ნა ლი (ჩინ) | 3 158 163 |
| 3. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 2 389 184 |
| 4. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2 312 066 |
| 5. მარია შარაპოვა (რუს) | 2 286 125 |
| 6. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 2 178 929 |
| 7. ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 1 338 001 |
| 8. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1 287 933 |
| 9. ვერა ზვონარევა (რუს) | 1 024 761 |
| 10. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 821 889 |
| 11. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 754 027 |
| 12. საბინ ლისიცკი (გერ) | 689 254 |
| 13. შუაი პენგი (ჩინ) | 669 206 |
| 14. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 660 009 |
| 15. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 649 364 |
| 16. ფლავია პენეტა (იტა) | 635 643 |
| 17. მარია კირილენკო (რუს) | 604 665 |
| 18. ელენა ვესნინა (რუს) | 599 768 |
| 19. იულია გორჯესი (გერ) | 584 066 |
| 20. დ. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 567 982 |

ტურნირები

# სეზონი გრძელდება

**უიმბლდონის** შემდეგ ბალახის სეზონი ამერიკის ქალაქ ნიუპორტში გრძელდება, სადაც ამ კვირას მამაკაცებს შორის ერთადერთი ტურნირი იმართება (რაც დევისის თასის მეოთხედფინალური ეტაპით არის გამოწვეული), ქალები კი ბუდაპეშტსა და ბაშტადში გრუნტზე მოსინჯავენ ძალებს.

**ATP**

**Hall of Fame Tennis Champs**

ნიუპორტი (აშშ). ბალახი

**საპრიზო ფონდი**: 442 500 ევრო

***მონაწილეთა შემადგენლობა***: ჯონ ისნერი, გრიგორ დიმიტროვი, იგორ კუნიცინი, რაიან სვიტინგი, ალექს ბოგომოლოვი, ოლივიე როხუსი...

ეს არის პირველი ტურნირი ამერიკაში, რომელზეც მატჩები ბალახის კორტებზე ჩატარდა. ეს 1881 წელს მოხდა, ასე რომ, ლეგენდარულ ტურნირთან გვაქვს საქმე. ამაზე მეტყველებს თუნდაც ისიც, რომ კორტებიდან ორ ნაბიჯში ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზი მდებარეობს. თუმცა ლეგენდარული ჩოგბურთელები ამ ტურნირს იშვიათად სტუმრობენ.

გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად აქ **ჯონ ისნერი** მიიჩნევა, რომელიც სამწლიანი შესვენების შემდეგ ითამაშებს ნიუპორტში. თუმცა მას უპირობო ფავორიტად ვერ მოვნათლავთ, რადგან ამერიკელს ახასიათებს არასტაბილური თამაში.

პროფესიულ ტურში ახლახან დაბრუნებული **ტომი ჰაასი** ეცდება თუნდაც ერთი მატჩის მოგებას - გაამერიკელებულმა გერმანელმა ტრავმის შემდეგ სამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და სამჯერვე პირველ სეტში დამარცხდა. ადგილობრივი მოთამაშეებისგან ყურადღება უნდა მივაქციოთ **რაიან სვიტინგსა** და **რაიან ჰარისონს**.

არ შეიძლება **ივო კარლოვიჩის** ჩამოწერაც. ასე რომ, ტურნირი, რომელიც ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს იღებს სტარტს, წესით საინტერესო უნდა გამოვიდეს.

შარშანდელი ჩემპიონი გახლავთ ამერიკელი **მარდი ფიში**, რომელმაც უარი თქვა ტიტულის დაცვაზე.

**WTA**

**Budapest Grand Prix**

ბუდაპეშტი (უნგრეთი). გრუნტი

**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

***მონაწილეთა შემადგენლობა***: რობერტა ვინჩი, სარა ერანი, კლარა ზაკოპალოვა, ლუსი ჰრადეცკა, ანაბელ მედინა გარიგესი, მატილდა იოჰანსონი...

ბალახის სეზონის დასრულების შემდეგ WTA გრუნტს უბრუნდება, რაც ჩოგბურთელებისთვის რთული იქნება. რაც შეეხება ფავორიტებს, თითქმის ერთი დონის მოთამაშეებიდან რომელიმეს გამორჩევა რთული საქმეა. ამიტომაც მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ შარშან **აგნეს შავაი** გახდა ჩემპიონი, თუმცა წელს ადგილობრივი ჩოგბურთელი ტიტულის დაცვას არ აპირებს.

**Swedish Open**

ბაშტადი (შვედეთი). გრუნტი

**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

***მონაწილეთა შემადგენლობა***: კაროლინ ვოზნიაცკი, ფლავია პენეტა, ლურდეს დომინგეს ლინო, ლუსი საფაროვა, ვერა დუშევინა, ივეტა ბენეშოვა...

ეს არის ერთადერთი ტურნირი, რომელშიც შარშანდელი ჩემპიონი შეეცდება ტიტულის დაცვას - 2010 წელს ბაშტადში **არავან რეზაიმ** გაიმარჯვა და ის ამჯერადაც ჩავიდა შვედეთში.

მაგრამ შარშანდელი შედეგის გამეორება ფრანგს გაუჭირდება, რადგან ამ ტურნირზე სათამაშოდ მზად არის **კაროლინ ვოზნიაცკი**. მსოფლიოს პირველი ჩოგანი მიმდინარე სეზონში რიგით მეექვსე ტიტულს უმიზნებს.

დანიელს „დიდი სლემის" ჩემპიონატებზე უჭირს, თორემ ასეთი დონის ტურნირებზე კარგად და სტაბილურად თამაშობს და ამის ხარჯზე ინარჩუნებს კლასიფიკაციაში ლიდერობას. ახლაც მას ყველა მატჩის მოგება მოუწევს რეიტინგში პირველი ადგილის შესანარჩუნებლად.

ბადის საპირისპირო მხარეს იტალიელი **ფლავია პენეტა** იმყოფება, რომელმაც უიმბლდონზე კარგი მზადყოფნა აჩვენა, მაგრამ ბაშტადში სულ სხვა საფარია. ამ დუეტს შეიძლება სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ ჩეხმა ჩოგბურთელებმა - **ლუსი საფაროვამ** ან **ივეტა ბენეშოვამ**, რომელიც სხვათა შორის, კვირას უიმბლდონის ჩემპიონი გახდა მიქსტში.



კაროლინ ვოზნიაცკი

კრივი

# რევანში არ იქნება

**ვლადიმერ კლიჩკოსა** და **დევიდ ჰეის** საჩემპიონო ბრძოლის შემდეგ ბრიტანელმა მოკრივემ ჟურნალისტებთან საუბარში ირიბად მოითხოვა მატჩ-რევანში.

*„მე არ ვიცი, მომცემს თუ არა ის განმეორებითი ბრძოლის საშუალებას, როცა ასი პროცენტით ვიქნები მზად. სიამოვნებით გავიდოდი ხელმეორედ რინგზე ვლადიმერის წინააღმდეგ, თუმცა ეს ჩემი მეტოქის გადასაწყვეტია"*, - განაცხადა ბრიტანელმა.

*„ის ამბობდა, რომ აუცილებლად ნოკაუტით დამამარცხებდა. იქნებ კიდევ ერთხელ სცადოს. თუ მან ვერ შეძლო ამის გაკეთება ჩემი ტრავმის პირობებში, საინტერესოა, რა იქნება, როცა სრულად ჯანმრთელი ვიქნები. ვფიქრობ, რევანში ყველასთვის საინტერესო უნდა იყოს"*, - ამბობს დევიდ ჰეი.

პრესკონფერენციაზე დევიდმა ისევ დაიწუწუნა ტრავმის გამო, რითაც კლიჩკოსგან ერთი პატარა რჩევა მიიღო. როგორც იცით, ბრიტანელმა ბრძოლის დასრულების შემდეგ გამოაცხადა, რომ მას ფეხის თითი ჰქონდა მოტეხილი და ამის გამო ვერ შეძლო უკრაინელისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა. ვლადიმერს უყურადღებოდ არ დაუტოვებია დევიდის წუწუნი.

*„თითი გაქვს მოტეხილი? დევიდ, ერთ პატარა რჩევას მოგცემ: ახლა, უკვე ალარაფრის მოფიქრება ალარ გჭირდება. არ ღირს ყველასთვის შენი ტრავმის ან სხვა გარემოებათა შესახებ მოყოლა, იმიტომ, რომ ამის შემდეგ ტრავმირებულ ხელმოცარულად მოგიხსენიებენ. ეს კი შენ აშკარად არ მოგეწონება*, - აღნიშნა ვლადიმერმა. - *შეურიგდი ამას. მეც შემეძლო სხვადასხვა მიზეზთა გამო უარი მეთქვა ამ ბრძოლაზე, მაგრამ ეს არ გავაკეთე, რადგან არასწორი საქციელი იქნებოდა"*.

*„გაქვს ტრავმის სამედიცინო დადასტურება?"* - შეეკითხა უკრაინელი. საპასუხოდ დევიდმა მარჯვენა ფეხის თითი აჩვენა, რაზეც ვლადიმერმა უპასუხა: *„ფუტკრის ჩვეულებრივ ნაკბენს ჰგავს"*.

რაც შეეხება მატჩ-რევანშს, მისი ჩატარება გამორიცხა ძმები კლიჩკოების მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ**. სამაგიეროდ, ჰეისთან შეხვედრით დაინტერესებული ყოფილა WBC-ის ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო**. 10 სექტემბერს მას ბრძოლა აქვს დანიშნული პოლონელ **ტომაშ ადამეკთან**, შემდეგ ამ წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში უფროსი კლიჩკო მზად იქნება დევიდთან შესახვედრად. *„ვლადიმერთან რევანშის შანსი არ არსებობს*, - ამბობს ბენტე. - *მისთვის ეს განვლილი ეტაპია და ის წინსვლას გააგრძელებს. ვიტალიმ კი თქვა, რომ დაინტერესებულია ჰეის ნოკაუტში გაგზავნით. ეს ბრძოლა სავსებით რეალურია"*.

რაც შეეხება ვლადიმერის მომავალ მეტოქეს, ის შეიძლება გაირკვეს ორი ახალგაზრდა ბრიტანელის - 23 წლის **ტაისონ ფიურისა** და 27 წლის **დერეკ ჩისორას** ბრძოლაში. ეს შეხვედრა ივლისში იმართება და გამარჯვებულს WBA-ს, WBO-სა და IBF-ის ჩემპიონთან ბრძოლის საშუალება მიეცემა. *„ვლადიმერისთვის საინტერესო იქნება ამ მოკრივეებიდან ერთ-ერთთან შეხვედრა"*, - დაამატა ბენტემ.



ბრძოლის შემდეგ პრესკონფერენცია

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**